ანეული

ლიტერატურული ჟურნალი

N3 2022

მხატვარი - მარიჯა ოჩჯონიჯიძე

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ 10 წლისაა!



ოოგორ უყვარდათ ერთმანეთი!

ნარუშლელია ნაჯვალევი და არს მთავრება...

მხოლოდ ხმენით მიცხოვრია დღემდე...

ფატი ჯახნიაშვილის ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები: ციცინო ბაბუციძე, ნელი გოგუაძე, მაია დიაკონიძე, გულიკო ზუმბაძე, სოფი მაჭავარიანი, თამარ შაიშმელაშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანეული

№3. (№36) ოქტომბერი. 2022

ლიტერატურული ჟურნალი

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ 10 წლისაა 3

პოეზია

თემურ ჩაღლაბაშვილი 5

არდაფიწყემა

მარი დიასამონიძე ასი წლის მარი აბრამიშვილი 7

მწერლის არქივიდან

ემზარ ხვიტსიშვილი როგორ უყვარდათ ერთმანეთი 12

პორტრეტი მსასიომისა

ბიოჩბი ღალიაშვილი ზინა კვერენჩხილაძე – ხელოვნებისა და სულიერების უნიკალური ნიშანსვეტი ... 14

პოეზია

მარიხა ოჩჯონიჯიძე 15

ნინო არსენაშვილი 16

ასალი მასალემი

**თე

ჯაბოდნიშვილი** გრიგოლმა ხანთა და ხანთელობა აქცია სახელმწიფოს ერთიანობის მეტაფორად 18

ერთი ლექსი **მანანა ჩიტიშვილი** გზად წიწამურთან 21

პოეზია

ჯუბა ლებელი 22

ქეთევან შენგელია 25

ომარ მაღლაკელიძე 26

„ვაგრთვემ ციაგს“...

თამარ მიქაძე დაუვიწყარი შეხვედრები – დავით წერედიანი 27

სანდრო უსტიაშვილი მალხაზ ბეზარაშვილის პუბლიცისტური შემოქმედება 30

დემეტრი მარიამ ხარანაძე 33

პოეზია

თამარ ბაბალოშვილი 34

ფეფენა შარინიძე 36

პრეზა

ელბეჯა თავბერიძე უსახელო მედუქნე 40

პატარემისთვის

მზია მეკერიშვილი პანტის ჯემი 43

ქართველი მწერლემის სოლიდარეთა უკრაინას

ბელიარ ზემბაძე „ჩემო უკრაინა“ – კრებულის წარდგენა თბილისსა და ბათუმში 45

პოეზია

ანა სისვაძე 47

ღაშა ბახარია 49

სოფი მაჭავარიანი 49

ღვაწლი

ივანე ჯაფარიძე სასცენო მოძრაობის დამფუძნებელი 51

ალვარ ბალანჩივაძე „მე არც წარსულის,არც მომავლის არ მეშინია“! 54

თარგმანი

მარინა სვეტლანა ღერსები თარგმნა მარინა გოგოლაშვილმა 56

წერილი–შთამეფდილემა

ღელა ქიტოშვილი-სახლთხუსიშვილისა თამარ შაიშმელაშვილის პოეტური კრებული „სულალუბლები“... 59

პრეზა ლია ჭელიძე სიზმარს ადევნებული გოგო (ნეკერას) 66

პოეზია ნინო ლოხტუნიშვილი 68

ორი პოემა

ეკატერინე ბაზერაშვილი „წითელი დედოფალი“; „კაცი, რომელიც წიგნად იქცა სიყვარულისთვის“.... 69

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (ემელიანე) ადამია
ნინო არსენაშვილი
რევაზ ბალანჩივაძე
თამარ გაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილისა
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ღლებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი redaქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

ლოგოს ავტორი

ბიოჩბი ზუჩებიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: მარიტა ოჩჯონიკიძის ნამუშევარი
გარეკანის ბოლო გვერდზე: მხატვარი - მარიტა ოჩჯონიკიძე

redaქციის ტელეფონი: 551 00 50 58

redaქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ჟურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „მწიგნობარში“

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ 10 წლისაა!

სიბრძნითა და მოთმინებით...

იუბილე ზეიმის გარდა, ისეთი რამ არის, უკან რომ მიგახედებს, რა შეჰქმენი, რისთვის დაიხარჯე. ნეტავ სხვასაც შეეძლოს იმით თავის მოწონება, ჟურნალი „ანეული“ რომ შეძლებს. ათი წელი თითქოს არც ბევრია და არც ცოტა, მაგრამ დღევანდელ საქართველოში, მოდი და გაუძელი ასეთი ჟურნალის გამოცემას ათი წლის განმავლობაში, თან ისე, რომ არც ერთი ნომერი არ ჩაგივარდეს?! ამისთვის დიდი ძალიახმევა და ნიჭია საჭირო! ჰო... რაც მთავარია – სიბრძნე და მოთმინებაც! ეს თვისებები კი არც მის რედაქტორს აკლია და არც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრებს.

მიხარია, რომ ამ ჟურნალს ჩემი მეგობრები უდგანან მხარში, დაუღალავად შრომობენ და იღწვიან, რათა არ შენელდეს სიკეთის ის ცეცხლი, მის ყოველ გამოცემას რომ ახლავს თან.

აუცილებლად მინდა გითხრათ ისიც, რომ ჟურნალი ერთგულად მიჰყვება ეროვნული სულის გაღვივების გზას! და დამიჯერეთ, ეს იმდენად იშვიათია თანამედროვე საქართველოში, რომ ხანდახან გულიც კი გეწურება ამის გამო.

მინდა ათი წლის ჟურნალს მივულოცო საიუბილეო თარიღი – სიყვარული და თანამდგომელ-თანამშრომელი არ დალეოდეს, კვლავაც სიბრძნითა და მოთმინებით გაეგრძელებინოს თავისი საქმე!

სიყვარულით – ნინო ქუთათელაძე

• • •

ა ნ ე უ ლ ი ს განმარტება ასეთია – ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად.

რა კარგად არის შერჩეული სათაური ჟურნალისთვის და როგორ შმართლებს, ასე ვთქვათ, ზაფხულის ყოველ ნახნავს, ხორბლის ყოველი მოსავალი.

ნომადი ბართაია

სამყაროს იტევს....

ანეული... ეს უძველესი სიტყვა პირველ საგაზაფხულო ხნულს ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას, ამ სიტყვის მნიშვნელობამ განსაკუთრებით უნდა ჩაგვაფიქროს.

უკვე 10 წელი შესრულდა იმ პირველი ხნულიდან, რომელიც ჟურნალ „ანეულის“ მესვურებმა გაავლეს, და აკი მოსავალიც ბარაქიანი მოიმკეს – აღნიშნული ჟურნალი გემოვნებიანი მკითხველისთვის საყვარელ გამოცემად იქცა.

ჟურნალის პრეზენტაციაზე, რომელიც სამ თვეში ერთხელ ტარდება, თაყვანისმცემლები ისე მოდიან, როგორც ზეიმზე. ამ განწყობას ემატება ის ფაქტიც, რომ ჟურნალი დიდი რევაზ ინანიშვილის სახელს უკავშირდება და ყოველწლიურად მისი სახელობის პრემიებიც გაიცემა.

ვულოცავ ჟურნალის მთავარ რედაქტორს, გულმართალ პოეტსა და მოღვაწე ქალბატონს, თამარ შაიშმელაშვილს, მთელ სარედაქციო ჯგუფსა და მკითხველს „ანეულის“ იუბილეს!

აღნიშნულ ჟურნალს რომ მკითხველი არ მოაკლდება, ეს უკვე ცხადია, ამიტომ მე მხოლოდ იმას ვისურვებ, რომ ჩვენი საქართველოს ყველა დარგში გაგვევლოს პირველი საგაზაფხულო ხნულები და ჟურნალ „ანეულის“ მსაგვსად მიგვეღოს ბარაქიანი მოსავალი!

ხნული ხნულს მისდევს მისდევს,
სამყაროს იტევს პირველი ხნული და გაზაფხული!

მზია ხეთაგური

გილოცავთ ყველას!

ანეული – გაზაფხულის ხნულია, ჩვენი „ანეული“ კი, მკითხველთა გულსა და გონებისკენ მიმავალი ხნულია, რომელიც სათუთი, ფაქიზი მოპყრობით ნალოლიავებ – ნაალერსალი ჩვენამდე, ამ ჟურნალის მთავარ რედაქტორს, მის უპირველეს სულისჩამდგმელს – ქალბატონ თამარ შაიშმელაშვილს მოჰყავს!

გაზაფხულის პირველი ხნულის მსგავსია ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებების ამ ჟურნალში დაბეჭდვა, რომელიც, იმ სიხარულს განგაცდევინებს, შრომით ნაჯაფარი მხვნელ-მთესველი, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ყოვლის შემოქმედს რომ უმადლის და შემოდგომაზე მოსავალს ელოდება და მარცვალ-მარცვალ ჩაყრილი სიკეთე, მისავე ფიქრებით ნასაზრდოებია!

ნიშანდობლივია, პირველი ნომერი ჟურნალისა, ყოველთვის გაზაფხულის მაცნეა, როცა ბუნება ყვავილობს, როცა სურნელი მიწის მადლისა გაბრუებს...

ათი წელი საიუბილეო თარიღია!

გილოცავთ ყველას, ვისაც ქართული სიტყვა სუფთა ფურცელზე გამოხატული... სიყვარულზე წაგაკითხებთ და აგამღერებთ!

დალი ჯორბენაძე,
„ლიტერატურული საფიხვნოს“
მთავარი რედაქტორი

• • •

მკითხველთა სიმრავლეს ვუსურვებ!

ჟურნალ „ანეულს“ ათი წელი შესრულებია დაბადებიდან. ჟურნალი მართლაც ათი წლის ყმაწვილივით ენერგიული, სიცოცხლით სავსე და საინტერესოა. ვის არ შეხვდებით ამ ჟურნალში, მკითხველისთვის საყვარელ ცნობილ მწერლებს თუ ახალგაზრდა ავტორებს, ისეთებსაც, ჟურნალ-გაზეთებში ჯერაც რომ არ დაუბეჭდავთ ნაწარმოებები.

აქ მცირე ლირიკული გადახვევა მინდა გავაკეთო და ერთი საინტერესო ამბავი გავიხსენო:

ყველასათვის ძვირფასი მწერალი ლევან გოთუა ციმბირში იყო გადასახლებული, იმ დროს ციმბირში გადასახლებული ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობდა. მაშინდელი კანონის მიხედვით, გადასახლებაში მყოფს შეეძლო მეუღლეც თან წაეყვანა. იბადებოდნენ ციმბირშიც ქართველი ბავშვები, ერთ დასახლებაში ცხოვრობდნენ ქართველები და ციმბირშიც ჰქონდათ თავისი პატარა საქართველო... მწერლის მეზობლად მცხოვრები ქართველების ანგელოზი ბავშვი თინიკო ფეხზე გავლას რომ ცდილობდა, დაუნახავს ლევან გოთუას, სახლიდან გამოუტანია საქართველოს რუკა, გაუშლია მიწაზე და ბავშვის დედისთვის უთქვამს: რაღა ამ ციმბირის დამპალ მიწაზე აიდგას ბავშვმა ფეხი, ამ რუკაზე ვასწავლი სიარულსო... ასე აიდგა ფეხი საქართველოს რუკაზე პატარა თინამ, თინა იმნაიშვილმა.

ჩვენი ჟურნალის რედაქტორი, ქალბატონი თამარ შაიშმელაშვილიც ასე უფენს ჟურნალ „ანეულის“ ფურცლებს – ახალგაზრდა ნიჭიერ ავტორებს. ჟურნალში ხშირად შეხვდებით მწერალთა პირველ ნაბიჯებს. ჩემთვის ამითაცაა ძვირფასი ეს ჟურნალი.

ჟურნალ „ანეულს“ ვუსურვებ მკითხველთა სიმრავლეს და ყოველივე კარგს, რაც წარმატების მომტანი იქნება ჟურნალისთვის.

თენგო ავსაჯანიშვილი

პოეზია

თემურ ჩალაბაშვილი



თემურ ჩალაბაშვილს

ახლა ვნანობ, სანამ ფეხზე ვიდექ
და შემეძლო შენი ნახვა ვიდრე,
ვერა გნახე, მხოლოდ შენი ლექსის
სტრიქონებით სული გავიმდიდრე.

შენ აშენებ სამეგობრო ხიდებს,
რომ სიცოცხლე სიხარულად ღირდეს
ვით გვივლია, იმავე გზით ვლიდე,
რასაც თესავ, მასვე მოიმკიდე.

სამადლობელს გულში ვეღარ ვიტევ,
ვაჟკაცი ხარ, გეტყვი ერთხელ კიდევ,
შენგან მოძღვნილ იასამნის ტოტებს
ნეტავ ვინმე გულზე დამაყრიდეს...

მარი აბრამიშვილი

P. S. **ჩემდამი მოძღვნილი ეს ლექსი ქალბატონმა მარიმ სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა (რაც ძალიან მეამაყება). მე ვამაყობ, რომ მისი თანამედროვე მქვია.**

პატივისცემით და სიყვარულით,
თემურ ჩალაბაშვილი

ლექსგაცვლა

მარი აბრამიშვილის საიუბილეოდ თქმული

ამ დროს გაფრენილს
ვინ გააჩერებს?
დროს მომავლის და
წარმავალისას?
პოეტის ასაკს
ნუ დამაჯერებთ,
რაღა თქმა უნდა –
მერე ქალისას!..

შენი ვალიდან

ჩემს მარადიულს...

შენ შემოგცქერი
უკვე ჭარმაგი.
ყველა წუხილი
შენთან მომიყვანს.
სულ ცხადლივ მახსოვს
შენი ამაგი.
შენი ვალიდან –
რა ამომიყვანს?!

* * *

რა ვქნა, გონს ვერ მოვეგე,
რომ წავიდე, ის დროა,
ზოგს თუ აჯილდოებენ,
ზოგი – თავად ჯილდოა...

გთხოვთ, მაკმაროთ!

ათას რამეს ჭორაობენ,
ჩემზე,
ირგვლივ ისმის მოშურნეთა
ბოდვები.
მე სხვის ცოდვებს ნუ
ამკიდებთ მხრებზე,
გთხოვთ, მაკმაროთ საკუთარი
ცოდვები.
ვიღაც ტირის, ვიღაც
იჭრის ვენებს,
მათზე ვფიქრობ და
გულწრფელად ვღონდები.
ნუ აყვებით ავყიათა ენებს,
მე მაკმარეთ მარტო ჩემი
ცოდვები.
ვინც ქაქანებს
და არ ხმარობს წერტილს
რა შერჩება?
შავი ქვა და ლოდები,
არასოდეს მიცხოვრია –
ჩემთვის
და მაწამებს მე
მავანთა ცოდვები.
გულწრფელი ვარ, მეგობარო,
მენდე,
სხვის სიყვარულს –
ამაოდ ელოდები.
მხოლოდ რწმენით
მიცხოვრია დღემდე
და მაგიჟებს –
დედამიწის ცოდვები.

წინანდალი

მე წინანდლის ვარდი მიყვარს,
მის მზეს ვეტრფი ჩაუქრობს.
წინანდალი წინანდელი
სიჩაუქით ჩაუქობს.
სულ სხვა ადგას შარავანდი,
სულ სხვა ხიბლით
მოფენილს.
წინანდალი – დარდიმანდი
ჭავჭავაძის სოფელი...
წინანდალი – დედა ვაზის,
ცა – ოცების, ცა – სუფთა,
ფუძე უკვდავ სილამაზის –
ჭავჭავაძის ასულთა.
მე წინანდლის ვარდი მინდა,
არ მიტაცებს სხვა უფრო,
წინანდალი ტატოს წმინდა –
სიყვარულის საუფლო...

ზოგჯერ

ყველაფერი ფარსია,
დრო არავის ინდობს.
ზოგჯერ ერთი ფასი აქვს,
სასჯელსა და ჯილდოს.
კაცს ვერ მიხვდნენ აქ როა,
მეტი სახრე ოჩანს.
ყველაფერი ახლოა,
რაც შორიდან მოჩანს.
შენი გულის წადილი
ვერ გაიგოს ვერვინ,
წუთისოფლის მანძილი
მოგაჩვენონ ბევრი.
ყველაფერი ფარსია,
დრო, დროს აღარ ინდობს.
უკვე ერთი ფასი აქვს,
სასჯელსა და ჯილდოს...

რა მიხარია

წელი წელსა ცვლის, დღე ღამეს,
ჯერ მივსდევ, განა ვყოვნდები.
რა მიხარია ნეტა მეც,
სიბერეს ვუახლოვდები...
და როცა როლებს გაცვლიან
დაბადება და სიკვდილი,
მოვა, ბოლომდე ჩამოგვფქვავს
ეჰ, წუთისოფლის წისქვილი...

ავტოპორტრეტი

ვცოცხლობ, იმედს არ ვკარგავ,
დედამიწა ბრუნავს.
მოვკვდე, როცა
დავკარგავ –
გაოცების უნარს.
სადად ვამბობ
არ ვქარგავ,
ფეხით ვთელავ
სუ ნარს.
მოვკვდე, როცა
დავკარგავ –
სიყვარულის უნარს.
სულ ჭენებით –
გავთანგავ,
ჩემგან ნახედნ
ქურანს.
მოვკვდე, როცა
დავკარგავ
კაცად ყოფნის უნარს...

შალვა პეტრიაშვილს

ნახევარი საქართველოს გულის ექიმს...

თავზე მახურავს ქუდი,
არ გამიხედავს მრუდად,
გული არა მაქვს ცუდი,
კარგი გული მაქვს ცუდად...

ზოგიერთ ზემოურს

დაგვყურებენ
მაღლიდან,
არ აქვთ ქვეყნის
დარდი.
ყველა მამაძაღლი და
ყველა სიაფანდი...

ვანო ჯაფარიძეს

ჯაფარიძეთა დიდი ოჯახის მემკვიდრეს

ალბათ ვერ აღწერს წერა-მწერალი,
რაც შენ გახსოვს და რაც შენ გინახავს,
შენ შინა გყავდა ყველა მწვერვალი
და არც კი იცი, თავად ვინა ხარ!..

მავანს

არ გაიხსენო ის ფაქტი,
არ დაგემართოს ი ნ ფ ა რ ქ ტ ი!

მედეა კახიძეს

სამშობლოში ფერფლად დაბრუნებულ პოეტს!

ხან გვიან და
ხან ადრე
თვით გვმასპინძლობს
ბედი ხო,
თავი კი მოგვანატრე,
ქალბატონო მედიკო.
იყო გამოთხოება
უშენობა, ის სუფრა
ხალხს რო გულზე
მოება –
ლექსმა გიჭირისუფლა.
ჩვეულ ფერთა მარმაშით
ვეღარ შეხვდით –
მზე ყანებს,
მონატრებულ –
ქმარს და შვილს
ფერფლად გადაეყარე...
ხან გვიან და
ხან ადრე –
თვით გვმასპინძლობს
ბედი ხო.
თავი კვლავ მოგვანატრე,
ქალბატონო მედიკო...

გვიან მიხვედრილი მარტივი ფილოსოფია

ცუდია, როცა დროს
კარგავს ადამიანი.
მაგრამ უბედურებაა,
როცა დრო კარგავს –
ა დ ა მ ი ა ნ ს!..

და ისმის...

და ისმის ყეფა –
ყურისწამღები,
ცოტაც და ალბათ
გული გასკდება.
ძალზე მომრავლდნენ
ქუჩის ძაღლები
და კაცზე უფრო
ძაღლი ფასდება!

უცხო სტუმრებს

დრო დაგვიდგა
ახალ მოდის,
აღარ მიდის,
მხოლოდ მოდის,
ჩემს მეგობარს,
ვანოს ვკითხე:
გვეშველება
ნეტავ რ ო დ ი ს!!!..

ალდაგინყება

მაია დიასონიძე

ასი წლის მარი აბრამიშვილი

ამის წინათ ჯაკომო ლეოპარდის, იტალიელი მწერლის, მოთხრობა წავიკითხე: „გარეული მამლის სიმღერა“ (ქართულად თარგმნა მაია ტურაბელიძემ). ლეგენდების მიხედვით, თურმე არსებობს გარეული მამალი, რომელსაც ფეხები მიწაზე დაუბჯენია, ნისკარტი ცისთვის მიუდგამს, მისი სიმღერა კი ასეთია: „ჰეი, მოკვდავნო, გაიღვიძეთ! დღე იბადება, დედამიწაზე ჭეშმარიტება ბრუნდება. ფუჭი ლანდები და მოჩვენებები სტოვებენ მას. წამოდექით და მოიგდეთ თქვენი ცხოვრება მხრებზე. გაითავისუფლეთ თავი სიყალბისგან, მოიშორეთ ეს ტვირთი და შეაბიჯეთ ჭეშმარიტების სამყაროში“!

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ მარი აბრამიშვილის პოეზია გამახსენდა, მისი ცხოვრება, მოღვაწეობა, მივხვდი, რომ შევაბიჯებდი რა მის სულიერ სამყაროში, ჭეშმარიტების, სილამაზის, სიყვარულის სამეფოში ამოვყოფდი თავს, ვეზიარებოდი მისი სულის სიმებზე ჩამოკრულ ჰანგებს, რომლებიც მრავალი ათას ქართველს უტკბობს სულსა და გულს. მის ლექსებზე ხომ ოცამდე ცნობილი სიმღერა მაინცაა დაწერილი. რომელი ერთი ჩამოვთვალო: „სიმღერა თბილისზე“ (ლექსზე „თბილისო“), კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი, „იქნებ მართლა“ (ამავე სახელწოდების ლექსზე), მუსიკა ნანა ხვიბლიანის, „ისევ და ისევ გაზაფხულია“ (ლექსებზე: „ისევ და ისევ გაზაფხულია“ და „როგორ დაიჯერე“), კომპოზიტორი გენო მანჯგალაძე, „აი, სად შემხვდი“ (ამავე სახელწოდების ლექსზე), მუსიკა ირმა სოხაძისა, „ერთიან საქართველოს“ (ლექსზე „ერთი ქუდი“), მუსიკა ეკატერინე თევზაძის, ასრულებს ანსამბლი „ქართული ხმები“; მითხარი ხომ არ დავაგვიანე“ (ლექსზე „აი, სად შემხვდი“), მუსიკა არტემ ერქომაიშვილის, „როგორ დაიჯერე ჩემი დაბერება“ (ლექსზე „როგორ დაიჯერე“), მუსიკა ესმა გურამიშვილისა და მრავალი სხვა.

ამ დიდებული პოეტი ქალის ლექსები ხომ გან-

საკუთრებული მუსიკალურობით, რითმულობითა და რიტმულობით გამოირჩევა. ის უმღეროდა სამშობლოს, სიყვარულს. თუმცა ვიცით, რომ არ ჰქონდა მარტივი ცხოვრება. „ჩემი სიტყვა ჭეშმარიტ სიყვარულს ემსახურება, ჭეშმარიტი სიყვარული კი საქართველოა ჩემი“! – წერდა იგი. მისი ყველაზე დიდი სიყვარული ნამდვილად საქართველო იყო და ეს მან მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა.

ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ წელს მარი აბრამიშვილის, ქართველი პოეტი ქალის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, იუბილეა, ,

‚შენ ორი ათას ოცდაორ წელს, სექტემბრის თვეში, სულ მცირე ჟამი – საუკუნე გაგიტოლდება“, – წერდა იგი.

დიახ, მას საუკუნე გაუტოლდა.

მარი აბრამიშვილი დაიბადა 1922 წლის 21 სექტემბერს საჩხერეში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 (ახლანდელი 51-ე) საშუალო სკოლა, ხოლო 1944 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1945 წლის 27 მარტს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტთან ერთად ხელნაწერი ჟურნალის – „ანათემა“ გამოცემის გამო დააპატიმრეს. ამ დროს ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი, მან საოცნებო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფად დაიწყო მუშაობა, მაგრამ პირველი ხელფასის დახარჯვაც კი ვერ მოასწრო, დააპატიმრეს სამსახურიდან გამოსული.

„ჩვენ ამ საღამოს წაგვიყვანენ, მაგრამ რა ვუყოთ,
იქ ხომ ფარული ბორკილები აღარ გვედება“.... – წერდა იგი დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე.

მას მთავარ დანაშაულად ანტისაბჭოთა ხელნაწერი ჟურნალის „ანათემას“ გამოცემა წაუყენეს, მაგრამ ამას დაემატა აბსურდული ბრალდებანი: მისი სტუდენტობის დროს დაწერილი რეფერატი „ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება“, ასევე იმ ყმაწვილის სიყვარული, რომელიც რეპრესირებული ოჯახიდან იყო, ასევე ის, რომ სამამაულო ომისთვის, როგორც ამას უწოდებდნენ მაშინ ფაშისტურ გერმანიასთან ომს, არ ჰქონდა მიძღვნილი ლექსები.

მარი აბრამიშვილი ერთი წელი მარტოდმარტო იჯდა 31-ე ვიწრო, უსარკმლო საკანში, რომ არ გაგიჟებულიყო, ხმამაღლა წერდა და მღეროდა თავის ლექსებს, წერდა პირობითია, კალამს და ფურცელს ვინ მისცემდა, გონებაში დაწერა 100-მდე ლექსი, რომლებიც შემდგომ ვიატკის ბანაკებში ფურცლებზე გადაიტანა, ზეპირად ჰქონდა დამახსოვრებული. ის საბედისწერო ჟურნალი „ანათემა“ დაიკარგა, მხოლოდ ერთი სტროფი ლექსისა შემოინახა რევაზ კვერენჩხილაძემ:

„პატარა ერი თავის კუთხეს აღარ მმართველობს,
როგორც ცხვრის ფარა, სხვის კომბლის ქვეშ
მიედინება,
მითხარ, სად არის ან სამშობლო, ან საქართველო,
სად არის ჩვენი ცა-ფირუზ და
ხმელეთ-ზურმუხტი?!
ხომ ხედავ, კუთხე წაგვართვეს“!

მარი აბრამიშვილი გადაასახლეს. შვიდი ქალაქის: თბილისი, როსტოვი, მოსკოვი, გორკი, კიროვი და ვიატკა, ის ქალაქებია, რომელთა ციხეებშიც იჯდა ძვალზე ტყავგადაკრული ახალგაზრდა ქალი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, და სასჯელს იხდიდა.

ყველაზე დიდხანს ვიატკის ბანაკებში მოუწია ყოფნა. სწორედ ამითაცაა მარი აბრამიშვილი გამორჩეული, რომ ის ერთადერთი ქალია ქართველ რეპრესირებულ მწერალთა შორის. ფიზიკურ ტანჯვაზე მეტად მისთვის სულიერი ტანჯვა უფრო მძიმე გადასატანი აღმოჩნდა. თავისივე თანამოაზრემ, „ანათემას“ ჯგუფის წევრმა, მეგობარმა და თაყვანისმცემელმა უღალატა. გადასახლებიდან დაბრუნებული ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდა. საზოგადოება ერიდებოდა, როგორც რეპრესირებულს,, ‚სამშობლოს მტერს“, მაგრამ ძლიერი სულის ქალმა ფარ-ხმალი არ დაყარა და კვლავ განაგრძო ლიტერატურული საქმიანობა. 1951 წელს მისი ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, ხოლო ლექსების პირველი კრებული 1957 წელს გამოვიდა. 1970 წელს მიიღეს მწერალთა კავშირის წევრად. რეაბილიტირებულია 1998 წლიდან. გარდაიცვალა 2008 წელს. ის ოცამდე წიგნის ავტორია. 1993 წელს აბრამიშვილმა მიიღო მწერალთა კავშირის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, 2000 წელს კი მიენიჭა სახელმწიფო პრემია. 2002 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პედაგოგი მზია ხელაშვილი იხსენებს: „მახსოვს, ჩემი ქართულის მასწავლებელმა, მაყვალა სიმონიშვილმა წაგვიკითხა მისი ლექსი:

„მე თავს არაფრით არ შეგახსენებ.
ბიჯს არ გადმოვდგამ ზედმეტს,
შენ თვითონ თუ არ დამიმახსოვრე,
შენ თვითონ თუ არ მძებნე.
მე თავს არაფრით არ მოგაძალებ,
თუ არ გჭირდები თვითონ,
მე სიყვარული ასე მასწავლეს,
ასე მწამს, მე რომ მკითხო“.

მერვე კლასში ვიყავით მაშინ და ასე „დაგვმოძღვრა“, – წერს მზია. მესიამოვნა ამის წაკითხვა, მარი აბრამიშვილის ლექსებს და მის განვლილ ცხოვრებას აღმზრდელობითი დატვირთვა და მნიშვნელობაც ჰქონდა და ექნება ყოველთვის.

გავიხსენებ პოეტ და ჟურნალისტ ნანა ღვინეფაძეს, რომელმაც გახმაურებული წიგნი „შარავანდედი“ უძღვნა ეროვნულ გმირს, მარო მაყაშვილს, ის ამბობდა, რომ მას მეორე, მაროსავით თავდადებულ თანამედროვე ქართველ ქალად მარი აბრამიშვილი მიაჩნდა, სიამოვნებით დაწერდა მარი აბრამიშვილის ცხოვრების წიგნსაც, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, როცა გაიგო, რომ მარი აბრამიშვილი თავად აკეთებდა ბიოგრაფიულ ჩანაწერებს.

მართლაც, დაიწერა მარი აბრამიშვილის წიგნი „ბედისწერის განაჩენი“, რომელიც 2016 წელს დაბეჭდა „ინტელექტმა“. ეს დიდი და ამაღელვებელი

ცხოვრების ისტორიაა, რომელიც ყოველთვის მძაფრი ინტერესის საგანი იქნება მისი ავტორის პიროვნული სიძლიერის, გაუტეხლობის, ქედუხრელობის გამო.

მარი აბრამიშვილის ლექსები მდიდარია მხატვრული ხერხებით, აღარ ვლაპარაკობ მათ შინაარსსა და იმ ღრმა განცდებსა და გრძნობებზე, რომლებსაც ისინი იწვევენ. დიდია პოეტის კავშირი ბუნებასთან. ის ერწყმის თითოეულ მინდორს და ველს, ყვავილსა თუ ხეს, ისინი ხომ საქართველოსია, მისი განუყოფელი ნაწილებია. როგორ ესიყვარულება მტკვარსა და არაგვს („არაგვს"), როცა არაგვს ცელქ შვილს უწოდებს, მტკვარს კი – დედას.

„ლოდებზე თავ-პირნალეწი
და მუხლჩახრილი მცხეთასთან,
მტკვარს მოჰყავს ხვევნა-ალერსით,
ვით ცელქი შვილი დედასა".

მტვარშიც ის არაგვს ეძებს, მის ზვირთებს და წერს:

„იმიტომ მიყვარს ეს მტკვარი,
შიგ რომ არაგვი დაცურავს".

ლექსში „ჩვეულებრივად" ავტორი წერს: „ჩვეულებრივად გათენდა დილა, დაიფშვნა ღამე, ვით შავი ლოდი", მაგრამ ვხედავთ, რომ ლექსის დასაწყისიც კი არაჩვეულებრივია, მაშინვე წარმოგვიდგება უკუნი, რომელიც დღის სინათლემ გაფანტა, შავი ლოდი, რომელიც დაიფშვნა და ნაწილებად მიმოიფანტა გარე სამყაროში, ის უკვალოდ არ ქრება, ყველა ჩვენგანის სულშიც კი რჩება მისი ნამსხვრევები.

რასაც ავტორი ამ ლექსში აღწერს, თითქოს ყოველივე ჩვეულებრივია: როგორ ატოკებს ნიავი ალუბლის ტოტს, ბალახი მწვანე, ყვავილი, ბავშვი, ადამიანების სიყვარულიც, მაგრამ შემდეგ ღამდება ისევე ჩვეულებრივად, ყველა სულდგმული თავშესაფარს მონახავს და აქ უკვე ლექსის საოცარი დასასრული: „ცა იყო – არაჩვეულებრივი"! და წარმოვიდგენთ ცას, ვარსკვლავებით მოჭედილს, რომელიც გვაერთიანებს იდუმალ სამყაროსთან, კოსმოსთან, ღმერთთან, რომლის გარეშე არაფერი იქნებოდა, სწორედ ამიტომაა ცა არაჩვეულებრივი, ციდან მოდის ღვთიური ძალა, ანგელოზების დახმარება, რომელიც ჩვენ გვაცოცხლებს, ადამიანებად დარჩენის საშუალებას გვაძლევს.

მარი აბრამიშვილი, ისევე როგორც სხვა მრავალი ქართველი თუ არაქართველი მწერალი უღრმავდება ჩვენი ცხოვრების არსს, განსაზღვრავს სიკვდილ-სიცოცხლის რაობას, მათ განიხილავს, როგორც ერთ მთლიანს, ესაა თეთრი და შავი, თეთრი დღეა და შავია ღამე, მაგრამ ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან, ჩვენი ცხოვრებაც თითქოს თეთრ და შავ ზოლებადაა დაყოფილი, ხან ბედის რჩეულნი ვართ და გვიმართლებს, ხან დაჩაგრულნი და უსიამოვნებების კასკადი გვდევს თან. ასეა დედა ბუნებაშიც, თანაარსებობენ მერცხალი და სვავი, და თუ ისინი მტრები არიან, ჩვენი ადამიანური გაგებით, სამყაროსთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობაა, აუცილებლობაა, უკვდავებასაა ზიარებული ორივე, უამისოდ სამყაროც არ იარსებებდა.

„სიკვდილ-სიცოცხლე – თეთრი და შავი,
ერთი – ყვავილი, მეორე – ლოდი;
ერთი – მერცხალი, მეორე – სვავი,
ერთიც, მეორეც უკვდავი ოდით.
მხარდამხარ ვლიან, ერთურთის ურჩი
მტრები არიან ისინი როდი,
როცა სიცოცხლეს ძალიან უჭირს,
დასახმარებლად სიკვდილი მოდის".

არ შეიძლება მარი აბრამიშვილის ლექსი: „ჩემს ქართულ ანბანს"! წავიკითხოთ და ჟრუანტელმა არ დაგვიაროს... ქართულ ასოებს ავტორი ჩუქურთმებს უწოდებს, დიახ, ისინი ჩვენს სულში ჩახატული და ამოტვიფრული ჩუქურთმებია. მას სურს ისეთი სიტყვა თქვას, რომ სამრეკლოს ზარად ისმოდეს, გუგუნებდეს, „მსურს ვათქმევინო ისეთი სიტყვა – სამრეკლოსათვის ივარგოს ზარად", როგორც ხმა ერისა, როგორც სამყაროს შეძახილი, გადასარჩენია ქართული ენა და სწორედ ამ ენაზე ზრდილთა მთავარი ვალია ამის გაკეთება.

კიდევ სიყვარულის თემას მინდა შევეხო, პოეტი ზოგ ლექსში სიყვარულში იმედგაცრუებას გამოხატავს, როცა ლექსში „არ დამიჯერო" ამბობს: „მე სიყვარული დღემდე არ ვიცი, როგორ ყვავილობს", მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ თუ მას სიყვარული ზეცის რისხვა, ცრემლი ეგონა, ასე არ ყოფილა, ის ღვთის მადლია, ურომლისოდაც ამქვეყნად ცხოვრება უინტერესოც კი იქნებოდა.

„მე სიყვარული დარდი მეგონა...
ის არ ყოფილა, თურმე სულ სხვაა!
მადლი ყოფილა! მადლი ყოფილა,
მე კი მეგონა, – ზეცის რისხვაა"!

როგორც საბავშვო პოეტმა, არ შემიძლია არ აღვნიშნო მარი აბრამიშვილის როლი საბავშვო ლიტერატურაში. მისი ცინცხალი ლექსები აღვივებს ბავშვის ფანტაზიას, უღვიძებს ცნობისმოყვარეობას, სამყაროს შემეცნების წყურვილს, უყალიბებს ზნეობრივ სახეს, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდისთვის.

„ –ანი, ბანი, განი...
აბა, განი, განი!
სკოლისაკენ მივფრენ,
როგორც ლაღი ქარი;
ჩაკრული მაქვს გულში,
მოწკრიალე ქნარი:
ჩემი „დედაენა"
და „ბუნების კარი".

საინტერესოა მწერლის საბავშვო მოთხრობებიც: „ატირებული ბავშვი", „შარვალმა დააბა"... მარი აბრამიშვილის საბავშვო წიგნი „ფერადი ფანქრები" 2007 წელს გამოსცა საყმაწვილო გამომცემლობა „დილამ". წიგნის მხატვარი ლაშა სულაკაურია.

კიდევ ბევრი შეგვიძლია ვისაუბრო მარი აბრამიშვილის პოეზიაზე. მოვუსმინოთ გარეული მამლის სიმღერას, ჩამოვიხსნათ სიყალბის ტვირთი ზურგიდან, როგორც ეს გაკეთა ამ დიდებულმა პოეტმა ქალბატონმა, დაადგა ჭეშმარიტების, სამშობლოს, ადამიანების სიყვარულის გზას და არასოდეს გადასულა ამ ბილიკიდან.

მაჩი აბჩამიშვილი

აი, სად შემხვდი

აი, სად შემხვდი, ვით ღამისთევა,
მე კი თურმე სად დამღამებია, –
შენ რომ გიყვარდა, – ის ქალი მე ვარ,
შენ უიმედოდ არ გყვარებია.
მე ახლა შენ წინ დაღლილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, –
შენ რომ ეძებდი, ის ქალი მე ვარ,
მითხარი, ხომ არ დავაგვიანე?
თუნდაც უსიტყვოდ დამუნჯდეს ენა,
მე უშენობის დაღი მატყვია;
შენ რომ გინდოდა, ის გული მე მაქვს –
ვიცი, სხვა გული არ გინატრია.
შენ ეძახოდი შორს, შენგან წასულს
და ხმა ქარიშხალს ჩაუქოლია;
შენ ეძახოდი ვიღაცა ასულს
და ჩემს მეტს არვის გაუგონია.
მე ახლა შენ წინ დაღლილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს,
შენ რომ ეძებდი, ის ქალი მე ვარ, –
მაგრამ ვაი, რომ დავაგვიანე.

ჩემი ყაყაჩო

ამ ყვავილებში ქარი რომ ცხარობს,
ქარი კი არა, ლექსის ღმერთია!
ყველა ყვავილი წაგეღო, ქარო,
ოღონდ ყაყაჩო არ წაგერთმია.

ყაყაჩოსავით ვარ დაღდასმული,
ცეცხლიც, ნახშირიც ჩემი ხვედრია,
ყაყაჩოსავით დამიწვავს სული
და სანთელიით დამიღვენთია.

მის უსათუთეს ფოთლებს რომ ნამავს,
ჩემი ობოლი ცრემლის წვეთია,
როგორ გახშირდა სახელი – ანა
და ყველამ იცის, ანა ერთია.

ყველა ყვავილი წაგეღო, ქარო,
ოღონდ ყაყაჩო არ წაგერთმია!

იქნებ მართლა...

წვიმს და... შავად შენისლულან მთები,
წვიმს და... წვიმამ აღარ გადაიღო,
იქნებ მართლა აღარ შევრიგდებით,
იქნებ მართლა განშორება იყო?

იქნებ მართლა შეგეცვალა გული,
იქნებ მართლა უჩემობა გიჯობს,
იქნებ მართლა გაქრა სიყვარული,
იქნებ მართლა შემიძულე, ბიჭო?

აღარ მახსოვს, შენ დამტოვე მაშინ,
დამგმე, როგორც მოღალატეს გმობენ,
თუ მე თვითონ გაგექეცი ქარში
და „დაბრუნდი“ ვეღარ გავიგონე.

წვიმს და შავად შენისლუნან მთები,
განზე მდგარი ხე ტირის და მიხმობს, –
ნუთუ მართლა აღარ დაბრუნდები?
ნუთუ მართლა განშორება იყო?

სიკვდილ-სიცოცხლე

სიკვდილ-სიცოცხლე – თეთრი და შავი,
ერთი – ყვავილი, მეორე – ლოდი;
ერთი – მერცხალი, მეორე – სვავი,
ერთიც, მეორეც უკვდავი ოდით.
მხარდამხარ ვლიან, ერთურთის ურჩი
მტრები არიან ისინი როდი,
როცა სიცოცხლეს ძალიან უჭირს,
დასახმარებლად სიკვდილი მოდის.

ჩემს ქართულ ანბანს!

ჩემს ქართულ ანბანს –
ოცდაცამეტ ქართულ ჩუქურთმას
ვერ ვათქმევინებ
ქართულ მაჯამებს, –
თუ არ ქართული ბუნებით ზრდილთა,
ლექსში სხვა სიტყვებს
არ ვაჭაჭანებ.
ჩემს ქართულ ანბანს –
ოცდაცამეტ ქართულ ჩუქურთმას,
სვებედნიერი შეგირდის დარად,
მსურს ვათქმევინო ისეთი სიტყვა –
სამრეკლოსათვის ივარგოს
ზარად.

არ დამიჯერო!

არ დამიჯერო,
მე სიყვარული
დღემდე არ ვიცი, როგორ ყვავილობს!
როგორ იხსნება ყველა სარკმელი
და სული როგორ მღერის ალილოს.
მე სიყვარული დარდი მეგონა...
ის არ ყოფილა, თურმე სულ სხვაა!
მადლი ყოფილა!
მადლი ყოფილა,
მე კი მეგონა, – ზეცის რისხვაა!
მე სიყვარული ცრემლი მეგონა
მონატრების და გადავიწყების...
არ მოგეშვება, ვიდრე არსებობ,
ვიდრე კვარივით არ დაიწვები!
მე სიყვარული ზარი მეგონა,
გამოტირება საკუთარ სულის,
როცა, ვითარცა უბელო თეთრონს,
ვერ დაიოკებ ურვას და წყურვილს.
ო, რა ამაოდ გელოდი, თურმე,
და რა შორსა ხართ, გზანო, განვლილნო...
არ დამიჯერო,
მე სიყვარული
დღემდე არ ვიცი, როგორ ყვავილობს!

სიყვარულის სიძველე

ეს... მე კი არ დავბერდი,
გულს რომ დარჩა მარადა,
იმ ძველი სიყვარულის
სევდა გაჭაღარავდა.
შუბლზე გადავატარე
სტრიქონები ღვარადა,
მე დავასწარ – სიბერე
სანამ დამიღარავდა.
სასტიკ ბედთან ჭიდილში
მთად ვიყავ თუ ბარადა,
ყველგან ჩემი მფარველი
ანგელოზი მფარავდა.
ეს მე კი არ დავბერდი –
დარდი გაჭაღარავდა.

მოდიან და მიდიან

ახლახან გასრულებულ
საუკუნეს მეოცეს,
ჩემი თაობისანი აქა-იქა შემორჩნენ.
სიტყვით, ტყვიით, ღალატით
ძმები რომ დამეხოცნენ,
ისტორია ეპოქას მათი სისხლით შემოწერს.
შევხვდით ოცდამეერთეს საუკუნეს
ბინდიანს,
ნანატრო გაზაფხულის მოლოდნი დიდია;
ჩვენგან დარგულ ხეებზედ, ეს რამდენი კვირტია,
გაიშალონ, აყვავდნენ, ახლა მათი რიგია, –
ჩემი თაობისანი კი...
მიდიან, მიდიან...

სად მიხვალ?!

სად მიხვალ, სადა?!
ინანებ!
ან იმ სიყვარულს რა უყავ?
გზა-კვალ შეშლილი მდინარე
ვერ იმჩქეფარებს წყალუხვად,
სადაც არ უნდა წახვიდე,
სამშობლოს ვერსად წაუხვალ,
უკანვე ჩამოაბრუნებს,
ვინც კი უცხო გზებს გაუყვა.

* * *

„აღარ გათენდები, ღამევ, საზიზღარო“?!
გალაკტიონი

არ მძინავს.
გათენებას ველი.
რამდენჯერც გავახილე თვალი,
იმდენჯერ ვერაფერი დავინახე.
ღამეა უგონოდ მთვრალი,
სძინავს, არ იღვიძებს ღამე.
ლამის შეშლილივით დავიძახო:
ყვავებს აუქშიეთ, ყვავებს!

ეროვნული არქივიდან

ემზარ ჯვიტაიშვილი



როგორ უყვარდათ ერთმანეთი



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ათეული წლების მანძილზე პერიოდულად იცემოდა მისივე დაარსებული მრავალფეროვანი კრებული „ლიტერატურის მატიანე", მასში, კომენტარებითურთ, ქვეყნდებოდა გარდაცვლილ მწერალთა საარქივო მასალები (დღიურები, მოგონებები, ლექსები, პირადი წერილები, ფოტოები...), რითაც მეტად სასარგებლო საქმე კეთდებოდა. ბოლო ხანებში ამ ესოდენ საჭირო ტრადიციას გზა გადაეკეტა – 2015 წლიდან, სამწუხაროდ, უსახსრობით, დაუფინანსებლობის გამო, „ლიტერატურის მატიანე" აღარ გამოდის – უსიამოვნო წყვეტილი გაჩნდა.

პოეტ იზა ორჯონიკიძის დირექტორობის დროს მომზადდა გიორგი ლეონიძის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ჩვეულებრივზე დიდი კრებული „ლიტერატურის მატიანისა", რომლის გამოცემა მხოლოდ 2005 წელს მოხერხდა. ეს კრებული ჩემთვის იმით არის ძვირფასი, რომ იქ გამოქვეყნებულია დაპატიმრებული მამაჩემის, დავით კვიტაიშვილის ხელით, ორთაჭალის კოლონიაში 1948 წელს ჩაწერილი „ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა". იგი ამ რაინდული სულისა და კაცური კაცობის, აფხაზეთ-სამეგრელოს სიმბოლოდ ქცეული ყოველივე ქართულის განმასახიერებელი დიდებული პიროვნების ხიფათებიან თავგადასავალს მოგვითხრობს. ზედვეა დართული ჩემი ნარკვევი „სიკეთის შუქი", სადაც შევეცადე, ამ იშვიათი ჩანაწერის მნიშვნელობა მეჩვენებინა. აღნიშნული კრებული მარტო ამის გამო არ გამხსენებია, მასში უხვად არის წარმოდგენილი ქართველი მწერლების მეგობრებისადმი გაგზავნილი წერილები. აგრეთვე, უცხოეთში ტყვედ გაყიდულ და იქ სახელოვნად მოღვაწე ქართველებზე მოპოვებული უნიკალური ცნობები.

რამდენიმე თვეა, გიორგი ლეონიძესთან დაკავშირებულ მასალებს ვეძებ და „ლიტერატურის მატიანის" ხსენებულ კრებულს ამიტომაც უფრო ჩავხედე. მასში გამოქვეყნებულია ყველასათვის საყვარელი ადამიანის, საუკეთესო ნოვატორი პოეტისა და უკეთილშობილესი ქართველის, ალექსანდრე აბაშელის არქივში შენახული წერილი გიორგი ლეონიძისა, რომელიც უმცროს მეგობარს გაუგზავნია 1930 წლის 15 დეკემბერს, როცა ჯანმრთელობაშელახული ალექსანდრე აბაშელი გულრიფშში ისვენებდა.

გიორგი ლეონიძე მონატრებულ ადრესატს ამცნობს, რომ ტიციან ტაბიძესთან, სანდრო შანშიაშვილთან და გამოჩენილ ისტორიკოსთან, სარგის კაკაბაძესთან, დავით კაკაბაძესთან ერთად მეგობრული სერობა აქვთ გამართული. სამკურნალოდ წასულს ამხნევებს: „აფხაზეთი ცხოვრების ელექსირს მოგცემს"...

ქვემოთ ლეონიძისეული პოეტურად აბრიალებული მიმართვა უნდა მოვიტანო, სადაც ქართული კინოს მარად მბრწყინავი ვარსკვლავის, ნატა ვაჩნაძის ღვთაებრივად მბრწყინავი სახე შემოგვაშუქებს. არ ვიცი, ვისია ბარათში ჩართული მღელვარე სტრიქონები, მაგრამ გიორგი ლეონიძე რომ უგულითადესი მეგობარი და აღტაცებული მეხოტბე იყო ნატა ვაჩნაძისა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი.

გული სიამაყით აგევსება – 20 - იანი, 30 - იანი წლების პოეტებს როგორ უყვარდათ ერთმანეთი, რამდენი სითბო იყო ჩაღვრილი მათ ყოველდღიურ ურთიერთობაში, ოჯახურ სიახლოვეში. ჩავიხედოთ, სილამაზის, მშვენიერების, სიკეთის რა მონატრებაა ამ ნაუცბათევად გაგზავნილ წერილში:

„ძვირფასო საშა!

პირველი თოვლია. ვზივართ ოთხნი. ვიგონებთ ბავშვობას, ვაჟა-ფშაველას, „ამოდის ნათდება"-ს, ჩვენი სოფლის ორღობეებს, რომელიც ეხლა დაბარდული იქნება თოვლით. პირველ სიყვარულს და შენ – ქართული პოეზიის მძევალს აფხაზეთში – დიოსკურიის ნაპირზე. გრიალებს მუსიკა: „ქალი დავინახე, თვალი მომანათა, ვინ არის ეს ქალი – ვაჩნაძეა ნატა"! ცეკვავენ ბოთლებით, ხანჯლებით.

ჩვენ ვსვამთ შენ სადღეგრძელოს, როგორსაც დალევდა ავთანდილი: გვენატრება შენი ნახვა. გვინდა ყველა ფიჭვების სურნელება. რივიერას მთელი ჰაერი შეისუნთქოს შენმა ორგანიზმმა. გაკოცებ.

გოგლა ლეონიძე.

15 დეკემბერი, ტფილისი".

ამ ხალისიანი სტრიქონების დაწერის მერე რამდენი რამე მოხდა და სავალალოდ შეიცვალა. რანაირად გინდა მოინელო გარეშეთა გაუგონარი სისასტიკე და სულგაყიდულ შინაურთა ამაზრზენი ღალატი. რუსები, კარგა ხნის წინ აფხაზეთის ვერაგულად დაგეგმილ წაგლეჯამდე, გაგრისა და აფხაზეთის სხვა სანაპიროებზე ამბობდნენ: „ჩვენი რივიერაო" და ეს დაწერეს კიდეც, არ დაუმალავთ. ახლაც თვალწინ მიდგას, წითლად შეღებილ ზღვაში როგორ დაცურავდა დაჩეხილ-დახვრეტილ, თავმოკვეთილ ქართველთა სხეულის ნაწილები. არა მგონია, ველურებს, კაცთმოძულეებს საბოლოოდ შერჩეთ ის დაუნდობლად დაღვრილი სისხლი, ყაჩაღობა. ზოგჯერ ვფიქრობ – კიდევ კარგი, რომ გიორგი ლეონიძე არ შეესწრო საქართველოს გაჩანაგებასა და დაგლეჯას.

P.S. არც ის არის დასავიწყებელი – გიორგი ლეონიძის წერილი იმ ხანებშია გაგზავნილი, როცა ალექსანდრე აბაშელს, როგორც ვითომდა რეაქციონერს, გააფთრებით ესხმოდნენ თავს „რაპპელები". უნიჭო პროლეტ-პოეტები, ხელისუფლებისაგან დაქირავებული, ყოველგვარ სიგლახეზე ხელისმომწერი კრიტიკოსები. საბჭოთა წყობილების დამქაშთა უკეთურებაზე იმ ბარათში გიორგი ლეონიძე ვერაფერს მისწერდა. იცოდა, წერილები ისინჯებოდა და აღრიცხვაზე ჰყავდათ აყვანილი.

განსაკუთრებულად ჰქონდათ ნიშანში ამოღებული ალექსანდრე აბაშელის 1929 წელს გამოცემული ლექსების წიგნი – „გაბზარული სარკე". რაღას არ სწამებდნენ მის ავტორს. წაკითხული მაქვს, ვგონებ, ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნდა ერთი კრიტიკოსის ბოროტი, ღვარძლიანი სტატია. ეს იყო აშკარა დასმენა ხელისუფლების წინაშე – გარდასულთა, ძველი სამყაროს აჩრდილებს ელოლიავება, მათი სულებისათვის ლოცულობსო. გასაკვირია, როგორ გადაურჩა პოეტი მაშინ დატრიალებულ სისხლიან რეპრესიებს. ამგვარი დამბეზღებელი წერილები მაშინ თავისუფლად კმაროდა, ისედაც შეზღუდული თავისუფლება მთლად წაერთმიათ და ზედ დახვრეტაც დაესართებინათ. ვინ აღრიცხავს, რამდენი სრულიად უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს წუთისოფელს განუკითხავად, გაუსამართლებლად. ხშირად სასიკვდილოდ გამეტებულთა ბედს „სამეული" ე.წ. ტროიკა წყვეტდა. ეს არ გახლდათ გოგოლის გენიალური „მკვდარი სულების" ფინალში ხოტბაშესხმული თვითონ რუსეთს შედარებული, ამტვერებულ თემშარაზე გრიგალისებურად მიმქროლავი ეტლი, რომელშიც ბრინჯაოსმკერდიანი მფრთხვინავი ცხენები იყო შებმული. გოგოლი იმპერიულად აღტკინებული წერს, რუსეთად წარმოსახულ ამ „ტროიკას" როგორ უთმობენ გზას გვერდზე გაწეული „სხვა ხალხები და სახელმწიფოები".

ერთობ ცუდად აუხდა „მკვდარი სულების" უკვდავ შემოქმედს ეს წინასწარმეტყველება – ერთი საუკუნეც არ გასულა მისი რომანის გამოქვეყნებიდან, რომ კაციჭამია, მანიაკი ლენინის მეთაურობით, მოხდენილ „ოქტომბრის გადატრიალებას" მოჰყვა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სასტიკი, სისხლიანი დიქტატურა: სელოვნურად გაჩაღდა ყოვლად გაუმართლებელი ხოცვა-ჟლეტისა და შიმშილობის მომტანი სამოქალაქო ომი, გაუთავებელი ხვრეტები, გვამებით მოფენილი საკონცენტრაციო ბანაკები.

რუსეთის „ტროიკამ" ნამეტანი შორს გაუსწრო „სხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს", მაგრამ ეს არ იყო თავის მოსაწონებელი გასწრება; „ჩეკას" მეთაურებს რევოლუციური „ტროიკები" დღე და ღამე ჰყავდათ დასაქმებული და ნესტიან სარდაფში ჩაყრილ ზვარკად ქცეულ ადამიანებს რიგრიგობით ხვრეტდნენ – ღამის სიბნელეში დატუსაღებული „კონტრრევოლუციონერობისთვის". არ ენანებოდათ კეფაში დამიზნებული „ცხრაგრამიანი" ტყვია. ამით კიდევაც ამაყობდნენ.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, უთვალავ მსხვერპლთაგან მხოლოდ ერთს, უშიშარ, გაუტეხელი სულის უნიჭიერეს პოეტს, ანა ახმატოვას მეუღლეს, ნიკოლაი გუმილიოვს გავიხსენებ, ვისაც კრონშტატის ოფიცერთა შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს და 1921 წლის აგვისტოში, სიფილიტიკი ლენინის მითითებით, თანხმობით დაიხვრიტა.

გუმილიოვმა, როგორც უმამაცესმა ოფიცერმა, პირველი მსოფლიო ომი გამოიარა. ბრძოლის ველზე ისე გადიოდა, ეგონათ, სიკვდილს ეძებსო, მაგრამ უვნებელი დაბრუნდა ფრონტიდან. ამის მერე, დაღუპვამდე სამი წლით ადრე, ერთ ლექსში („მე და თქვენ") იწინასწარმეტყველა – საწოლში არ მოკვდები, თავზე ნოტარიუსი და ექიმი რომ მადგნენო... იმავე ხანების სხვა ლექსში („მუშა") ნათელმხილველის სიცხადით წერს დაბალ, მოხუცებულ, ნაცრისფერხალათიან მუშაზე, ვინც მისი მოსაკლავი ტყვია უნდა ჩამოასხას. რამდენიმე სტრიქონს დედნის ენაზე მოვიტან, შთაბეჭდილება რომ არ შენელდეს:

Все он занят отливанъем пули,
Что меня с землею разлучит.
…
Пуля им, отлитая, просвищет,
Над седою, вспененной Двиной,
Пуля им отлитая, отыщет
Грудъ мою, она пришла за мной.

აქფებული, ფართოდ გაშლილი მდინარის ნაპირას სიკვდილიც არ ეღირსა, რომ ვინმეს ბრძოლის დროს მკერდში დაეხალა ტყვია. „ენკავედეს" ჯურღმულში გამოასალმეს სიცოცხლეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, დახვრეტის წინ ნერვიც არ შეტოკებია.

დღევანდელ საქართველოში მწერლობაზე გაქაჩულ სათავისოდ მგლეჯელ სახელისა და სახრავის მოსაპოვებლად დაქუცმაცებულ წვრილ-წვრილ დაჯგუფებებს როცა შეხედავ, ძალაუნებურად აღმოგხდება მწარე სინანული: „რა ჭირი გვეცა, რამ დაგვცა და გადაგვაგვარა ასე"?!

ბიოხბი ლალიაშვილი

ზინა კვერენჩხილაძე – ქართული ხელოვნებისა და სულიერების უნიკალური ნიშანსვეტი

ასე დარჩება საქართველოს ისტორიაში ზინა კვერენჩხილაძე, გენიალური მსახიობი და პიროვნება, ვინც თავისი ამქვეყნიური მოვლინებით ქართული ნიჭიერების საგანძურს საკუთარიც უხვად შემატა.

ქართული თეატრის სამი ყველაზე დიდი რეჟისორის – დიმიტრი ალექსიძის, მიხეილ თუმანიშვილისა და რობერტ სტურუას სპექტაკლებში გაიშალა და გაბრწყინდა მისი უბადლო შესაძლებლობები. როლები, რომლებსაც ის სულს უდგამდა, იმგვარ დამაჯერებლობას და ჭეშმარიტების უნიკალურ ძალას ასხივებდა, რომლის დავიწყება შეუძლებელია, თუკი ამის თვიმხილველი ოდესმე ყოფილხარ.

ათეულობით წამყვანი როლი განასახიერა რუსთაველის თეატრში, წლების განმავლობაში ამ თეატრის მძლე დიდებას მისი როლები განაპირობებდა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მას ვარსკვლავიც გაუხსნეს რუსთაველის თეატრის წინ. რუსთაველის პრემია მას არ არგუნეს, მას ქართული სიტყვიერების ყველაზე დიდ გულთამხილველს, მას, ვისმა მართლაც „შემკულმა და კურთხეულმა“ ხმამ ახალი მწვერვალები დაამკვიდრა მხატვრული კითხვის ხელოვნებაში?! ამდენი ქართველი პოეტი და მწერალი არცერთ მსახიობს არ გაუჟღერებია სცენიდან.

იგი გახლავთ ქართული სწორმეტყველების ნამდვილი უნივერსიტეტი. ქართული ენის ბუნებრივი მშვენიერება და სიდიადე მისი ხმით ახალი შარავანდედით გაბრწყინდა. და რა სამარცხვინო ბუტაფორიად დარჩებიან ისტორიაში ის ბიუროკრატები, ვინც რუსთაველის პრემიას გასცემდა. ეს მწარე ფაქტიც მიუთითებს, თუ როგორ უსამართლო გარემოში უწევდა გაძლება სცენისთვის და სიტყვისთვის თავშეწირულ ხელოვანს?! ეს ამბავი ქართულ სირცხვილად შემორჩება ისტორიას. თუმცა მას იმდენად უყვარდა სიცოცხლე, ხელოვნება და ადამიანები, რომ ასეთ ზნედაშრეტილ სინამდვილეს არასოდეს გაუბოროტებია. მუდამ სიმართლის, სიკეთის, მიტევების ერთგული რჩებოდა!

ზინა კვერენჩხილაძე საქართველოში ყველა დროის უდიდეს მსახიობთა პანთეონს განეკუთვნება, რაც უკვდავებას მოასწავებს! თუმცა, უკეთესი იღბალი რომ დაჰყოლოდა, იმსახურებდა, მსოფლიოსაც ენახა და შეეცნო მისი უკიდეგანო სცენური ნიჭიერება. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მან ითამაშა ემილი დიკინსონი ამერიკელი დრამატურგის უილიამ ლიუის მონოპიესაში „ამჰერსტის მშვენება“. ეს სცენური შედევრი თავის დროზე ლენინგრადშიც წაიღეს და სრული ფურორი მოახდინა. ყველაზე ავტორიტეტულმა თეატრმცოდნემ იური კობეცმა დაწერა და აღნიშნა, რომ ასეთი სცენური სასწაული ლენინგრადს ნახევარი საუკუნე არ უნახავსო!

იმხანად რუსთაველის თეატრი ბევრს მოგზაურობდა სხვა სპექტაკლებით უცხოეთში და დამსახურებულ აღიარებასაც იმკიდა, მაგრამ გასატანთა შორის ეს დადგმა ვერ მოხვდა, იური კობეცის აღიარებით ზინა კვერენჩხილაძე პირველ მსახიობ ქალად ცხადდებოდა მთელ საბჭოთა სივრცეში და ამას ვინ მოინელებდა და ვინ დაუშვებდა მაშინდელ მრუდე სახელმწიფოში?!

დღეს 90 წელი შესრულდა ზინა კვერენჩხილაძის, ამ მზიური ტალანტის ხელოვანის დაბადებიდან. და თუკი საქართველოს არსებობა უწერია, მას გაიხსენებენ 90 წლის შემდეგაც, მისი როლები ფოტოებით, წიგნებით, მოგონებებით შემორჩება, მაგრამ მისი ხმა, რომელიც ჟღერს კინოში (თენგიზ აბულაძის, გოდერძი ჩოხელის ფილმებში) და სიტყვაკაზმული მწერლობის კითხვით, გაცილებით გამძლე და მოქმედი აღმოჩნდება. ის საუკუნეებს გადასწვდება და გაუხუნარი იქნება, როგორც რუსთველის, გურამიშვილის, გალაკტიონის სიტყვის მადანი...

პოეზია

მაია ოჩიტაშვილი

* * *

მე თუნდ მომწონდეს ცისფერი და თეთრი
ნილოსი,
როგორ შევადრი ქვებზე მხტუნავ შავ და თეთრ
არაგვს,
შავი ზღვა მაქვს და რად ვინატრო
მარმარილოსი,
ჩემს მიწას ვეტრფი, ვეფერები ჩემს
ძვალთშესალაგს.
ღრანტეში მზედ თუ არ ჩამომწვდი, არ
შემეშველე,
ვარსკვლავი მარტო განა ცაში, სულის ჭაშია!
მიეცი ძალა – შენს მიწაზე გიჭირისუფლონ,
ვინც გაგეხიზნა სხვა ზეცის ქვეშ, ცრემლის
ღვრაშია.
ლუხუნს და რიონს რაც აწუხებს, სწვდება
ბარაკონს,
ზიარი ლოცვის ბარეულში ზარებს დარეკენ,
ჩამოიქროლებს კვაშხიეთში ისე ნიავი,
თითქოს შვლის ნუკრი გაქცეოდეს ტყიდან
მარეკებს.
რა შეედრება აღელვებულ ქართლის ყაყაჩოს,
ჯვარი გეწეროს მოთვალთვალის, მტერის
ავთვალის...
რაც სიყვარულად ნათქვამია, უნდა დახარჯო,
როცა გულღია იმერეთში ტყემალი ყვავის.
აკუნტრუშდება, ვით თიკანი მწვანე ბალახზე,
გული ავსილი ფერადებით შენი მთის ხილვით,
სად დააბნიე, როგორც ბროში გულის ფიცარზე,
ასე საამოდ დასისხლული წითელი თრიმლი.
შენი სიტურფით დალხენილი თუ დღეს არა ხარ,
ჭრილობა გიჩანს – გულს გასული, ხანჯლის
ტარამდე...
როგორ მოგველის, როგორ გვიხმობს, რომ
დაგანახა...
ღმერთმა არა ქნას, სამუდამოდ დაპატარავდე.
მე თუნდ მომწონდეს ცისფერი და თეთრი
ნილოსი,
როგორ შევადრი ქვებზე მხტუნავ შავ და თეთრ
არაგვს...

* * *

დარდი თუ დამაწერინებს... რაც ვერ ვთქვი, გულში
ვმარხავ,
ჩემს მეტი ჭირისუფალი მასაც რომ არვინ არ
ჰყავს...
სიმშვიდედ ჩამოიფენენ ხეები მზისგან ჩრდილებს,
ჭუჭრუტანიდან სინათლე იმედით ავსებს დილეგს...
მე რა გულითაც შემეძლო და რა სულითაც მსურდა,
არ ვყვარებივარ არავის, არც გლახაკს და არც
სულთანს.
მზით სავსე თივის ზვინები კოპებად აზის მიწას,
ოი, შენ ჩემო გვირილა, ვინ წამოგაგო ფიწალს?
ბადაგში, რაც კი სიტკბოა, ძირში ემჩნევა ნალექს...
მრავალწერტილში ატყვია, რაც ვერ გითხარი, ამ
ლექსს.

* * *

გაყურსულ ტბაზე, როგორც ღიმილი,
თეთრად ლიცლიცი გააქვს დუმფარას,
მრავალჭირნახულ დღეების მწუხრი,
ერთის ღიმილით გადაუფარავს...
მერცხლებისაგან მიტოვებული,
გაფითრებული, როგორც ცის კიდე,
შემოდგომიდან გაზაფხულამდე
ერთი მზის სხივიც ვერ წამიკიდე...
საკუთარ თავში თავდამარხულმა,
რით გაგაკვირვო, ან რა ვინატრო,
როცა საოცრად ბევრის ამტანი,
სუსტიც, უძლურიც ვიყავ იმავ დროს...
რადგან ავდარმა, ლეშხმა, ჭენჭეხმა,
გზებს დაამჩნია სევდის ტბორები,
შენ აღარ მოხვალ, შენ აღარ მოხვალ
და არც სიზმარში მეამბორები.
ის მწკლარტე გემო, სიტკბოსთან ერთად,
დამყვება ისე, როგორც ბარბარისს,
რადგან, როგორც მე...ისე სხვა ვინმეს,
არ ვყვარებივარ თურმე არავის.

* * *

შენი ერთი სიტყვა ახლა მომარჩენდა,
ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი – მენატრები....
ქარი ქროლვას და ფორიაქს ვერ დაჯერდა,
ნამუსრევით აუვსია ვერანდები.
კვლავ თავიდან ჩიტი აღარ დაიბუდებს,
ჩამოვარდა თუკი უკვე ბუდე ხიდან,
რა იცოდი, რა იცოდი, ჩემო კარგო,
ჩემი სულის ფერადები მეტი ღირდა...
მზე კორტოხებს როცა ისევ აამწვანებს,
როცა გყოფნის სიხარული ერთი ციდა,
იმ სურვილებს ვეღარ შევკრავ ბაფთასავით,
ოცნებებად ნატვრის ხეზე დასაკიდად.

მე რომ ვინმეს ვყვარებოდი ისე...

მე რომ ვინმეს ვყვარებოდი ისე,
არ გაეშვა ჩემთვის წამით ხელი...
არ ვითხოვდი ვერცხლით სავსე ქისებს,
წყალი, პური მეყოფოდა ხმელი.
ჩეროების განაზებულ მზეში
გამოვფენდი ჭრელაჭრულა ჩითებს...
მე რომ ისე ვყვარებოდი ვინმეს...
თითქოს დარდი სხვა არაფრის მჭირდეს.
ისევ თავის მწვანე რტოებს მიქნევს,
სარკმელიდან თვალი მოვკარ ჭადარს.
ფიქრებს, როგორც ძმარზე მოსულ ქინქლებს,
ჩამოვფქვავ და ისევე მის სადარს
გამოვაცხობ კუტი-პურის ლექსებს,
ჩვენთვის რომ ვთქვათ: მელექსება რაღა?!
მაგრამ ნახე, ოცნებების იქით
გულმა უკვე ცხრა მთა გადალახა.
მე რომ ისე ვყვარებოდი ვინმეს...
მღელვარებით ზღვა ვით დაიძრახა?!
კურკანტელას ბუჩქზე იჯდა შაშვი,
სხვას უსტვენდა, მე არ დამიძახა.

* * *

ღიმილივით უხდება
ხალიჩები ვერანდებს,
შემოდგომის ფერები –
ღვინით სავსე ხელადებს.
იქნებ დამიდასტურო,
მარტო ვიტყვი მე რამდენს?!
გული რაღა გულია,
თუ არ უნდა ღელავდეს...
ჩურჩხელები ჰკიდია,
როგორც ხმლები, აშურმას,
თვალი გამიხალისა
ტკბილმა და შესაშურმა.
ზეცა თუ დაიბინდა,
არ ჩანს თვალებმერცხლება,
გული, როგორც მაჭარი,
ჩურჩულებს და ვერ ცხრება...
მაგრამ თუკი ხანდახან
იქნებ, კიდეც ვწუწუნებ,
ფრთები რად ჩამოვტეხო,
ან ფერს რას დაუწუნებ,
სურვილს, აშლილს ნისლებად...
თუ კვლავ გადაგედები...
შენ თეთრი თმა გექნება
მე კი არ დავბერდები.
სიყვარული ზღვაა და
მეგობრობა ხიდია...
არ იდარდო, მთვარესაც
მზე ვერ დაუწინდია.

ნინო აჩასენაშვილი

სიყვარული

მე, მეცხრე ცაზე ფრენას ჩვეული,
მიწაზე მხოლოდ შენთვის ვეშვები.
სულთან ერთად რომ იგრძნო სხეული,
ვარსკვლავებით მაქვს სავსე პეშვები.

ნეტავ თუ გიპოვა

ამ რამდენიმე წლის წინ
დედაჩემი შენკენ წამოვიდა,
ღვთისმშობელო!
წამოსვლის წინ ასე დაგვიბარა:
მასთან წავალო და თვალებით
შენს ხატზე მიგვანიშნა,
საწოლთან რომ ეკიდა.
დედაჩემი შენკენ წამოვიდა
და ნეტავ თუ გიპოვა,
ღვთისმშობელო?!
შენ ხომ ხან კიბე ხარ
მიწიდან ზეცად აღმავალი,
ხან – მთა ლოდგაძრობილი,
ხან – შეუწველი მაყვალი
მთაზე მოტყინარი,
ხანაც ღელეთა შროშანი
უჭკნობელი,
დედა ღვთისა და
კაცთა მოდგმის
დედუფალი
სხივგვირგვინოსანი,
ვენახი – კეთილმორჩად
აღმოცენებული.
დედაჩემი შენთან წამოვიდა,
დედავ – დედუფალო,
ნეტავ თუ გიპოვა?!
დედაჩემი გაზაფხული იყო
და შენთან წამოვიდა;
მე შემოდგომა ვარ და
გელოდები,
ღვთისმშობელო!

დიდგორის პირამიდა

ცხრაჯერ ასის იქით,
ცხრაჯერ ასის წინათ,
ჩემი პეპერასი
ხმალი ბრწყინავს!
„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის“,
ვინცა მოკვდეს ქვეყნისათვის,
ვინცა მოკვდეს ერისათვის,
არ მომკვდარა, სძინავს!
იყო ცხრაჯერ ასის იქით,
იყო ცხრაჯერ ასის წინათ,
რომ დაიგრგვინა ქართველმა,
დღეს ის გრგვინვის ნაცვლად გმინავს.
თუ ისევ გაკრთობს დიდგორის ზარი,
თუ ისევ გახსოვს ქვეყნის წარსული,
მაშ, წინაპარი არ არის მკვდარი,
არც ჩვენი საქმე არის წასული.

თოვლი ტირის

თოვლი ტირის, თოვლი ტირის,
დედამიწას გულისპირი
დაუსველა ცრემლით,
და ამ ცრემლის მოსავალი,
სწორი გზა და მართლსავალი
გამოჩნდება მერმის.

თოვლი ტირის, თოვლი ტირის,
ტკბილხმიანი გუდასტვირი
შეუნახავს რაჭველს,
არც იაფი და არც ძვირი,
ამ ცხოვრების კადრი ფირით
დარდთან ერთად სიხარულსაც გვაჩვევს.

თოვლი ტირის, თოვლი ტირის,
დედამიწის გულისპირი
დაუქარგავს თოვას;
თოვლი ტირის, უფრო ტკბილი,
უფრო მშვიდი, უფრო ლაღი,
ვით აღდგომის ბაირაღი,
გაზაფხული მოვა.

* * *

ლინა ბარათაშვილს

თქვენი ლექსები ყვავილებია,
ქართულ მიწიდან ამოზრდილები,
ნაფერები და ნასათუთუბი,
თქვენებრ ამაყი თქვენი შვილები.
მათ სიყვარულის წვიმა ასველებთ
და ეფერებათ სიო ქართული;
ლექსის ბწკარები – სიტყვის პწკალები
ქართული სუნთქვით ამოქარგული.
თქვენი სითბო და თქვენი სინაზე
მაგ თქვენს ლექსებსაც გადასდებია,
იმედის სხივით განათებული
თქვენი ლექსები ყვავილებია.

პეტრე

ცივა!
სიცივე ძვალ-რბილში ატანს,
ჯერ არ უყივლია ქათამს.
გტკივა!
მოძღვარი ჯალათებს მიჰყავთ,
ვიღაც უცილობლად გკითხავს...
ცივა!
და შენც კოცონს ეფიცხები,
მაგრამ ვაი, რომ ვერ თბები.
შიში
შემოგიჩნდა, უარყავი,
უკვე სამგზის უარყავი...
გძულს საკუთარი თავი.
ხმაა!
მამლის ყივილია, თენდება...
გული აღარ გამთელდება,
რიბირაბოდ გათენდება.
ცრემლი
ამოდინდა გულისგულით,
იტირე, პეტრე, იტირე
ცრემლით და სიყვარულით!!!

იყიდება საქართველო!

ბავშვობაში წავიკითხე
და მერე სულ მახსოვდა:
ხან ფიქრებად მათოვდა,
ხან ვდარდობდი მარტო და
მაინც სულ, სულ მახსოვდა:
იყიდება საქართველო!
იყიდება საქართველო!
იყიდება საქართველო!
და მაინც ვერ შევაჩერე
გამყიდველი,
განაჩენს ჩუმად ველი.
მაინც ვერ გადავარჩინე
განწირული,
მტკივა გული...
განა იუდამ კი არ გაყიდა
იესო ქრისტე?!

მიწილადე

მიწილადე შენი ცრემლი,
შენი სუნთქვა მიწილადე,
რომ ავივსო სიყვარულით
ზეციდანვე, მიწიდანვე...
მიწილადე!

მიწილადე სიხარული,
შენი ტანჯვაც მიწილადე...
გავიარო გზა სასრული,
უფლის კარად მიწევნამდე.
მიწილადე!

თემურ ჯაბოდნიშვილი





გრიგოლმა ხანძთა და ხანძთელობა აქცია სახელმწიფოს ერთიანობის მეტაფორად...

სამხრეთ საქართველოს ისტორიული და კულტურული წარსულის ცოდნის დეფიციტი არც ჩვენში გამოირჩევა ნაკლები სიმწვავით. ამას სხვასთან ერთად ცხადყოფს ამჟამად არსებული აზრთა სხვადასხვაობა სამხრეთ საქართველოს კულტურული ძეგლების ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა შორის განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა მათი ადგილმდებარეობის დადგენა. ამ მხრივ წარმოუდგენელი სიმწვავე უკანასკნელ წლებში შეიძინა ხანძთისა და შატბერდის მონასტრების იდენტიფიცირების პრობლემამ.

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, სამხრეთ საქართველოს კულტურის ძეგლების სტუდენტებისათვის გაცნობისა და გიორგი მერჩულეს ტექსტის ინფორმაციების საფუძველზე გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ძველი ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის დაზუსტების მიზნით, 2014 წლის 5-12 ივნისს ისტორიულ მესხეთში სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტმა და ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტმა, მედიატექნოლოგიების ლაბორატორიასთან ერთად.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა სტუ ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი, ხოლო მენეჯერი იყო გიორგი კულდონაშვილი.

ექსპედიციის წევრები იყვნენ: ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ვანო ჯაგოდნიშვილი, მედიატექნოლოგიების ლაბორატორიის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გიგლა გოგბეჩია, სტუ იურიდიული სამსახურის უფროსი ბექა მაისურაძე, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი ბორის იმნაძე, ასოცირებული პროფესორი რევაზ ძნელაძე, სტუ თანამშრომლები – სალომე გუმბერიძე, მიხეილ აქუბარდია, აკაკი ქებურია, ნათია კიკვიძე; სტუდენტები: ვახტანგ თოფურია, გიგა გრიგალაშვილი, მაია ჯაბაია, გიორგი ჯამბურიძე, თინათინ მედულაშვილი, ლაშა არჩვაძე, სერგო ბოლქვაძე, ლევან გახარია.

ექსპედიციამ ფოტო-ვიდეო ჩანაწერებით აღბეჭდა პარხალის, ხახულის, ოშკის, ოთხთას, დოლისყანას, იშხნის, ხანძთის (ნუკას საყდრად წოდებულის), ესდეკის ეკლესია-მონასტრები. ექსპედიციის წევრები შეხვდნენ შავშეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც თავს ქართველებად მოიაზრებენ და შედგა მოლაპარაკება ქართული ენის დისტანციურად სწავლების თაობაზე.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული ვიდეომასალების საფუძველზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმები, სლაიდშოუები. გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისათვის, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო, აუცილებელი გახდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ფილოლოგიური „განჩხრეკა“ ახალი არგუმენტების ძიება და გრიგოლ ხანძთელის ეპოქის პოლიტიკურ ფილოსოფიასთან მიმართების კონცეპტუალური გააზრება-გაცნობიერება.

ახალი კვლევებით დადასტურდა არა მხოლოდ ძველი ანუ გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის იდენტობა ნუკას საყდართან, არამედ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან ლამის ერთი საუკუნის შემდეგ, X საუკუნის 20-30-იან წლებში, სრულიად სხვა თაობის მიერ სხვა ახალი ხანძთის ახალ ადგილას მშენებლობის ფაქტიც, მიზეზიც და მიზანიც. კერძოდ, დადგინდა, რომ

გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ძველი ხანძთა გრიგოლის ტაო-კლარჯეთის სავანეთა არქიმანდრიტად არჩევის შემდეგ ოფიციალურად გახდა არა მხოლოდ საეკლესიო მეტროპოლია, არამედ სახელმწიფო იდეოლოგიის ცენტრიც, რომლის მთავარი

სლოგანი, ფაქტობრივ, ეპოქალური რეალიების დამატებით იმეორებდა ჯერ კიდევ ფარნავაზის მიერ განხორციელებულ ქართული მიწების ქათულ სახელმწიფოში ქართული ენის (მეტყველების) ნიშნით შემოკრების მოდელს. გრიგოლმა და მისმა ეპოქამ ეს მოდელი (ანუ მიწების ენის ნიშნით გაერთიანება) ქართულ ენაზე ქრისტიანული აღმსარებლობით დააზუსტა. სწორედ ამიტომ ხანძთა გახდა სიმბოლო ქართული ქრისტიანობით ქართველთა ახალი სამეფოს შენებისა. ამიტომ შეიქმნა აუცილებელი მონუმენტალიზმით და ფუნქციონალიზმით აღბეჭდილი აღმშენებლობით გამორჩეული X საუკუნის ქართველთა სამეფოსათვის ძველი მიუვალ-მიუდგომელი მომცრო ხანძთის ნაცვლად მისივე მოსახლე ახალი ხანძთის, დიდი, მასშტაბური ხანძთის ახალ ადგილას აგება.

ირკვევა ისიც,რომ არც ახალი ხანძთის აგების ადგილი ყოფილა შემთხვევით ამორჩეული, ნუკას საყდრის (ძველი ხანძთის) ადგილიდან ქვევით, სოფელ „ქვემო ფორთას ბაღებთან“ ახალი ტაძრის აგებით ხანძთა მოექცა რკინის ჯვრის ცენტრში, რომელიც აერთიანებდა კლარჯეთის საქართველოს სინაQ-ით წოდებულ 12 სავანეს და მათით შემორკალული ცარგვალის ზეციურ ენერგეტიკულ ველს.

გთავაზობთ ნაწყვეტს თემურ ჯაგოდნიშვილის წიგნიდან: „ხანძთა — ძველი, ახალი“.

სამხრეთ საქართველოს, ისტორიული ზემო ქართლის, — მესხეთის ეკლესია — მონასტრების იდენტიფიცირების უმთავრესი წყაროა გიორგი მერჩულეს ტექსტი, რომელიც ფართო მკითხველისათვის ცნობილია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სახელწოდებით.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ შეიქმნა X საუკუნის I ნახევარში, ტექსტს საფუძვლად დაედო გროგოლ ხანძთელის მოწაფეებისა და მოწაფეთა-მოწაფეების მეხსიერებით შემონახული ფაქტები და მოვლენები VIII-IX საუკუნეების დიდი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, ხანძთელად წოდებულის და ხანძთაში მოღვაწის გრიგოლის ცხოვრებიდან. ტექსტს დასრულებისთანავე ჩაუტარდა სერიოზული სარედაქციო სამუშაოები გრიგოლ ხანძთელის პიროვნების გამორჩეულობის მადასტურებელი ფაქტების ჩამატებით. ის გარემოება, რომ ტექსტობრივი ჩამატება — ჩასწორებათა ინიციატორი იყო ქვეყნის ხელისუფალი ბაგრატ კურაპალატი, რომელიც ცნობილი იყო მწიგნობრობისადმი მიდრეკითა და თავისი დროის მწერლობის შესანიშნავი ცოდნით, ცხადყოფს გიორგი მერჩულეს ტექსტის სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით საგანგებოდ გამართვას. ამის გამო ტექსტი თავისი შინაარსით გაცილებით მეტს იუწყება,ვიდრე ერთი, თუნდაც დიდი მოღვაწის ცხოვრება-მოღვაწეობაა. იგი VIII-IX საუკუნეების მიჯნისა და X საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთა ახალი სამეფოს აღმშენებლობის იდეოლოგიის თხრობას შეიცავს, რაც ქართული ეროვნულობისა და, შესაბამისად, ქართული სახელმწიფოსადმი ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებული ტერიტორიების კუთვნილების მტკიცებით გამოირჩევა.

გრიგოლ ხანძთელმა, ფაქტობრივ, გაიმეორა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საფუძვლად გამოაცხადა ის მოდელი, რომელიც თავის დროზე ქართველთა ლეგენდარულმა მეფემ ფარნავაზმა განახორციელა სახელმწიფოებრიობის საფუძვლად ქართული მწიგნობრობის დაკანონებით.

გრიგოლმა ახალი ქართული სამეფოს სივრცედ ქართულ ენაზე მოლაპარაკე და ქართული ქრისტიანობის აღმსარებელი ხალხით დასახლებული ტერიტორიები გამოაცხადა და ამით, ფაქტობრივ, იმ პროვინციებზედაც დააკანონა ქართული ახალი სამეფოს უფლებები,რომლებიც ჯერ კიდევ მტრის ხელში რჩებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა,რომ ხანძთა და ხანძთელობა ქართველთა ახალი სამეფოს იდეოლოგიის სიმბოლოდ და დიად მეტაფორად იქცა. გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ გიორგი მერჩულეს ტექსტის შექმნა, მისი რედაქტირება და ახალი ხანძთის მშენებლობა ამ იდეოლოგიის გაფორმება-კანონიზაცია იყო.

სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულისა და სამონასტრო მშენებლობის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად გაუგებარი დარჩება როგორც მათი აგების, ისე ფუნქციის ჭეშმარიტი არსი.

ეს საკითხი, ცხადია, არაპირდაპირ უკავშირდება მათი ადგილმდებარეობის რკვევასაც.

აშოტ I ბაგრატიონმა არაბებთან შეურიგებელი ბრძოლის პროცესში უაღრესად გონივრული სახელმწიფოებრივ პოლიტიკური მანევრი განახორციელა: 813 წელს სახელ ზმწიფოებრივ-პოლიტიკური ცენტრი არტანუჯში გადაიტანა და მტერს, ფაქტობრივ, დროებით მხოლოდ ტერიტორია დაუთმო;

ახალი ქართული სამეფოს ირგვლივ ქართული მიწების შემოკრების პროცესი მტრისაგან ბუნებრივი ზღუდეებით დაცულ კლარჯეთის ტერიტორიაზე დაიწყო;

თითქმის აშოტ კურაპალატის არტანუჯში დამკვიდრების დროს განეკუთვნება გრიგოლ ხანძთელის თანამოაზრეებთან ერთად ოპიზასა და შემდეგ ხანძთაში ჩასვლა,იქ დამკვიდრება და გაბრიელ დაფანჩულის დახმარებით ხანძთის მონასტრის მშენებლობის წამოწყება;

სულიერი და ნივთიერი სიმდიდრის „შეერთების“ პირველი ფაქტი იყო გრიგოლის მიერ გაბრიელ დაფანჩულის საფასით ხანძთის ქვითკირის მონასტრის აგება;

ხანძთის აგებას მალე მოჰყვა სხვა ეკლესია-მონასტრების მშენებლობაც. მშენებლობის ადგილის შერჩევაში ამოსავალი იყო მიუვალობა, მიუდგომლობა და „ფიცხელი კლდეებით“ დაცულობა. ხანძთა ამ მხრივ გამორჩეული იყო, რადგან „უფიცხელეს კლდეზე“ იქნა აგებული.

ხანძთის მონასტერი ძალიან მალე გახდა კლარჯეთისა და შავშეთის საეკლესიო მეტროპოლია. თუმცა ამ სტატუსის მოსაპოვებლად გრიგოლ ხანძთელს დასჭირდა უმძაფრესი დაპირისპირება ანჩის კათედრალის ეპისკოპოსთან, თბილისის მმართველი ამირას ფავორიტთან ცქირთან. მეტროპოლიის ოფიციალური სტატუსი კი ხანძთის მონასტერმა შეიძინა გრიგოლის კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტად არჩევის შედეგად;

სიბერის ჟამს, ხანძთის მონასტრის ძნელად მისადგომობის გამო, გრიგოლი უპირატესად შატბერდის მონასტერში იმყოფებოდა. ხანძთა მიტოვებული ჰქონდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ გარემოებამ ხანძთელი ბერების პროტესტიც კი გამოიწვია და გრიგოლი თითქმის საკუთარი სურვილის წინააღმდეგ დააბრუნეს ხანძთაში;

გრიგოლმა ხანძთა და ხანძთელობა აქცია სახელმწიფოს ერთიანობის მეტაფორად;

გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ ხანძთის სახელი დარჩა, თუმცა მისი მიუვალობა დიდ დაბრკოლებად რჩებოდა საეკლესიო მეტროპოლიის ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით;

X საუკუნის 10-20-იანი წლებიდან სამხრეთ საქართველოში სახელმწიფოებრივ კულტურული აღმშენებლობის ახალი ეტაპი დაიწყო აშოტ კურაპალატის (კუხის) თაოსნობით VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე. – V-VII საუკუნეებში აგებული და მურვან ყრუს მიერ იავარქმნილი და აღდგენილი სავანების განახლება და მომცრო ეკლესია მონასტრების ნაცვლად დიდი, მონუმენტური ტაძრების მშენებლობა. აშოტ კუხის ეპოქის ტვიფარად წარმოსდგა ახალი სტილი, რომლის არსებითი მახასიათებელი გახდამონუმენტალიზმი და ფუნქციონალიზმი.

ამ პერიოდში განახლებული ეკლესია-მონასტრები,რომლებიც ჟამთა სიავეს გადაურჩა და ჩვენამდე ასე თუ ისე მოაღწია,უპირველესად სწორედ მასშტაბურობით იწვევს გაკვირვებასაც, აღტაცებასაც, სიამაყესაც. იგი ეროვნულისადმი ინდიფერენტულად განწყობილ ზოგიერთ თანამედროვე პრაგმატიკოსსაც კი არ ტოვებს გულგრილად. X საუკუნის პირველ ნახევარშიც ხანძთა,უგრიგოლო ხანძთა, არა მხოლოდ საეკლესიო მეტროპოლიაა, არამედ ქართული ენითა და ქართული ქრისტიანობით ახალი ქართულ სახელმწიფოში ქართული მიწების გარსშემოკრების სიმბოლოა, ხანძთელობა პოლიტიკური ფილოსოფიის ელემენტია, ხანძთაში შთაიბეჭდა ქართული ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანებით იყო განპირობებული ახალი ხანძთის ახალ ადგილზე – სოფელ ქვემო ფორთას სიახლოვეს, ეგრეთ წოდებულ „ფორთას ბაღებთან“ აგება, თანაც მთელი კლარჯეთის ერის მონაწილეობით აშენება, როგორც საეროვნო ნაგებობისა.

უპრეცედენტო იყო სამშენებლო მოედნის მომზადება – „ადგილის დავაკება“. გიორგი მერჩულეს ცნობით, როდესაც ხანგრძლივი და მძიმე შრომით ადგილის დავაკება დაასრულეს, ისეთი შვება იგრძნეს თურმე, ვითომც თავად მონასტრის მშენებლობა დაესრულებინოთ.

ახალი ხანძთის მშენებლობა დროშიც საკმაოდ გაწელილა, დაუწყია აშოტ კუხს, 918 წელზე ადრე და დაუსრულებია მის ძმისწულს გურგენს, არაუგვიანეს 941 წლისა.

X საუკუნის ახალი ხანძთა VIII საუკუნის ძველი ხანძთიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით და უფრო ქვემოთ აიგო;

პავლე ინგოროყვას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ახალი ხანძთის ეკლესია ძველი ხანძთის ტერიტორიაზე აშენდაო,ვ. ჯობაძემ უარყო,რადგან პ. ინგოროყვას მიერ ძველ ხანძთად მიჩნეული ნაგებობა მცირე სამლოცველო აღმოჩნდა. ვ. ჯობაძის მტკიცებით, ახალი ხანძთის სიახლოვეს ძველი ხანძთის კვალი არ იძებნება. ვ. ჯობაძემ ისიც გაარკვია, რომ ახალი ხანძთის სამონასტრო კომპლექსის არც ერთი ნაგებობა X საუკუნეზე ადრინდელი არ არის, ხოლო ზოგიერთი (მაგალითად, სამრეკლო) XIV საუკუნით თარიღდება;

ახალი ხანძთის ახალ ადგილზე აგება რამდენიმე სახელმწიფოებრივი ამოცანით იყო განპირობებული. პირველი იყო საეკლესიო მეტროპოლიის ხელმისაწვდომობა (X საუკუნეში სახელმწიფო აღმავლობის გზაზე იდგა, მტრის შემოსევების საშიშროება არ იყო);

ასე რომ, პირველი მიზეზი ფუნქციონალიზმი იყო. მეორე მიზეზი იყო კლარჯეთის 12 სავანით შეკრული დიდი რკინის ჯვარი, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა ორგზის ცხადყო: პირველად კლარჯეთის მეფე-დიდებულებთან ერთად კლარჯეთის სავანე ების დათვალიერების დროს, ხოლო მეორედ სიკვდილის წინ – კლარჯეთის სავანეებში კერეონების დაგზავნის ჟამს. ჩრდილოეთით ამ რკინის ჯვრის წვერს ქმნის მერეს მონასტერი, სამხრეთის ქიმს – შატბერდი,მარჯვენა და მარცხენა წვეროებს – ბერთა, პარეხნი, ჯმერკი, დოლის ყანა და მოპირდაპირედ მიძნაძორო, წყაროსთავი, ბარეთელთა. ახალი ხანძთის აგებამდე ჯვრის ცენტრში იყო ოპიზა, რადგან ძველი ხანძთა წყაროსთავ-მიძნაძორო ბარათელთას წვეროსთან მდებარეობდა. ახალი ხანძთა ოპიზას უფრო დაუახლოვეს და ამდენად ჯვრის ცენტრში მოაქციეს.

ამით ახალ ხანძთას კოსმიური ენერგეტიკული ველის ფოკუსში დაუმკვიდრეს ადგილი;

ახალი ხანძთის საეკლესიო მეტროპოლიის სტატუსს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სავანეში დაიკრძალა ერისთავთ-ერისთავი და კურაპალატი აშოტ კუხი. ახალ ხანძთას ეს სტატუსი რომ არ ჰქონოდა, აშოტ კუხს თუნდაც ტბეთის მონასტერში დაკრძალავდნენ, რომლის განახლებასაც დიდი ღვაწლი დასდო.

ახალი ხანძთის წინამორბედი ძველი ხანძთა კი ქვემო ფორთის სიახლოვეს ახალი ხანძთის სავანის აგების შემდეგ, როგორც ჩანს, დაიმცრო და დაკნინდა. ძნელი სათქმელია როდის დაიცალა ძველი ხანძთა ბერებისაგან,მაგრამ უკვე XIII საუკუნეში მის სახელიც კი დავიწყებული იყო,მთის სახელი აეფარა და ნუკას საყდარი ეწოდებოდა. როდის დაერქვა ეს სახელი, უცნობია.

სოფელ ქვემო ფორთას სიახლოვეს, ,,ფორთის ბაღებთან" X საუკუნის პირველ ნახევარში აგებული უსახელო სავანე,როგორც ამას პავლე ინგოროყვას მიბაძვით არაერთი მკვლევარი ამტკიცებს, მართლაც ხანძთაა,მაგრამ არა გრიგოლ ხანძთელისა და გაბრიელ დაფანჩულის მიერ VIII-IX სს. მიჯნაზე აგებული ძველი ხანძთა, არამედ აშოტ კუხისა და მისი ძმისწულის გურგენის ერისმთავრობის დროს აგებული ახალი ხანძთა, მაშინ, როდესაც ძველი ხანძთის მონასტრის წინამძღვარი იყო არსენი, ხოლო მის შემდეგ იოანე.

ძველი ხანძთა კი ყველასაგან მიტოვებული და დავიწყებული მონასტერია, რომელსაც ნუკას საყდარი დაერქვა;

აღსანიშნავია, რომ ორი — ძველი და ახალი — ხანძთის არსებობას ვერ ამჩნევენ ვერც ის მკვლევრები, რომლებიც ნ. მარის კვალდაკვალ ნუკას საყდარს აიგივებენ ძველ ხანძთასთან და ვერც პ. ინგოროყვას თვალსაზრისის მომხრენი,რომლებიც უპელაციოდ იმეორებენ,რომ ხანძთა სოფელ ქვემო ფორთას სიახლოვეს მდებარე უსახელო სავანეაო, იმას კი აღარ აკონკრეტებენ,რომ ეს არ არის VIII საუკუნის ბოლოს გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტერი და რომ ახალი ხანძთა გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ აშოტ კუხის,გურგენის და ხანძთის მონასტრის წინამძღვრების არსენისა და იოანეს ძალისხმევით არის აგებული.

ასე რომ, ნუკას საყდარი არის გრიგოლ ხანძთელისა და გაბრიელ დაფანჩულის მიერ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე აგებული ძველი ხანძთის მონასტერი, ხოლო სოფელ ქვემო ფორთასთან არსებული უსახელო სავანე — ახალი ხანძთა;

შატბერდის მონასტრის კვალი არტანუჯის სამხრეთით შემორჩენილი ნამონასტრალთან არის საძიებელი და მისი დადგენის პატივი თურქ მკვლევარს მ. ქარიდოღლუს და თ. ხუციშვილს უნდა მიეგოთ.

ერთი ლექსი

მანანა ჩიტიშვილი

გზად წიწამურთან

იდგა თორმეტი ენკენისთვის,
მზე ოქროს ღვრიდა,
ზედაზნის სერებს
ცის სიმშვიდე ადგა თავდებად,
ვინ სცნას, რომ სიტყვა ,,წიწამური",
ამ მწარე დღიდან,
მამულს ტანჯვად და სისხლისფერად
აუყვავდება.
ჰფენენ წიფლები
გზაზე ფერად ფოთლების ფიქალს
და შემოდგომის ყვავილები
მინდორს აყრია...
,,მე ილია ვარ"! — ერთმა ფრაზამ,
მაშინ რომ ითქვა,
მთლად საქართველო შეაძრწუნა
და შეარყია.
მოჩანს ტაძარი —
ღვთით ნაკურთხი ,,ცხოველი სვეტი",
ფიქრიც მიმოდის, სხვა სიმაღლით
თრთის და ირწევა,
საგურამოში მიბრძანდება
ილია ეტლით,
მცირე ხანში რომ ბალდახინად
გარდაიქცევა.
რას მოთქვამს მტკვარი,
ჯვართან ისეც შენამდორები,
მზეც დახრისაკენ მიწურვილა
სხივნამკრთალები
და გზად მიმავალთ
მწუხრისფერი მცხეთის გორები
მიაცილებენ
ოთარაანთ ქვრივის თვალებით.
ავად დუმს არე,
არც ფოთოლი არ იძვრის კენტი,
მარტოდენ შორით მოლაღურთა
ისმის გოდება
და თბილისიდან საგურამოს მსრბოლავი ეტლი
სიკვდილს კი არა,
უკვდავებას უახლოვდება.

12–14 სექტემბერი, 2022

პოეზია

ჯუბა ლებელი

* * *

რა ვარსკვლავები, რისი მთვარე, მზე ან ცისკარი,
რისი ბადაგი, ან რა ღვინო, ანდა ზედაშე,
თუ ვინმე მყავდა ქვეყანაზე დასაფიცარი,
ეს შენ იყავი, შენ მიყვარდი მეტად ყველაზე...

მაშინ გულები გადაბმული გვქონდა მე და შენ!..

მაშინ ჩვენ თითქოს სიყვარულის წყარო შეგვასვეს,
რისი თეთნულდი, რისი შხარა, ანდა იალნო,
ვიმეორებდი წამდაუწუმ ჩუმად შენს სახელს,
უნდა ასეთმა სიყვარულმა მუდამ იალოს...

დაგვწვას, დაგვფერფლოს, დაგვცასეტყვოს,
გაგვატიალოს!..

რომ დედამიწა ქარის ფრთებით შემოვიაროთ,
გადავიაროთ გზები, ზღვები, მთაგრეხილები,
არწივებივით შევკრათ მერე ცაში ირაო
და ერთად ვიყოთ,აქ ერთმანეთს სანამ ვჭირდებით...

საოცარია დარდიანი კაცის ფიქრები!..

თორემ რა ზღვები, რა მთები და რა გრეხილები,
ზეცის ბილიკებს მიუყვები ფიქრში შენ ახლა,
ორაგულივით მეც ამ წვიმებს ცისკენ მივყვები,
შენთან მოვდივარ და ცხოვრებას ვიწყებ ხელახლა...

სხვა სასწაული რა ვინდომო, როცა შენა ხარ!..

ბისიავ!..

მოწმაოს მთაზე ნისლია,
არხოტზე დადნა მყინვარი,
ნეტავ იცოდე, ბისიავ,
რა წრფელი გულით მიყვარდი!..
გელოდებოდი არაგვზე,
იქ ვიშუშებდი იარებს,
რამდენი ცრემლი დავღვარე,
რამხელა დარდით ვიარე!..
გიწერდი ლექსებს, სიმღერებს,
გიკრეფდი ციდან ვარსკვლავებს,
რამდენჯერ იმ დროს ვიხსენებ,
იმდენჯერ გამაკანკალებს!..
ნეტავი, ახლა სადა ხარ,
ვის ოჯახს უთბობ კერიას,
უსიყვარულოდ არც ახლა,
სიცოცხლე არაფერია!..
არხოტზე დადნა მყინვარი,
მოწმაოს მთაზე ნისლია,
რა წრფელი გულით მიყვარდი,
ნეტავ, იცოდე, ბისიავ!..

* * *

სულ ცუდი ამინდებია,
ხან წვიმა არის, ხან ქარი,
ჩემი სამშობლოს მთებიდან,
ლეგა ღრუბლები დავძარი!..
გადავაფარე ლიბოზე,
დედულ-მამულის იარებს,
ვილოცე, ბევრიც ვიბრძოლე,
სულ ხმლით და სანთლით ვიარე!..
წინ ნინოს ჯვარი მიმქონდა,
მისი ჯვრის ძალა მფარავდა,
სააქ და საიქიოდან,
ლომები მედგნენ ფარადა!..
ვინ გოჯი მიწა წაიღო,
ვის დაახურეს თავს ჩადრი,
ასე თუ ისე, მაინც ხო,
დღემდე მოვედით, გადავრჩით!..
ვუცქერ ვარსკვლავებს უთვალავს,
აღარ ვუყურებ ამინდებს,
მთავარი არის უფალთან,
შეურცხვენელი ავიდე!..

ვისაც სამშობლო უყვარს!..

კაცია, ალბათ მგზავრია, ჩანს, შორი გზიდან მოდის,
ვუყურებ, თავი არ უჩანს, სისხლი კისრიდან მოსდის,
მგონი არც ხელი არა აქვს, ფრენით მოჰყვება ულაყს,
ან მხედარია ქრისტესი, ან მიუყვება ყურანს...

სულ სხვა ფერი აქვს კაცს მაინც, როცა სამშობლო
უყვარს!..

ამ ურა პატრიოტებმა კუდი ყავარზე გადეს,
მტერს მიეკედლნენ, მოყვარეს უკადრებელი ჰკადრეს,
ველარ არჩევენ თეთრს და შავს, ველარც მართალს
და მტყუანს,
თურმე რამდენი ბრმა არის, თურმე რამდენი ყრუა...

უთავ-ხელ-ფეხოდ იომებს, თუ კაცს სამშობლო
უყვარს!..

სხვის კარზე ხიზნად შეყრილებს გამოელიათ საქმე,
მოყვარე პირში ადიდეს, მტერი ზურგს უკან აქეს,
პურს გაჯიჯგნიან, რბილს ჭამენ, ძაღლს მიუგდებენ
ყუას,
ღვინოს დალევენ, ჭიქა წყალს არ შეასმევენ
მწყურვალს...

სულ სხვა გზა არის იმის გზა, ვისაც სამშობლო
უყვარს!..

ეწირებიან მიწა-წყალს, მამულს უდგანან ფეხზე,
მათ ნაომარზე სხვა მოდის, სულ სხვა იმშვენებს
„დეზებს“,
ფეხებს რას უზამ, ანდა კუდს, თევზი თავიდან თუ
ყარს?!.

ასე ძიძგნიან მატლები, შესეულები მურყანს...

კაცი ვერ ვნახე ქართველი, დღეს რომ სამშობლო
უყვარს!..

რაც იყიდება, ყიდიან, თავსაც, სინდისსაც, ნამუსს,
დედებს ჰყიდიან, შვილებსაც, იმათ მიწას და მამულს,
ვერ გაასწორებ „ძაღლის კუდს“, სულში სატანა
თუ ჰყავს,
„ვერცა კირჩხიბი მართლად ვალს“, რამდენიც უნდა
ურტყა...

იმ კაცს რა ვუთხრა, მარტო რო თავისი თავი
უყვარს!..

აღარ არიან გმირები, აღარც საგმირო საქმე,
ხმალი ქარქაშში ჟანგდება, თავს ცარიელას ვაქნევთ,
იყვნენ ისეთნიც, მიწა რომ სისხლით და ცრემლით
ურწყავთ,
მაამებელნი მამულის იარათა და წყლულთა...

კაცს ვეძებ, თავის სამშობლო თავზე მეტად რომ
უყვარს!..

დავლანდე, ვიღაც მგზავრია, ჩანს შორი გზიდან
მოდის,
ვუყურებ, თავი არ უჩანს, სისხლი კისრიდან მოსდის,
მგონი, არც ხელი არა აქვს, ფრენით მოჰყვება ულაყს,
ან მხედარია ქრისტესი, ან მიუყვება ყურანს...

სულ სხვა გზა არის იმის გზა, ვისაც სამშობლო
უყვარს!..

შენს ფეხქვეშ ავბალახდები

არ ვიცი, რად გამირბიხარ,
რად მემალები, მზექალო?!.
გადმოდი ისლის ხიდიდან,
თვალი რომ ოდნავ შეგავლო,
ისე ხარ თვალცრემლიანი,
ვით ნისლიანი შენაქო!..

თუ გინდა ჭიმღას გადმოვალ,
თუ გინდა ამღას ავყვები,
ჩაღმათუშეთიც ახლოა,
გვიცდიან ნასახლარები,
შენს თმაში სიოდ ვიქროლებ,
შენს ფეხქვეშ ავბალახდები!..

შენს მკერდზე მოვკრეფ ვარსკვლავებს,
ქვეშ მთვარის ნაბადს გაგიშლი,
არ ვიცი, რაღა მაკავებს,
შენამდე მოსვლას რა მიშლის,
ამქვეყნად უსიყვარულოდ,
ყოფნაა მხოლოდ საშიში!..

ღამე იყო მთვარიანი

რა კარგია პაემანი
და ღამეთა გათევანი,
არადანი სხვისი როა,
შენი როა არჩევანი!..

გოგნი-გოგნი გოგოსაო,
თოვლის კაბა ემოსაო,
ბიჭს თვალი ჩაუპაჭუნა,
ბიჭმა გუნდა ესროლაო!..

ღამე იყო მთვარიანი,
მთვარე იყო დარდიანი,
დარდმა მთვარეს, მთვარემ ღამეს,
დაუყენა განთიადი!..

ჩიტი ჩიტი ჩიორაო,
მერცხალს შემოჩიოდაო,
შენ მიფრინავ, მე აქ ვრჩები,
რა წესია, ბიჭო, რაო?!..

მიფრინავენ წეროები,
ციურ გზათა მდელოებით,
ვიცი, აღარ დაბრუნდები,
მაგრამ მაინც გელოდები!..

აინები, მაინები,
ტირეები, თარიღები,
ხან მოვკვდებით, ხან ვიცოცხლებთ,
წავალთ, მაინც აქ ვიქნებით!..

„ლექსი თითო ოროლაო,
მეც მასწავლე ტოროლაო“,
აღარ გახსოვს? რომ გწყუროდა,
პეშვით წყალი მომქონდაო!..

მუმლმა, მუმლმა მუხასაო,
ძირი გამოუთხარაო,
მამლი ეწონწილებოდა,
იმიტომ რომ უყვარხარო!..

აი თიხა, აი თოხი,
ღრუბელს ვმარგლავ, წვიმას ვთოხნი,
ქვეყნად სიყვარულის გარდა,
ჩემდა თავად რამის მთხოვნის!..

სერზე მიდის სამი მგელი,
ვით სამასი არაგველი,
იბერიის გაბრწყინებას,
მზის ამოსვლასავით ველი!..

გავიარეთ გოლგოთაო,
გზა სპარსთა და მონღოლთაო,
თავს რას ვჩივით, საქართველო,
გადაგვირჩეს ოღონდაო!..

გოგნი-გოგნი გოგომაო,
ბიჭს ისარი ესროლაო,
ბიჭმა კოცნა გაუგზავნა,
სიყვარულით შემოსაო!..

ო, ლაილა ილალა!..

ხდება ზოგჯერ, ისე ხდება,
ფიქრი სადღაც წაგიყვანს,
ვინც გიყვარდა, მასზე მეტად,
ხვდები, უკვე სხვა გიყვარს!..
ხდება, როგორ არა ხდება,
ისე გულმოდგინებით,
თავზე მეტად გიყვარდება,
ვისზეც არ იფიქრებდი!..
ვინც დაიწყო დროის ათვლა,
დრომ ქარივით მიჰლალა,
გაუმარჯოს, ვისაც უყვარს
და ვინც უყვარს იმასაც!..
ნისლებს ცაში აფრენილებს,
მზეზე გაშლილ იალაღს,
სიყვარულის ფრთებით მივდევ,
ო, ლაილა ილალა...
(სიყვარული მაბედინებს,
რასაც ახლა მივქარავ!..)
ხდება, ზოგჯერ ისე ხდება,
შენ წინ დგება სამყარო,
ვინმეს, ძლიერ მოგინდება,
თავი რომ შეაყვარო!..
ვისით ცოცხლობ, ვისით იწვი,
მისგან გინდა ნუგეში,
დედამიწას გამოიწვევ,
სიყვარულის დუელში!..
როცა გიყვარს, როცა გიყვარს,
ღრუბელივით ცაში ხარ,
სიზმარია ეს ცხოვრება,
თუ სიზმარიც ცხადია?!.
ხან ყველაფერს გვეუბნება,
ხან რაღაცას გვიმალავს,
მაგრამ მაინც ერთმანეთთან,
სიყვარულით მივყავართ...
გაუმარჯოს, ვინც გვიყვარდა
და ვინც გვიყვარს, იმასაც...
სიყვარულის ფრთებით ვფრინავ,
ო, ლაილა ილალა!..

ბათუმს

წვიმს და ბათუმი მზეში პირს იბანს,
ყელზე ასხმია ბროლის მძივები,
დიან ღრუბლები ცაზე ირიბად,
საცაა ზღვაში ჩავიძირებით!..
ქვიშას უსველებს ტალღა ბაგეებს,
ქაფი ისე ჩანს, თითქოს თოვლია,
შავი ღრუბლებიც გვიღალატებენ,
მზის საჩრდილობლად აღარ მოვლიან!..
ახლა ბულვარში თბილი ქარია,
დაგვისკდებიან კოცნით ტუჩები,
ბათუმს აქვს რაღაც სულ სხვა ქარიზმა,
ლამაზ ქალივით ჩასახუტები!..

ქეთევან შენგელია

უკვე ცაში ხარ

ეგ შენი ვნება ტანჯული ცამდე,
მისნობს დროული დრუიდის მსგავსად,
ნუ ნერვიულობ, ბოლომდე მენდე,
არ გაგექცევი ამ ცის ქვეშ არსად.
მე ჩავისახლებ მზესაც და ქარსაც,
ვერ მოვერევი ალბათ დანარჩენს,
ვინ რას გაუძლებს, ისედაც ვნახავთ,
როგორც ცხოვრების ბოლო განაჩენს,
იფერფლებოდი ისეთი გზნებით,
ჩანდა ცხოვრებაც ბეწვზე ეკიდა,
თითქოს კოცონზე იდექი ფეხით,
იბადებოდი შმაგი მეხიდან.
ეგ სურვილები მწველი და ძნელი,
ჰგავდა სიცოცხლეს, ბოლოს სიკვდილსაც,
მერე ჩამოდგა უკუნი, ბნელი
და დაიცალა გული სისხლისგან.

* * *

ლექსებს ვერ ვაკადრებ, ლექსებს ვერ ვუბედავ,
შენ გამო რა აბსურდს და რა დარდს ვიტანდი,
უშენოც მზეც არის, ნიავიც უბერავს,
ოთახსაც აბრუებს ჰანგები ვივალდის...
უშენოდ ყველაფერს დაერქვა სახელი
და ჩემი ფიქრები კვლავ გამიკვირდება...
უშენოდ თავდება ჩხუბი და მოწყენა,
ხეებსაც შეესხათ ღიმილი კვირტებად;
უშენოდ ბრუნდება ცხოვრების ხალისი,
უშენოდ მთავარი რაღაცა მაფიქრებს,
უშენოდ შვილისთვის მოვქარგავ მთა-ველებს,
უშენოდ დამლოცონ, უშენოდ გამიწყრენ...
უშენოდ ვაკეთე, რაც იყო მთავარი,
რაც იყო გარშემო, უშენოდ მომწონდა,
არ მინდა, არ მინდა, ეგ შენი კომფორტი,
არ ჩნდება არასდროს ხალისი ოქროდან!
მე მინდა ჩემს ძლიერ სურვილებს მივეცე,
კვლავ მინდა თავსაც და სხვასაც რომ ვუშველო,
შენ გამო აბსურდის მახეში გავები,
მომშორდი, ხელს მიშლი, მაცოცხლე უშენოდ!

* * *

„მშვიდობის გზები მათ არ უწყინან და მათ
ბილიკზე არ არის სამართალი“...
(ესაია წინასწარმეტყველი)

შორეულ ჰანგებს დაკარგული ექნებათ ძალა,
მხოლოდ წარსულში მოღუღუნე თარი გიშველის,
გიმღერებს ქარი და ხელახლა მოგიძღვნის სალამს...
„შიშველი მოხველ“, აქედანაც წახვალ შიშველი;
აი ამიტომ, თუ დაბრმავდა ყველა დარაჯი,
ბოროტებისთვის გაგიმეტა გულით მახინჯმა,
ცისფერ მდელოზე სასწაული მოისაკლისე
და ცოდვის ნაყოფს ხელმეორედ ნულარ გასინჯავ.
თუ ხეთა შრიალს ჩაენაცვლა ეკალთა წყება,
განშორებული სამართალი ვეღარ გიშველის,
თუკი სიმართლეს დაამარცხებს ისევ წყვდიადი,
მაშინ იმ ქვეყნად სიბნელეში წახვალ შიშველი.

ჩვენ ვიწყებთ ფრენას

მე ვიწყებ სუნთქვას ნახანძრალი, მეორედ თითქოს,
ვიწყებ ფრენასაც კლდის ქიმიდან, ისევ თავიდან,
კიდევ შემომრჩა ოცნებები, ეჭვი და სითბო,
ციხე-სიმაგრეს ავაშენებ ნასახლარიდან.
გამთენიაა, სხივი არღვევს ღამის ნარჩენებს,
და ღმერთი აცმევს ზეცას მზისფერს, ცისფერს და
წყლისფერს,
მდინარის სარკის მცირე ტალღა ნიშანს მაჩვენებს,
რომ ვიღაც ისევ გვემუქრება და მაინც გვისმენს.
გული ათასჯერ ვერ გატყდება, ერთხელ იმსხვრევა,
ამ ცხოვრებაშიც რჩება, ალბათ, ერთი თარიღი,
არ შეგაშინოს სიცივის და სეტყვის ისრებმა,
უმთავრესია, ვერ გაგხადონ სულით ღარიბი.
ჩვენ ვიწყებთ ფრენას მწვერვალიდან მეასედ
თითქოს,
თვალახვეულნი, გულგამსკდარნი, ფრთების გარეშე
და მაინც, ასე დაჩაგრულო, სამშობლოვ ჩემო,
არა მგონია, სხვებზე ადრე დაბლა დავეშვეთ!

* * *

როგორ ცელქობს ეს მდინარე,
როგორ აპობს ნაპირებს?!
და ყვავილიც პირმცინარე,
აყვავებას აპირებს.
ნეტავ ვისთვის გადაშალა,
გული ასე ლამაზად?
სიყვარული მოენატრა,
მე მგონია ამასაც...

ომარ მალღაყველიძე

9 აპრილს

ჩვენ გვაშინებენ, შესაშინებლად,
აბრიალებენ ნიჩბებს ალესილს,
რა შეგვაშინებს, ჩვენთან ლოცულობს
უწმიდესი და უნეტარესი!..

ცინცხალი მთვარე აცურდა ცაზე,
მიწაზე ცრემლი სისხლში ერევა,
ასე შემოდის საქართველოში
თავისუფლების მშვენიერება!..

სიზმარი

ბიძინას,
შალვას,
ელიზბარის,
კვნესა მესმოდა იკორთიდან...
სიზმარში გამომეღვიძა და
ყორანი გულ-მკერდს მიკორტნიდა!..

პატრიარქს

ვიცვლებით უნეტარესო, უკეთესისკენ ვიცვლებით,
სულ სიყვარულით აგვივსე ქართველებს
გულისფიცრები,
ვინც გისმენთ, შენით ქართველი არავის ავს არ
აკადრებს,
სულ სიყვარულით გვიბრუნებ, რაც უღმერთობით
დავკარგეთ!..

ვინც გისმენთ, შენით ქართველზე ხელს არ
აღმართავს ქართველი,
სიყვარულით და ერთობით ღმერთისკენ
მივემართებით,
უახლესი მზით ქართულით სულებს გვითბობ და
გვინათებ,
პატრიარქი ხარ ქართველთა, უკეთესს ვერას
ვინატრებთ!..

ჩვენ მაინც ნელ-ნელ ვმაღლდებით, რაცა ვართ, უნდა
დაგვჯერდეთ,
ვიქცევით, როგორც ბავშვები, გული გატკინეთ
რამდენჯერ,
ნეტავი ყველამ ვიცოდეთ, რა ღვთაებრივად
გვექცევით,
შენ მოგვიტევებ ჩვენს ცოდვებს, მაგრამ ღმერთს
სად გავექცევით?!.

სულ, სულ, სულ უნდა იცოცხლოთ, რომ გავხდეთ
უფრო კარგები,
მადლობა უფალს, ვინც გისმენთ, ყოველდღიურად
ვმაღლდებით...

„ვეგრელებ ცოცხს"...

თამაზ მიქაძე



დაუვიწყარი შეხვედრები

„სევდის მარმაშიანი
ო, ეს ნელი შრიალი"!
(პოლ ვერლენი, დავით წერედიანის თარგმანი)

დავით წერედიანის ოჯახს ქვიშხეთმა დამაახლოვა. მანამდე, მხოლოდ კეთილ-სალმიანი ნაცნობობა მაკავშირებდა ლიტერატურის ინსტიტუტიდან, თუ მცხეთის ქუჩის სახლიდან, სადაც მეზობლები ვიყავით.

ეს მას მერე მოხდა, რაც ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ბატონ დავითის მეუღლე – საუკეთესო ლიტერატორი, მთარგმნელი და პედაგოგი მანანა ღარიბაშვილი გავიცანი. როგორც თავიდანვე გაირკვა, ბევრი რამ გვქონდა საერთო: გემოვნება, ცხოვრებისეული ხედვა... ამხანაგები და ასე, ბუნებრივად, თავისთავად დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც თბილისშიც გაგრძელდა და სულ მალე, მეგობრობაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ, მხოლოდ სახელებით, შინაურულად მოვიხსენიო ჩემთვის ახლობელი, ძვირფასი ადამიანები – ერთად გატარებული ლამაზი, დაუვიწყარი და უკვე, ტკივილნარევი დღეების მოსაგონრად.

„პრინცო, რაგინდაც გადაიზამთროს,
ბრუნავს ტაეპი ქვემოსატანი,
შემოგვაგებებს ცრემლს გაის-ამ-დროს:
ვაი, შარშანდელი თოვლი სად არი?"
(ფრანსუა ვიიონი, დავით წერედიანის
თარგმანი)

„ფრანსუა ვიიონი, მე-15 საუკუნის პოეტი, ყველა შემდგომმა საუკუნემ, ზოგმა მეტად, ზოგმა ნაკლებად, ცნო და აღიარა, მაგრამ რაღაც ძნელად მოსახელთებელი თვისებებით, რაღაც უხილავი სიმით, ყველაზე ახლობელი მაინც ჩვენი ეპოქისთვის აღმოჩნდა, რომელმაც იგი ლამის თავის თანამედროვედ, ლამის თავის მესიტყვედ მიიჩნია" – წერს დავით წერედიანი... ყველასთვის დღესავით ნათელია, რომ საქართველოში ფრანსუა ვიიონის შემოქმედებას სიცოცხლე სწორედ მან უბოძა – ლირიკოსმა პოეტმა, რჩეულთა შორის რჩეულმა მთარგმნელმა.

ამას კი მუდამ გაახსენებს მკითხველი – კერძო საუბრებისას, ღონისძიებებზე, ლიტერატურულ შეხვედრებზე, თუ საღამოებზე... ყოველთვის და ყველგან გაახსენებს! როგორც პირველ დიდ სიყვარულს, როგორც სავიზიტო ბარათს.

გამონაკლისი არც ქვიშხეთური საღამოების მსმენელია. იმ ხანად, ჯერ კიდევ არ არის წიგნად გამოსული გოეთეს „ფაუსტი", მაგრამ... რაც გინდა კონგენიალური თარგმანი წარმოადგინოს, იქნება ეს ავსტრიული პოეზია თუ ფრანგი ავტორები: ვერლენი, რემბო, მალარმე, ბოდლერი და სხვა... ბოლოს, მაინც, დაჟინებით სთხოვენ ვიიონის წაკითხვას. ისევ კითხულობს – ჩუმად, მისთვის ჩვეული რიტმითა და მუსიკალურობით, ავტორისეული იდუმალი აქცენტებით.

სულგანაბულნი ვუსმენთ. ასეთ დროს, ოდნავ მაინც თუ გაქვს ლიტერატურული სმენა, ვეღარც მოყვითალო-მოყავისფრო მაგიდებს ხედავ, იმ-დღისთვის საგანგებოდ ერთმანეთთან მიდგმულს და ყვავილებით მორთულს, ვერც წყლით სავსე გრაფინებს და ძველი სასადილოს მტირალა კედლებს. მაღალ პოეზიას წამიერად სხვა განზომილებაში გადაყავხარ.

დიდი ოთახი, რომელსაც რიგი მიზეზების გამო დარბაზს ვერ ვუწოდებთ, ხალხით გადავსებუ-

შარლოტა კვანტალიანი, დავით წერედიანი, თამარ მიქაძე

ლია. ცოტა ხუმრობა რომ შევურიოთ – სრული ანშლაგია!

აქ თბილისიდან ჩამოსული შემოქმედებიც არიან, ქვიშხეთისა და ხაშურის მუზეუმის თანამშრომლებიც, სათითაოდ არ ჩამოვთვლი, არ მინდა გამომრჩეს ვინმე. ესწრებიან ახალგაზრდებიც, რომლებსაც წლების მერე, იმედია, ეს ყველაფერი, საამაყო გასახსენებლად ექნებათ. ჩვეულებრივ, მე და მანანა სიამოვნებით ვმონაწილეობთ, უფრო მეტად, ჩვენს ახალ ნამუშევარს ვკითხულობთ. საღამოებს ტრადიციულად პოეტი შარლოტა კვანტალიანი უძღვება, ამ შეხვედრების აქტიური ორგანიზატორი.

მათთვის, ვინც ქვიშხეთში არ ყოფილა ან არ იცის, რა ადგილი უკავია მას დათოს ცხოვრებაში, ვიტყვი: ქვიშხეთი გამორჩეული შემოქმედებით ისტორიის სოფელია. მდებარეობითა და ჰაერით, ხომ სანატრელი აგარაკია! მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დიმიტრი ყიფიანმა ჩადგა აქ ორსართულიანი სახლი, ცნობილი სტუმართმოყვარეობითა და ევროპული გემოვნებით. კარმიდამო კი, ერთგული მეურვეების წყალობით „ედემის ბაღს“ დაამსგავსა. თავის დროზე იქ იმართებოდა დიდი წვეულებები, საოჯახო თეატრალური წარმოდგენები.

ეს ტრადიცია, შეძლებისდაგვარად, შემდგომშიც გაგრძელდა. იქ ჩასული ცნობილი მწერლების, პოეტების, მთარგმნელების მონაწილეობით ტარდებოდა ლიტერატურული საღამოები, საინტერესო შეხვედრები. დიმიტრის სახლ-მუზეუმის წინ მდელო პატარა ფერად-ფერადი კოტეჯებით იყო მოფენილი, სადაც ზაფხულობით მწერლები სახლობდნენ. იქვე ორსართულიანი შენობაც იდგა, რამდენიმე ოჯახის დამტევი, დიდი აივნითა და შესანიშნავი ხედით მტკვარზე.

აქ ხშირად შეხვდებოდით მოსაუბრე კაცებს: დავით წერედიანს, გივი შაჰნაზარს, ჯემალ აჯიაშვილს, რეზო ჭეიშვილს. იშვიათად, გურამ ბარნოვს, უფრო ადრე – ჯემალ ქარჩხაძეს, მოგვიანებით- ანდრო ბუაჩიძეს... ასევე, მუდამ მოფუსფუსე „კლოსს“ – რეზო კვერენჩხილაძეს, იქ მყოფი ბავშვების მიერ შერქმეული მეტსახელის სიხარულით მატარებელს და სხვებს.

უამინდობის დროს, აივანზე დიდ მაგიდასთან მსუბუქი დალევაც ყოფილა და კამათიც. გასარჩევი თემა, იცოცხლე, ბევრია: პოლიტიკა, ლიტერატურა, ისტორია, სულ ბოლოს სხვადასხვა... ეს სხვადასხვა დღის ყველაზე სახალისო და მაჟორული ნაწილია. მაგალითად, ასეთი რამ ითქვა:

– ადრე, ციცინათელები იყვნენ ქვიშხეთში, როგორ კიაფობდნენ, სამწუხაროდ, გაქრნენ, აღარ არიან...

თანხმდებიან, აქ საკამათო არაფერია, თითქოს.

მხოლოდ ერთი, საუბარს ახლად შემოსწრებული და ეტყობა, ზეაქტიური ქალი დაიჟინებს: „როგორ არა, არიან, ბევრსაც ვხედავ ყოველ საღამოსო“...

– გაიკვირვებენ...

უხერხულ სიჩუმეში დათოს ხმა ისმის: „თუ სხვა ვერავინ ხედავს, არ ყოფილან და ეგაა“!

გაგვეცინება, როგორ ზუსტად იცის თქმა, თვალიც სხვანაირად უჭრის და სიტყვაც. ერთ წამში ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს პირდაპირობით, ბუნებრივად, რაც მთავარია, სამართლიანად. თან, თვითონ ამისთვის წამი სჭირდება, შენ – საფიქრალისგან, გაანალიზების საბაბს გიტოვებს.

სხვა დროს, ერთ უცოდინარ, მეტად ამბიციურ კაცზე ჩამოვარდება საუბარი, არავინ რომ დაიშურებს უარყოფით ეპითეტებს, ისეთზე... დათო ღიმილით ჩაილაპარაკებს, თითქოს, თავისთვის- „გაუშვი, ჯერ კიდევ იბრძვის“!

ამ ჯაყოებმომრავლებულ ეპოქაში, როგორც გინდა წაიკითხო ეს სიტყვები, მგონია, იმედის მომცველი მარცვალი მაინც არის... ჯერ კიდევო... ჯერო... რა ვიცი...

პერიოდი, რომელზეც ვსაუბრობთ, დაახლოებით, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან – 2010 წლამდე გრძელდებოდა. ბევრი სირთულე გავიარეთ, იქაური პირობებიც შესაშური არ იყო, მაგრამ მწერლები არაფერს უშინდებოდნენ და ყოველ წელს ოჯახებით ჩამოდიოდნენ ჩვეული შემართებით. როგორც თავად ამბობდნენ – მათთვის იქ ყველაზე დიდი კომფორტი სამუშაო პირობებისთვის ხელსაყრელი აურა იყო, ყველგან, საითაც კი გაიხედავდი, თუნდაც, დიმიტრის ხელით დარგული ცაცხვების ჩრდილში. და კიდევ, ფუფუნება იყო, მოცალეობის დროს, ერთმანეთთან ახლოს ყოფნა, საუბარი, აზრთა გაცვა-გამოცვლა.

ჩვეულებრივ, პირველი მერცხალი გივი შაჰნაზარი იყო. ლურჯი კოტეჯიდან მისი ღიმილიანი შემოგებება საკურორტო სეზონის გახსნას მოასწავებდა.

წერედიანები ყოველ ზაფხულს ერთგულად ჩამოდიოდნენ და როგორც არაერთ ინტერვიუში უთქვამთ, მათთვის ქვიშხეთი ძალიან საყვარელი ადგილი იყო როგორც დასვენებისთვის, ისე ნაყოფიერი მუშაობისთვის. ჩამოდიოდნენ მთელი ოჯახური შემადგენლობით: დათო, მანანა, მაიკო, მაშინ პატარა, თავიდანვე ჭკვიანი და საყვარელი ბავშვი. იქ გავიცანი მანანას დედაც, ქალბატონი მაყვალა კეთილშობილი პიროვნება, დამსახურებული ექიმი.

მას მერე, რაც სახლ-მუზეუმის რესტავრაცია დაიწყო და ეზოში მტკვრისა და ბულის გამო გაჩერება შეუძლებელი იყო, წერედიანები იქვე, ერთ შედარებით კომფორტულ სახლში ჩერდებოდნენ, უფრო მეტად, დათოს სურვილით, რომელიც ვერ ელეოდა იქაურობას. მას მერე ჩვენმა სტუმრობამ, სადღესასწაულო დღეებმაც იქ გადაინაცვლა. 19 აგვისტო – დათოს დაბადების დღე ხომ განუხრელად აღინიშნებოდა ქართული სუფრით, სადღეგრძელოებით, ახლობლებით, სითბოთი და სიყვარულით. აქვე უნდა ითქვას, სადაც კი ვყოფილვარ მათთან, თბილისსა თუ ქვიშხეთში, ყველგან სანიშუმოდ მყუდრო გარემო იყო შექმნილი, რაც უდავოდ მანანას დამსახურება იყო.

გულგასახარი იყო ცოლ-ქმრის ყურება. ერთი შეხედვითაც ჩანდა, როგორი ჰარმონიული, სიყვარულზე და პატივისცემაზე დამყარებული ოჯახი ჰქონდათ. ამ ყველაფერს ალბათ პროფესიული და შემოქმედებითი ინტერესების ერთობაც უწყობდა ხელს.

„ნეტარია, ვინც განშორდა
გნიასსა და ყავყავს,
ვისაც მხოლოდ ერთი უყვარს
და ვინც უყვარს, თან ჰყავს.
მის გვერდიგვერდ, ღამით ღამე
ეძებს, უსმენს, ეძებს,
რაც არვისგან მინაგნები
ბრუნავს გულის გზებზე“.

(იოჰან ვოლფგანგ გოეთე, დავით წერედიანის თარგმანი)

დათო, ერთი შეხედვით, სოციალური აქტიურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კარგი მოსაუბრეც იყო და მსმენელიც, დიდი სიამოვნებითაც შედიოდა ადამიანებთან კონტაქტში თუ კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ. სწორედ ასეთ თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობდი ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ. სხვა შემთხვევაში, ასე ახლოს ვერც ვიქნებოდით, თუნდაც, იმ ორი არასრული თვის განმავლობაში. მაშინ, არც მანანას წამოჰყვებოდა ხოლმე ჩვენთან, ვერც ვისაუბრებდით იმდენს ჩვენი მუხის სახლის ისტორიულ აივანზე. არც – ჩემს ქმართან ამოვიდოდა ხოლმე – ფეხბურთის ჩემპიონატის საყურებლად, ერთად საგულშემატკივროდ. სულხანი და დათო ბევრად ადრე იცნობდნენ ერთმანეთს, ვფიქრობ, ამანაც შეუწყო ხელი ჩვენს მისვლა - მოსვლას, ოჯახურ ურთიერთობებს. ერთხელ, სადღეგრძელოშიც უთხრა სულხანს: „იშვიათად საიმედო კაცი ხარ, ყოველ წუთს რომ დაგეყრდნობა ადამიანი, ისეთი“. მერე თვითონ როგორი საიმედო იყო! ნამდვილი, უღალატო. რაც მოსწონდა, მოსწონდა. ვინც უყვარდა, უყვარდა.

მისი ერთი დიდი სიყვარულის შესახებაც ქვიშხეთში შევიტყვე – ვიგრძენი, უფრო სწორედ. სვანეთზე რომ ჩამოვარდებოდა საუბარი, თვალები აუკამკამდებოდა, სხვანაირად გამოცოცხლდებოდა.

კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა გამეხსენებინა, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი რჩეული პიროვნების ბიოგრაფიულ თუ შემოქმედებით პორტრეტის აღწერას, ყველაზე კარგად მისი კოლეგები და უახლოესი ადამიანები გაართმევენ თავს.

მე კი, ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გავიხსენებ ჩვენს ერთად გატარებულ დაუვიწყარ დღეებს. და თუ, ამჯერად, მხოლოდ ქვიშხეთისკენ გამექცა კალამი, ეგარაფერი, ჩვენს ქვიშხეთში იგულისხმება თბილისი, თბილისურ შეხვედრებს კი, უცილობლად ახლდა ქვიშხეთის მადლი.

ბოლოს, 2021 წლის ზაფხულს მოვინახულე ჩემი ლამაზი სოფელი, დიდი წინაპრების სამკვიდრო. სახლ-მუზეუმის შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ახალი ცხოვრების დაწყებას ლამობს. იმ ტერიტორიაზე მწერლები აღარ არიან.

ერთი ძველი, ჩვენთვის ნაცნობი და ახლობელი ეპოპეა დასრულდა...

„აქ ლაჟვარდია, სამერცხლური,
ლურჯად მწვეთარი.
რაც დილას მოაქვს საზრუნავი, საღამოს
მიაქვს.
მოწყენა ჩემი დობილია, ვცხოვრობ ნეტარი,
იმედებისგან თავდახსნილი ვაგროვებ ციაგს“.

(ორიონი, დავით წერედიანი)

საქართველოს ისტორია სათუთად შემოინახავს დავით წერედიანის სახელს!

დრო უფრო ნათლად წარმოაჩენს შემოქმედის სიმაღლის შესაბამის ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ ალაგს...

სანდრო უსტიაშვილი

მალხაზ ბეზარაშვილის პუბლიცისტური შემოქმედება

წერილი ეძღვნება მალხაზ ბეზარაშვილის დაბადებიდან 60 წლის იუბილეს

მიმდინარე წლის 14 აგვისტოს მალხაზ ბეზარაშვილი 60 წლის გახდებოდა... სოფელ გურჯაანში დაბადებულ ნიჭიერ პოეტზე, პროზაიკოსზე, პუბლიცისტზე, 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეზე, უაღრესად ერუდირებულ, პროგრესულად მოაზროვნე და პატრიოტ პიროვნებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მათ შორის – ზვიად გამსახურდიაც. ექსპრეზიდენტი არა მხოლოდ კარგად იცნობდა და აფასებდა მის ბრძოლას საბჭოთა დიქტატურისა და ტირანიის დამარცხებისთვის, არამედ ძალზე ენდობოდა და მასთანაც განიხილავდა ხოლმე ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებს.

მტრულმა ძალებმა მალხაზ ბეზარაშვილს არ აპატიეს სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული და არ დააცალეს მნიშვნელოვანი ჩანაფიქრების განხორციელება... 1991 წლის 28 თებერვალს, ქალაქ თბილისში, კაკაბაძის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დაქირავებული მკვლელის ხელით სიცოცხლე მოუსწრაფეს... სამწუხაროა ისიც, რომ დღემდე საქმე გამოუძიებელი, ხოლო დამნაშავე დაუსჯელი დარჩა....

შეიძლება ღრმა და ლამაზი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანი ფიზიკურად გაანადგურონ, მაგრამ, ბუნებრივია, ვერაფერს დააკლებენ მისსავე ლექსებში, პროზაულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში გადმოცემულ მსოფლმხედველობას, იდეებს, შეხედულებებს – ისინი ხომ არასდროს დაკარგავენ აქტუალობას!

ლადო ასათიანი წერდა: „რა პოეტი ხარ და რა ქართველი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე“! საუკუნეთა განმავლობაში, ქართველი კაცისთვის მამულის სამსახური არა მარტო მიზანს, არამედ გარდაუვალ აუცილებლობასაც წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიაში იყო ჟამი ხმლის ქნევისა და ციხესიმაგრეთა აგებისა, იყო ჟამი კალმისა და ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებისა.

ეს კანონზომიერება კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული თერგდალეულებს. მათთვის სამწერლო საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული სულის გაძლიერების, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და ქვეყნის გადარჩენის საშუალება იყო.

ვფიქრობ, რომ მალხაზ ბეზარაშვილი სწორედ თერგდალეულთა მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და საქმიანობის გამგრძელებელი იყო. ამას მოწმობს არა მარტო მალხაზის მიერ საპროტესტო აქციებში გამოხატული ამბოხი კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ, არამედ მისი რომანები, მოთხრობები, ლექსები და პუბლიცისტური წერილებიც.

მალხაზ ბეზარაშვილის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „სტუდენტობის პირველ წლებში შექმნა პირველი ნაწარმოებები: „ცისკრის დედანი“, შემდგომ მთელი რიგი მოთხრობებისა: „ცისფერი გოგონა“, „ლოქო“, „მათხოვარი“, „დანჯღრეული ავტობუსი“ და სხვა. ეს ნაწარმოებები არ გამოუქვეყნებია იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, რადგან თვლიდა, რომ ჯერ კიდევ საჭირო იყო მეტი პროფესიონალიზმი მწერლობაში. ამიტომ ძალიან ბევრს მუშაობდა და სჯეროდა, მიაღწევდა მიზანს – გახდებოდა პროფესიონალი მწერალი“.

კითხვაზე: რა არის საჭირო მამულის სამსახურისთვის? – მალხაზ ბეზარაშვილს იგივე პასუხი ჰქონდა, რაც თერგდალეულებს: მამულის სიყვარული, თავდადება, შრომა და პროფესიონალიზმი.

ბოლო წლებში ბევრი დაიწერა მალხაზ ბეზარაშვილის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებზე. შესაბამისი მასალების გაცნობამ დამარწმუნა, რომ შეუსწავლელია და უდაოდ საჭიროებს განხილვა-ანალიზს მისი პუბლიცისტური წერილები.

2010 წელს გამოცემულ კრებულში, „სულის ძახილი“ შესულია მალხაზ ბეზარაშვილის შემდეგი პუბლიცისტური წერილები: „გარემომადგეს მე ზვარაკნი მრავალნი ჭამებელნი“, „კონფედერაციის წინააღმდეგ“, „სამხედრო კრიზისი და ცვლილებების გარდაუვალობა“, „რანი არიან“, „შავი ზღვა და უმაღლესი პოლიტიკა“, „ჭერემი“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ნამუშევრებში გამოყენებული ინფორმაციის მოცულობა, ისტორიული ფაქტებისა და მონაცემების სიუხვე, ანალიზის მასშტაბურობა, წერის სტილი გარკვეულწილად სცდება კიდეც პუბლიცისტიკის ფარგლებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს წერილები განკუთვნილია მოსახლეობის ფართო აუდიტორიისთვის, ავტორის სათქმელი განმსჭვალულია ეროვნული მუხტით და სურდა, ეს მუხტი რაც

შეიძლება მეტი ადამიანისთვის გადაეცა, ისინი სწორედ პუბლიცისტიკის კუთვნილებაა.

ამ წერილების აზრი და პათოსი უკეთ რომ გავიგოთ, ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ:

1) მალხაზის დედის, ქალბატონ ნაზი ბეზარაშვილის თქმით, იგი ბავშვობაში, მათემატიკასთან ერთად, დიდ ინტერესს ამჟღავნებდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურისადმი. ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ქარიშხლიანი, მძიმე გზა, რაც ქართველმა ერმა საუკუნეთა განმავლობაში განვლო. ანალიზის შესანიშნავი უნარი კი იმის გარკვევაში დაეხმარა, საქართველოსთვის რას წარმოადგენდა საბჭოეთის შემადგენლობაში ყოფნა და რას ნიშნავდა სიტყვები: თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა... ერთგან წერდა კიდეც: „ინტერნაციონალიზმი წარმოშობს შოვინიზმს, ხოლო შოვინიზმი – ინტერნაციონალიზმს. ამ მხრივ უშფოთველობა მხოლოდ ეროვნული თვითმყოფადობით შეიძლება შეიქმნას“. ამ სიტყვების ავტორი კარგად აცნობიერებდა, რომ ერთი შეხედვით უზრუნველი და ბედნიერი საბჭოური ცხოვრება სინამდვილეში ერის რეალური წინსვლა-განვითარების სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ამ დასკვნამ იგი ბრძოლის დაწყების იდეამდე მიიყვანა.

2) 2013 წელს გამოცემულ წიგნში „ხვალ გარიჟრაჟზე დუელი მელის“ წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფიაც.

ყურადღება მივაქციოთ ერთ ეპიზოდს: „1981 წელს მალზახ ბეზარაშვილმა მონაწილეობა მიიღო მცხეთაში გამართულ მიტინგში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: ზვიად გამსახურდია და თამარ ჩხეიძე. აღნიშნულ მიტინგში მონაწილეობის გამო, მალხაზს მკაცრი კონტროლი დაუწესეს, ხოლო ცენტრალური კომიტეტიდან მიუჩინეს ვინმე ლომიძე, რომელსაც ევალებოდა, პროპაგანდა-აგიტაციის მეშვეობით ის ჩამოეშორებინა პოლიტიკურ მოღვაწეობას. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. პირიქით – მცხეთაში გამართულმა მიტინგმა მას კიდევ უფრო გაუმძაფრა სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობისა“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი გარდამტეხი აღმოჩნდა მალხაზ ბეზარაშვილის ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ცხოვრებისეული გზის განსაზღვრის თვალსაზრისით. 1981 წელსვე უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია სათაურით: „მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ანუ ხულიგნები „მორწმუნეთა“ როლში“. ეს წერილი მიანიშნებდა იმაზე, რომ მალხაზ ბეზარაშვილი არც მომავალში მოითმენდა დამყაყებული წყობის არაერთ უსამართლობას.

„ – რედაქციაში ხომ არ შეესვლება ნიჭიერ ახალგაზრდას. კაცი, რომლის რომანში სიტყვას ვერ იპოვი, ზის და ნაწერს გისწორებს. კარგი ბიჭი ხარ, სიტყვა შებედე. საკითხავი ის არის, საერთოდ თუ აქვთ ასეთ ხალხს პატრიოტობის უფლება. ზოგს პატრიოტიზმი ფულის შოვნის საშუალებად უქცევია“, – შენიშნავს მალხაზ ბეზარაშვილი წერილში: „გარემომადგეს მე ზვარაკნი მრავალნი ჭამებელნი“. პროტექცია და უნიჭობის წახალისება, ფულისა და ანგარების ზეობა, საკუთარი საქმის უკეთ გაკეთებისთვის არანაირი მოტივაციის არარსებობა – ამ სოციალურ პრობლემებში, რაც პრაქტიკულად ყველგან იყო გამეფებული, მწერალი ხედავდა პოლიტიკურ საფუძველს. ამავე დროს, იგი არ გვევლინება უბრალო მედიატორად, ამბის მომტანად, რაც ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. მალხაზ ბეზარაშვილი, მხატვრული მეთოდის გამოყენებით, ხსენებულ წერილში ასეთ გამოსავალს სთავაზობს საზოგადოებას, კერძოდ კი – მამათა თაობას: „დავარდნილ დროშას ჯერ ისევ თქვენ გაწვდით; იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვერ ავწევთ, – იმიტომ, რომ მამათა თაობა ხართ და სანამ იმედი ჯერ კიდევ არსებობს, თავზე გადახტომა არ ეგების“.

განვიხილოთ, რით არის ეს ამონარიდი მნიშვნელოვანი. განმარტებისთვის: პუბლიცისტიკაში არსებობს ე.წ. სამი ფუნდამენტური საფეხური: პირველ საფეხურზე ავტორი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან რაიმე ამბავს ან ამბებს მოგვითხრობს. მეორე საფეხურზე, ამბების თხრობასთან ერთად, ავტორი მათ ანალიზსაც აკეთებს. რაც შეეხება მესამე საფეხურს, ავტორი მოგვითხრობს ამბებს, აანალიზებს მათ და, ამავე დროს, გვაცნობს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას და საზოგადოების წინაშე არსებულ გარკვეულ გამოწვევას აყენებს დღის წესრიგში.

საყურადღებოა, რომ მალხაზ ბეზარაშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია უფრო პროგრესულია, ვიდრე ვთქვათ, თერგდალეულებისა. კერძოდ, ჩვენ გვახსოვს ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეტური პაექრობა, რაცურთიერთბრალდებებით გამოიხატებოდა. მალხაზი ხსენებული წერილით მამათა თობას სთავაზობდა მნიშვნელოვან ისტორიულ შანსს – დაემთავრებინათ საბჭოური უმოქმედობის ხანა და მომავალ თაობას ეროვნული დროშით წინ გაძღოლოდნენ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.

მალხაზ ბეზარაშვილის ზემოხსენებული პუბლიცისტური წერილები თავმოყრილია ერთი სტრატეგიული მაგისტრალის გარშემო: დავაკვირდეთ – წერილში „შავი ზღვა და უმაღლესი პოლიტიკა“ ავტორი აანალიზებს არა მარტო საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობას, არამედ შავი ზღვის ისტორიულ და პოლიტიკურ როლს უცხოეთის წამყვანი ქვეყნების საქართველოსთან დამოკიდებულებაში. წერილში მოკლედ, დინამიურად, ნათლად არის მინიშნებული, რაოდენი სიფრთხილე, დაფიქრება, შორსმჭვრეტელობა სჭირდება ქართველ ერს, მის პოლიტიკურ ლიდერებს, რათა ახალი შეცდომები არ ყოფილიყო დაშვებული.

სიფრთხილესთან ერთად, მწერალი საზოგადოებას იმის გააზრებისკენაც მოუწოდებდა, რომ საბჭოთა იმპერია სერიოზულ ჩიხში იყო შესული. კრიზისს განიცდიდა ყველა სფერო.

გარდა ამისა, მალხაზ ბეზარაშვილმა დროულად შენიშნა, რომ ეროვნული მოძრაობის სათავეში მოქცევის მცდელობა ჰქონდათ იმავე მედროვე ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე კომუნის-

ტურ პარტიას ეფიცებოდნენ ერთგულებას და ყოველთვის პირადი სარგებლის მიღებას ცდილობდნენ. სწორედ პუბლიცისტიკა იყო საუკეთესო საშუალება მათი მხილებისა და საზოგადოების გამოფხიზლებისთვის.

1987 წელს დაწერილ სტატიაში „რანი არიან“ მალხაზ ბეზარაშვილი მკაცრად ამათრახებს ამ მედროვე, ეროვნული მიზნების მიღწევის გზაზე შემაფერხებელ ბარიერებად ქცეულ ადამიანებს. „დაბეჩავებულ და დაბრმავებულ ხალხს ტაშს აკვრევინებთ პროფესიული აფერისტობით. ხალხს, რომელიც თვალებში შემოგქცერით და ხალხს, რომელიც ბრბოდ გადააქციეთ კიდევ ერთხელ. ბევრი გულუბრყვილო ვერ ხვდება, რომ თქვენ შესანიშნავი თოჯინები ხართ იმ ფორმალიზმის განსახორციელებლად, რომელსაც დემოკრატია დაარქვეს. მაგრამ გამარჯვების უბეში ჩადებას წინდაწინ ნუ იზეიმებთ. საქართველოში არსებობს ჭეშმარიტი საზოგადოება. აი, ის არ მოტყუვდება და ბრალად დაგდებენ ერის არნახულ ღალატს“.

მალხაზ ბეზარაშვილის მწერლობისა და პოლიტიკური მოღვაწეობის სტრატეგიული მაგისტრალი მიმართული იყო ეროვნული ღირებულებების დაცვისადა განვითარებისკენ. მოგეხსენებათ, ჟურნალისტიკის უმთავრეს ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოების ხელთ არსებული რესურსების დაცვას და გაუმჯობესებას უკავია.

სწორედ ამ ფუნქციის გამოყენებას ცდილობს მწერალი პუბლიკაციაში „ჭერემი“. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მას შევიტანდი ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოებში, როგორც დამწყები ჟურნალისტებისთვის გასათვალისწინებელ ნიმუშს. წერილში აღწერილია ამ ძველი ქართული სოფლის — ჭერემის დაფუძნება და ისტორიული როლი აღმოსავლეთ საქართველოს მტრისგან თავდაცვის თვალსაზრისით. „აქაურობას ძველი სამშობლოს სუნი უდის. სამშობლოს გარდასული დიდებიდან შემორჩენილი ამ ნანგრევებისა და მიდამოების შემყურეს ყურთასმენაში ჩაგწვდება ცხენების თქარუნი. თითქოს ბნელში საომრად მიიწევს უშველებელი ლაშქარი. ეს ულამაზესი მხარე ელოდა კიდევ ერთ გამარჯვებას სხვა ათასის შემდეგ“.

ისეთი ჟურნალისტური ჟანრების ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: სტატია, კორესპონდენცია, რეპორტაჟი, ინტერვიუ მალხაზ ბეზარაშვილი აღწერს სოფლის მდებარეობას, კლიმატს, მის მდგომარეობას 1952-53 წლებში, სოფელში არსებულ რეალობას 80-იანი წლების მიწურულს და აქაური მოსახლეობის განწყობას. ავტორი მხოლოდ ჟურნალისტური ასპექტებით როდი შემოიფარგლება — მხატვრული პასაჟებითაც ამძაფრებს ემოციურ ფონს და აძლიერებს ერთი მხრივ ეროვნული სიამაყის, მეორე მხრივ კი სოფლისადმი თანაგრძნობის მუხტს. წერილი საკმაოდ მრავლისმთქმელი და მრავლისმომცველია.

მალხაზ ბეზარაშვილი ერთ-ერთია მათ შორის, რომლის წერილებმა ხელი შეუწყო ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლას. ეს როდია გადაჭარბებული შეფასება. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ საბჭოურ პრესაში იბეჭდებოდა ე.წ. მკაცრ კომუნისტურ ყალიბში ჩამოსხმული წერილები. მათი უმთავრესი მიზანი, როგორ ცნობილია, მაშინდელი წეს-წყობილებისა და იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდა იყო. მართალია, საბჭოთა პერიოდში უამრავი ნიჭიერი ქართველი ჟურნალისტი მოღვაწეობდა პრესასა და ტელევიზიაში, მაგრამ მათ სიმართლის თქმის უფლებას და მითუმეტეს — ეროვნულ საკითხზე, ვინ მისცემდა?! ეროვნული მოძრაობის წლებში ამ კომფორტის საშუალება გაჩნდა. საბედნიეროდ, პროფესიით არაჟურნალისტმა მალხაზ ბეზარაშვილმა ეროვნული თვითგამოფხიზლების პროცესში თქვა სიმართლე. მთელი სიმწვავით დააყენა დღის წესრიგში ჭეშმარიტად ეროვნული მნიშვნელობის საკითხები და პრობლემები. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია,ეს გააკეთა სერიოზული ინტელექტუალური მუშაობის, ბევრი კითხვისა და ანალიზის შემდეგ.

მალხაზ ბეზარაშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა მხოლოდ იმიტომ არ არის აქტუალური და ღირებული, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის გარდამტეხი ეტაპის მოთხოვნებსზუსტად პასუხობდა. ის მნიშვნელოვანია დღესაც, განსაკუთრებით შემდეგი ასპექტით: იმ ფონზე, როდესაც ქართული მედიის წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილი იქცა პარტიულ დავალებათა აგრესიულ შემსრულებლებად და დაკარგეს ნამდვილი ჟურნალისტის სახე,მალხაზ ბეზარაშვილის წერილები წარმოადგენს საუკეთესო მაგალითებს: როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო,როგორ ფუნდამენტურად უნდა შევისწავლოთ დასაწერად შერჩეული თემა, როგორ უნდა ამოვიდეთ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან, როგორი დახვეწილი ქართულით უნდა გადმოვცეთ ჩვენი სათქმელი,როგორ უნდა გავიაზროთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელობა და ხვალინდელი დღე წარსულთან მიმართებაში და ასე შემდეგ.

ეს წერილი მინდა დავამთვრო მადლობის სიტყვით:ჩვენი საზოგადოების მხრიდან დიდი მადლობა ეკუთვნის მალხაზ ბეზარაშვილის დედას, ქალბატონ ნაზი ბეზარაშვილს და მთელ მის ოჯახს, რომლის აქტივობით ამ წლების განმავლობაში გამოიცა მალხაზის არაერთი წიგნი და გაიმართა არაერთი შემოქმედებით საღამო. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ერთი მიზეზის გამო: მალხაზ ბეზარაშვილი ნამდვილი ეროვნული გმირია, რომელიც ძალიან ახალგაზრდულ ასაკში შეეწირა სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას. მისი გამორჩეული ნიჭიერების, ღრმა ინტელექტისა და ფართო ერუდიციის ნიადაგზე აღმოცენებული ნამუშევრები ეკუთვნის ქართველ ერს და ეძღვნება ქართული სულის სიძლიერეს, რომელიც ვერცერთ ეპოქაში ვერცერთმა დამპყრობელმა ვერ დაამონა და ვერ ჩაკლა!!!

დიდი მადლობა ბეზარაშვილების ოჯახს ამ დიდი ღვაწლისთვის.

2022 წლის ივლისი

დებიუტი

მარიამ ხარანაძე

ცის აჩრდილი

შევქმნი ათასგვარ რითმას, სიტყვას,
გამოთქმულს კრძალვით!..
მახინჯ სულისთვის მოვიძებნი
საყუდელ ბინას,
თუ გაქვავებულს მიპოვიან
მეგობრის გულში, არავინ კითხვით
არ მიმართოს დანაცრულს,
დარდით!..
ათასგვარ სიტყვას ეკიდება ათასი
დარდი, დარდებსაც კიდევ
ეკიდებათ ცოდვილთა ფუთა!..
შემოიარე ყველა კარი, ყველა
ალაგი და ბოლოჟამის
დამნაცვრელი სიტყვებით
დაფრქვი!
ყველა ის კაცი მოიკითხე
ცხოვრების ნიშნად, ყველა ის
„თასი“ გამოძებნე კაცობის
მთქმელი!
აჩრდილთა სახლებს მიაკითხე
ისევე კრძალვით, ოთახის სარკეს
გადახედე წყეული თვალით!
სხეულზე, კანზე ალაგ-ალაგ
მედება სხივი, გასაოცარი მზის
სადარი მისი სურნელით!
ავაწყობ რითმას ალაგ-ალაგ
ბორძიკით თქმულ ლექსს და...
გასაოცარ მზის სურნელში
გამოვეხვევი!
მოვინანიებ თქმულს ან
ართქმულს ორივეს ერთად,
მოვძებნი იმ კაცს გადაფერილს
კარიბჭის მიღმა, გამოვთხოვდები,
ალაგ-ალაგ დარჩენილ დარდებს
წამოვიყოლებ და... ვიქცევი
აჩრდილად ცისა.

სევდისფერი ღამე

წუხელის ოთხზე დავიხურე მე ჩემი ქუდი
და... გავიარე უსასრულო გზა გაყინული...
ლამპიონის შუქს შეჰყურებდნენ მწვანე
თვალები, ისევ ისე ჩამონამეს ღაწვთა
ნაწილი!

ნაცრისფერ ცაზე ლიცლიცებდნენ მკრთალი
ღრუბლები
და მკრთალ ხელებზე კვლავ ცეკვავდნენ წვიმის
წვეთები!..

წუხელის ოთხზე დავიხურე მე ჩემი ქუდი
და გავიარე გზა ტაძრამდე მისვლისა მთქმელი!..
ერთხანს ვიყავი უჩინარი ღამის წყვდიადში,
მერე ავტირდი ჩემი სულის გოდებით მკვდარი!..

გამომეკიდნენ არნახულად ფიქრები, ჩემი!
და გამიტაცეს ტაძარის კართან, მომკუნტეს იქვე...
მათხოვარს ვკითხე ჩურჩულით და ცრემლის
ზვირთებით:
„თუ გიყვარს კაცი ამსოფლისა, ცოდვილი
სულით“?

წამოდგა ჩქარა გაყინული დიდი ლოდიდან და...
იჩურჩულა:
„ყველა მიყვარს ამ სოფლის შვილი“!

მე ჩავეკითხე სწრაფად, ტანჯვით:
„მოღალატენიც“?!
მან ისევ ისე უწინდურად მითხრა სათქმელი,
მერე ტაძრის კარს ჩამოუსვა დამჭკნარი ხელი!..
შემომაგება სევდიანი, ცისფერი თვალნი
და... გავითქვიფეთ საკმეველის დიად სურნელში!

ჯვარცმასთან, იქვე, ჩავიმუხლეთ მე და ის ქალი,
მე დავაყენე ცრემლების ტბა ამ ქალის თვალწინ!

მერე ჩამძახა ისევ ისე, ჩურჩულით, მალვით:
„მე ყველა მიყვარს, ყველა, ყველა მოღალატენიც“!..

პოეზია

თამაი ბაბიოშვილი

სიყვარულის თანავარსკვლავედი

იყო და არა იყო რა
არა იყო რა და იყო

ლექსის საწერად, სიყვარულო,
მოგიწვიე,
გამოგიგონე,
ათასნაირად მობრჭყვიალე
და ფრთახატულა –
ასე მეგონა...
ბოლოს კი მივხვდი,
პირიქით იყო –
სიყვარულმა მე გამომიგონა –
სამყაროს დიდი პოეზიის უკვდავსაყოფად!

სიყვარული

გაგიცანი, შეგიყვარე
ციდან – ველთა ველამდე;
უხსოვარი ენიდან
მსურდა გადმომეთარგმნე...
შემომაცვდა გზად სუყველა
ფანქარი და კალამი
და სევდის ბაღს მივადექი
ოცნებების ალამით...
რა ყოფილა სიყვარული,
უსიტყვო და უენო –
ქვა ყოფილა და ქვად რჩება,
რაგინდ სული უბერო...
უთარგმნელი დამრჩა ესე,
სიყვარული ფრესკული...
დაბლა არა, უფრო მაღლა,
მაღლა-მაღლა ფრენს სული...

აღსავლისა

დაიძინე, დაიძინე, სიყვარულო,
მომეხუტე, მომეხუტე,
შეისმინე იავნანა ჩემი სულის...
თბილ-თბილ ტალღებს შეერიოს
შენი სუნთქვა – სასიცოცხლო...
არ შემიკრთე, გაირინდე,
დაიძინე, დამაძინე...
სიზმრის გამჭოლ –
იქ – ბურანში –
სიზმარ-ცხადში
სიყვარულის სიყვარული
აციმციმდეს, ამნათობდეს –
ერთად ვიყოთ, ერთად, სულო,
აყვავილდეს ცისიერი
ჩვენი დიდი სამფლობელო,
სადაც ძილი არ არსებობს,
სადაც სული უვლის სიოდ
რიჟრაჟისფერ ჟამის წირვებს
სიყვარულის სადიდებლად,
სიყვარულის, სიყვარულო!

* * *

გზა-გზა ქვებივით
ცვივა ლექსები...
როცა ცრემლები
მილტობენ ნეტართ,
ნატვრისთვლებივით
იწყებენ ბზინვას,
როცა არა წვიმს,
უცვარნამოდ
დარჩენილთ ალბათ
ვერ შეამჩნევს
მოკვდავთა მზერა...
ო, ქვებო, ჩემო
სველო ლექსებო,
სიყვარულის
ზეციურო მისტერიებო!

პოეზია

სად გაექცევი ამ სიყვარულს,
უკან რომ დაგდევს,
ჩვილი ბავშვივით შემოგტირის:
– ამიყვანე, მკერდზე მიმიკარ,
მშია, მწყურია,
გაზრდა მინდა და გახარება,
შენი პირმშო ვარ, შენიანი,
მემკვიდრე სულის –
სად გაექცევი ასეთ სიყვარულს,
ან ღმერთის ნებას –
დედიშობილას – ეს – ერთადერთი
სიყვარული რომ გმოსავს, გიფარავს.

იმედი

იქნება ეგრე –
ამოვა სიფრიფანა მთვარე –
ჩემზე შეყვარებული ქალი
ჩემს ქუჩაზე,
ჩემს ნაკვალევზე
დღედაღამე იხეტიალებს,
გზას გამინათებს –
დაბლა მხოლოდ
სინათლედ ჩამოვა,
თავად კი მუდამ
დარჩება მაღლა,
ციურ სიცოცხლედ,
უხვვარსკვლავშემოკრებილი –
ჩემიანი, ჩემზე შეყვარებული
სიფრიფანა ქალი,
ჩემი მეგზური,
შემოჩვეული –
სიმარტოვის და
სიყვარულის თეთრი გამგებელი –
იქნება ეგრე –
იმედი,
საოცარი იმედი –
უსასრულობაში მოკონწიალე
და მაინც ასხმული
რ ა ღ ა ც ა ო ბ ა ზ ე...

* * *

დამეკარგე...
ნეტა სად დამეკარგე...
ჩემს კალამს
წითელ სისხლად ჩამოუვიდა
სიყვარულის მათრობელა ნაფეხურები –
ცას კიდულები...
რომელსაც მისდევდნენ ჩემი ფიქრები...
წარუშლელია ნაკვალევი
და არც მთავრდება...
ვიცი, ღმერთამდე ამიყვანს
მე ეს სიმაღლე
და ყველაფერი, როგორც მათხოვარს,
სადღაც დამრჩება...

* * *

ჩემო მიწავ და დამბადებელო
გავმჭვირვალდები,
რომ შეგენივთო –
ერთგულებით მთები გავაკვირვო,
ფსკერზე მწოლიარეს
შენი თვალების ცისფერი ბროლი
შუქურად დამნათოდეს,
გუგებში ჩაბნეულ ხალებს
ქვიშად კი არა,
ვარსკვლავებად ვითვლიდე...
ანდა რამ გაყო
მიწა და ზეცა,
როცა ცეცხლი მიკიდია სიყვარულით
და წყალი არ მწყალობს.

ალმას-გოგონა

ისევ ისე,
ისევ ისე
დავნამცეცდი და
ავბრჭყვიალდი სულის თილისმად...
მიწიდან ცისკენ
ისევ გაიფრქვა
ჩემი მტვერი და
ჩემი ოცნება...
სიყვარულისფრად გაუთენდათ
ქვებს და ყვავილებს –
ალაპარაკდნენ ამ მთა-იმ მთისას...
ო, ღმერთო ჩემო,
ისევ შენ გეძებ
ამ მიწის გაჭოლ
ქართა ზარისხმად –
დიდი გულების
შესაკრებად, აღმოსაჩენად,
გადასარჩენად...
შემეწიე, ო, შემეწიე,
რაკი მომგვარე
ნამცეც-ნამცეცად
უტკბილესი განმარტოება –
მიწასა ზედა
და ცათა შინა –
სასუფევლის წინ მოკიაფე
ალმას-გოგონას...

სიყვარულის პოეზია

ეჰ, არყის ხევ, შე მზიანო,
ტანზე ბურთებკუნწულია,
გაიხადე რუხი კაბა,
ახლა სულმთლად შიშველი ხარ...
ფურცლებივით ქათქათელას
სხივებივით უჩინარი
ზედ ლექსები გაწერია,
შრეებიდან ამოგსვლია
სიყვარულის პოეზია...

ეკატერინა შაინიძე

მართა-მარიამი

ერთხელაც, უფალო,
დაე, მარიამმა გაგხადოს სანდლები,
გასხუროს მირონი
და თავისი თმის აბრეშუმით
ტერფი შეგიმშრალოს...
ხოლო მე ვეშურვი, კეცები გავახურო,
ხმიადი დავაცხო და ვაზის ნაჟურით
ჩამოვდგა დოქები...
და როცა საუფლო კერძის დამზადებას მოვრჩები,
მოვიდე და მარიამის მსგავსად მეც შენს ფერხთით
დავჯდე და შევსვა მირონი,
რომელიც მოედინება შენი ბაგიდან...
განა შენ არ მითხარი:
ო. მართა, მართა, ნუ ზრუნავ მეტისმეტად,
ორიოდ კერძი საკმარისია, და თუნდ ერთი,
ხოლო მთავარი ისაა, რაც მარიამმა აირჩია,
რომელიც არასოდეს წაერთმევა მას...
მაგრამ უფალო, რომ არა მართა,
რომელიც მიმოდაზრუნვიდა შენთვის,
როგორ მოგიჯდებოდა ფერხთით მარიამი...
და მე რა ვქნა,
რომელსაც მინდა რომ ვიყო
არა ერთი, ან მეორე,
არამედ...
მართა-მარიამი.

ზღვის სონეტები

1.
მეც ვიმღვიძარებ შენთან ერთად მირაჟის ღამეს,
დაისისხლება ლურჯი ველი მწველი დაისით
და თეთრ თოლიებს მზენასვამი სინაზით
მთვრალებს
მოენატრებათ შარშანდელი ვარდი მაისის...
გადაილანდა – მირაჟივით გაქრა ყოველი,
სევდისფერია ეგ თვალები ნადაისარი...
ვერ ხვდები განა – წრიულ გზებით კვლავ იქ
მოვედით,
გუშინ რომ დაჰკარ, მზვაობარო, შავი ისარი!..
გადაუკივლებს შლეგ სივრცეებს ლურჯი ალკუნი
და ოქროსფერი თმების ცეცხლით დაიხანძრები,
თეთრი ბატკანიც მეათასჯერ ჩვენთვის დაკლული
ცისკენ გვეძახის ცადაწვდილი თეთრი ტაძრებით...
შენი თვალებიც ტაძარია ცრემლის სვეტებით,
აანთე სული – ჩასაქრობად არ მემეტები!

2.
ვით ნაწამები ბიბლიური დორ-ჰამიდბარი...
ახლა იმგვარი ამღვრეული გვიდგას აქ დარი...
მივემართებით, მივიმღვრევით და მივირღვევით
აღთქმულისაკენ? უფსკრულისკენ? ზევით თუ
ქვევით?
ჩამოძონძილი, ჩაწიხლული, მშიერ-მწყურვალი...
მაგრამ ო, მაინც ჯიუტი და სხივჩაუმქრალი
ჰოი, მამულო, მე ვარ შენი დორ-ჰამიდბარი...
თავის ბედის წინ მიმქროლავი შმაგი მხედარი...
ღელავს უდაბნო, მოიფრქვევა ქვიშის ღადარი,
ნაცარშეყრილი, დავსებული ხედვა და თვალი...
ცრუ მოსეებით, ცრუ ღმერთებით, ცრუ დაპირებით
ჯერ მხოლოდ ცხელი ქვიშის მოჩანს აქ ნაპირები...
ამ უდაბნოდან გზის გამკვლევის ხვედრი ვისია...
შენი ნაპირი ის აღთქმული ოაზისია...

განმეორება

ფოთოლცვენისას
გაყვითლებულ ფოთლებში ვწვები,
ფოთოლცვენაა ჩემი ერთი
დიდი ტკივილი,
ვწევარ უჩუმრად, ვით არყოფნისას...
ყვავილობისას...
ყვავილებად ვიღვიძებ მერე...
ნეტავი რომელ ყვავილნარში განვმეორდები,
ამოვიზრდები რომელ ყვავილად,
ვის გაახარებს,
ვინ შენიშნავს,
ვინ შეიყვარებს,
ჩემს უცოდველ განმეორებას.

და კვლავ გალობენ...

ისევ გალობენ
ვარსკვლავები,
ისევ მღერიან,
სიწყვდიადეში
მოგონებებს
ანთებენ კვარად,
ზოგს მოიისფრო,
ზოგს მომწვანო,
ზოგს ცის ფერი აქვს,
ზოგი მზის ვარდად
იფურჩნება,
ლამაზ კვაზარად.
ისევ მღერიან
ვარსკვლავები,
გალობენ წყნარად,
მზის სალამურებს
აკვნესებენ
მწყემსების დარად,
მღერიან სიზმრებს,
ვარსკვლავწყვილზე
მღერიან არაკს,
აწკარუნებენ
სიბნელეში
მბრწყინავ ზანზალაკს,
სერავენ სივრცეს
უნიღბებოდ
და დიდ თეატრში
ყველა ვარსკვლავი
მზეს თამაშობს,
მხოლოდ მზით ხარობს,
ყველა ვარსკვლავი
სინათლისთვის
მღერის და გალობს,
ყველა ვარსკვლავი
სინათლისთვის
მღერის და ცხოვრობს
და მზის დიდებას
ცად აღავლენს
ვარსკვლავთა ქორო.
მოედინება
სიბნელიდან,
ნათელ დინებად,
ვარსკვლავთგალობა
ლას – ის მდინარედ,
სოლ – ების ლავად,
გულში გროვდება,
მომჩქეფარებს,
განა მდოვრდება,
რა შორეული
მოგონება
მიახლოვდება
ფა – ს სიმფონიად,
სი – ს სისოველედ,
რე – ს თბილ კონებად,
ფერად დო – ნებად,
სხივების ზღვად
მი – ოქროვდება,
როგორც არაგვი,
როგორც მტკვარი,
როგორც ენგური,
როგორც ეს გული,
მიჯაჭვული
ნეკნების ბექობს,
გალაქტიკების
უუშორეესი
სიმღერის ექო,
აქ იმეორებს
კოსმიური
ჰანგების წკრიალს,
და ქარებს მიაქვს
ნათლის ფონად
და წვიმებს მიაქვს
ჩვენი სუნთქვების
ჩუმი ფრთონა
და სიმწუხარე...
სხვა მოგონებებს
რად მიღვიძებს,
სადღაც სხვა მხარე,
იქ, სად ვარსკვლავთა
სიწრფელეა
და სიმქუხარე,
სად თეთრი
ხმების
სინედლეა
და სიანკარე,
სადაც
მოლხენაც სხვაგვარია,
თრობაც სხვაგვარი,
სად განთიადებს
ლურჯად ბანგავს
დიდება ყოვლის,
ასე თვრებოდა
ალბათ გალა
იისფერ თოვლის
უცხო მუსიკით,
მელოდიით,
უცნაურ თრთოლვით...
ან მასზე ფიქრი
რად მაღონებს,
ან რად მახარებს,
სხვა მოგონებებს
რად მიღვიძებს
სადღაც სხვა მხარე.

მზის სადიდებელი

ციდან შრიალით ეშვება ფარჩა,
ანთია ზეცის უქრობი კვარი,
ახლა ნუგეშად ეს შვება დამრჩა,
მზის სადიდებლად მოვმართო ქნარი.
მზეო, შენ ზეცის ლურჯ მტევნებს წურავ,
მე თიხის სურა ვივსები შენით,
და თუ გამწირა ამ გაზაფხულმა,
ვინ დათვრეს შენი მზისფერი წვენით.
ვინღა გიმღეროს ტრფობის სიმღერა,
ან ვინღა გამცნოს ბანით თუ დვრინით,
რომ უშენობით თიხა ირღვევა,
რომ კვლავ მზადაა ეკლის გვირგვინი.
ან თუ სხვა მზის წინ თავი დავღუნე,
ვიღას ახარებ შენ მოსვლის ამბავს,
ხედავ, აგელვებს ვიღაც შავ ჰუნეს
და უშენობის შავ ფერებს ლამბავს.
დადის და შავი მანტიით ხრჩოლავს,
ცარიელ ქუჩებს ზვერავს ავთვალი,
აღარ ეხება მარტოსულ ოლარს,
მხურვალე ბაგე – მზის ანათალი.
დადის შავჩრდილი და მაცლის ღონეს,
მპარავს გაზაფხულს, მავიწყებს ღიმილს
და დამხარხარებს – მზე რომ გეგონა,
ხომ ყოფილაო საბრალო მღილი.
შავ შიშებს მიშენს და ნერვებს შიშველს,
მიკორტნის ძერა – ვერავის ვშველი!
დამფერფლე ბარემ, რომ ისევ ვიშვა
და აღვადგინო დიდება შენი.
ვიცი, შენც მწველი ტკივილით იწვი,
ანდა ვინა თქვა ცეცხლი უკვამლოდ,
მკურნალის მაინც მომმადლე ნიჭი,
თუნდ ერთის კვნესას მაინც ვუწამლო.
თორემ და რაა, ვწერ ობოლ ლექსებს,
ვერ დავემწყემსე სუნთქვას იების,
ეს სილამაზე ან რისთვის შექმენ,
მის ტრფობას თუ არ მაპატიებდი.

დავაგვიანე...

ვ. ღლონტის ლექსების კრებულს
(„სიყვარული“) მაღაზიაში ვერ მივუსწარ...

„სიყვარული“ რიგდებოდა წიგნის მაღაზიაში,
ის დღე იყო იღვიძებდა გაზაფხული იაში.
მზე ჰკოცნიდა თეთრ ალუბლებს, უსათუთეს
ლიანებს,
სიყვარული რიგდებოდა და მე დავაგვიანე...
რიგში იდგნენ ჭაბუკები, თუმც უმეტეს ქალები,
შეჰყურებდნენ წიგნის თაროს მომღიმარი
თვალებით.
სევდა მწვავდა თვალთა უპეს, სევდა გაურიყავი,
„სიყვარულის“ რიგში, ღმერთო, აქაც ბოლო
ვიყავი...
რომ მეთხოვა, იქნებ ვინმეს ჩემთვის რიგიც დაეთმო,
რომელიმე ღვთისმადლიანს იქნებ მსხვერპლიც
გაეღო.
მაგრამ სხვისი სიხარული ხელში როგორ ამეღო,
სხვისი წილი „სიყვარული“ სახლში როგორ
წამეღო.
„სიყვარული“ დამითმეო, ვისთვის მეკადრებინა,
სხვისი წილი გრძნობა გულით როგორ მეტარებინა.
„სიყვარული“ რიგდებოდა წიგნის მაღაზიაში,
ის დღე იყო იღვიძებდა გაზაფხული იაში...
სევდა მწვავდა თვალთა უპეს, სევდა გაურიყავი,
„სიყვარულის“ რიგში, ღმერთო, აქაც ბოლო
ვიყავი...
და როდესაც მივეახლე კითხვიანი თვალებით,
„სიყვარულით“ ხელში ლაჟვარდს შეუერთდნენ
ქალები...
შერჩენოდა წიგნის თაროს ერთადერთი კრებული,
ციცქნა გოგოს ისიც მისთვის ჰქონდა გადადებული...
მზე ჰკოცნიდა თეთრ ალუბლებს, ულამაზეს ლიანებს,
„სიყვარული“ რიგდებოდა და მე დავაგვიანე.

ბრმა სიბრმავით მეტია

შენი სიმართლე შემეხარბა მე, ზუხაირა,
ბედისწერა რომ ბრმა აქლემს შეადარე...
ბრმა სიბრმავით მეტია თვალხილულზე...
მამაო ჩვენო,
დაიფარე თვალხილულნი ბრმებისაგან!

სარკის ანარეკლები

1. (პესიმისტური ძალიან, ლექსი)

გაფრინდება ჭრელი ჩიტი
შავი ჩიტის ბუდისაკენ...
გული ჩემი მიამიტი...
დ ა ცხოვრების მრუდე სარკე...
სულ აღმართის სევდა მჭირდა,
ვერასოდეს გ ა ვ ი ვ ა კ ე,
მგესლავდა და გულში მჭრიდა
ამ ცხოვრების მრუდე სარკე...
შავ-თეთრ ზღრუბლზე ვდგავარ ახლა,
ვინ ვარ, ან ვის დავეკარგე,
მამწუხრა და მავაგლახა
ამ ცხოვრების მრუდე სარკემ.
რა ამაოდ ვქსოვე რითმა,
რა ამაოდ ვიგლახაკე,
სული ს უ ლ ა ც ვერ გამითბო
ამ ცხოვრების მრუდე სარკემ.
მალე ჩ ე მ ი ჭრელი ჩიტი
გასწევს შავი ბუდისაკენ..
გული ჩ ე მ ი მიამიტი...
და ცხოვრების მრუდე სარკე...

2. (ოპტიმისტური ძალიან, ლექსი)

გ ა ფ რ ი ნ დ ე ბ ა ჭრელი ჩიტი,
ჭრელი ჩიტის ბუდისაკენ
გული ჩ ე მ ი მიამიტი
შეფოფ ი ნ ე ბ ს
ზეცის სარკმელს.
მზე გარეთ
და მზეა შინა,
მზე მიმშვენებს
კაბის კალთებს,
შინა-შინა,
ვერ მაშინა,
ამ ცხოვრების
მრუდე სარკემ.
თვალი სულაც არ ვათხოვე,
შავმა შავი შური ხლართა,
სულ რითმებად ამოვქსოვე,
რაც მან ჭირი მომისართა.
შ ე ნ, მრუდე გზავ, კარგს რას იტყვი,
მძებნელს ძებნა გამიმართლებს,
ვარ მნატვრელი იმ ერთ სიტყვის,
ბნელშიც მზედ რომ გამინათებს.
მ ზ ა დ მაქვს რითმის ჭრელი მზითვი,
ჭრელ ლ ე ქ ს ე ბ ი ს ჭრელი მართვე,
გული ჩ ე მ ი მიამიტი,
ბრმად ი პ ო ვ ი ს ზეცის სარკმელს.

სინანულისთვის

ახლა ისე ვარ, სამყარო შევსვა,
ვერ დამიამებს გულის იარებს,
იქნებ სხვა სკნელის კარები შეხსნა,
ან სხვა ზეციდან შემეხმიანო.
ხედავ? – სიცოცხლე შემხმარ ფრთებს კეცავს,
და როგორ მიჭირს მოსვლა შენამდე,
ან რისთვის დავთმე ამდენჯერ ზეცა,
ან როგორ მითმენ ნეტავ შენ ამდენს?!
ვდგები, ვეცემი, მაინც თავიდან
იწყება ტკბილ-მწარ ცოდვის ტრიალი,
მთელი სიცოცხლე ისე გავიდა,
სულ საამსოფლო გზებით ვიარე.
იყო დღეები ცივი და უნდო,
იყო მზეც – ნაზი მაისის ვარდი,
უხვად ვსვი სოფლის შხამი და დურდლო,
გმობდი, გწყევლიდი, მიყვარდი, მწამდი.
სულ მოქარქაშემ საკუთარ თავთან,
წავაგე ყველა ომი და დავა,
გაწბილებული სუყველა კართან,
ახლა შენს კართან შემკრთალი ვდგავარ
მე, ვინც სულ ლურჯი ცის წაშლას ვლამობ,
კვლავ თბილად როგორ მიღიმის ზეცა,
ჩემი უგნური სიცოცხლის გამო,
შენი ლამაზი სიცოცხლის შემრცხვა.
და მაინც შენი ნაწილი მქვია,
ასე შემცბარიც უნდა გიყვარდე,
გავმთლიანდებით ადრე თუ გვიან,
მიწიდან ცამდე, ციდან მიწამდე.
და მაშინ გეტყვი, ამ მიწის ბრუნვას
რატომ არ მოაქვს სულისთვის შველა,
და თუ გადავრჩი, ცოცხალი თუ ვარ,
მაცოცხლებს შენი მზისფერი მზერა...
ახლა ისე ვარ... არ მითხრა შენ სხვა,
ეს ბაგე ისევ შენს სახელს ბოდავს,
თუნდ სინანულის ასი მზე შევსვა,
ვერ ჩამორეცხავს სიცოცხლის ცოდვას.

პროზა

ეროვნული თავბეჩიძე



უსახელო მედუქნე

სილიბისტროს (იგივე ჭიპის) და პუპის ვაჟი, კვაჭი, მოწაფეობიდანვე დაძვრებოდა სამიკიტნოებში ქალაქგარეთ, მიყრუებულ ადგილებში, რადგან იქ, გარეუბანში, გიმნაზიის ზედამხედველი არ შეიხედავდა, პოლიციელიც ნაკლებად შეიწუხებდა თავს იქაურობის ათვალიერ-ჩათვალიერებით. ჰოდა, ქუთაისის მოყუჩებულ ადგილას მოყუჩებული, უშიშრად ქეიფობდა ანაპოდისტესა და ციუციას შვილიშვილი კვაჭანტირაძე, შვილი ვისიც გახლდათ, ვთქვით უკვე.

ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი, გაგრძელება, დასასრული. თქმა რად უნდა, სულ ასე ხომ არ იწვალებდა, სულ ქალაქგარეთ ხომ არ იწოწიალებდა საქეიფოდ აშორდიასგან გააზნაურებული კვაჭი, ქალაქშიც ხომ უნდა გაეშალა მხარ-მკლავი სხვებივით და ეს დროც დადგა. პუპის ვაჟი, კვაჭი ჭიპიევიჩი, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა (ასაკის სიზუსტეს მნიშვნელობა არა აქვს) რომ გახდა, მოქეიფე თავადიშვილებმა თავიანთ წრეში მიიღეს და „ნოეს ვაზში“ გამოსცადეს.

„ნოეს ვაზი“ მიხეილ ჯავახიშვილის მოგონილია. ამ სახელის არც სასტუმრო და არც სამიკიტნო არ იხსენიება იმდროინდელ ქუთაისში. რაც შეეხება გამოცდას, იგი უპირველეს, ბლომად ღვინის დალევას ნიშნავდა, რაც დიდებულად შეძლო გამოსაცდელმა. ღვინით დამბალმა ცეკვა-თამაშითაც ბევრი იცეკვითამაშა, სიმღერაც ბევრჯერ შემოსძახა...

„ნოეს ვაზიდან“ ლაითაძის დუქანში, ხონის გზაზე რომ იდგა, გადასულან და იქ გაუგრძელებიათ გამოცდა, უფრო – მონათვლა, პირდაპირ თუ ვიტყვით, ქეიფი ახალგაზრდა წევრის თანდასწრებით.

„თამადამ და მასპინძელმა, ნიშნად მონათვლისა და დაძმობილებისა, კვაჭს ერთი ხელადა ღვინო დაასხეს თავზე და შეუსვენებლივ სამბოთლიანი ჯიხვი დაალევინეს“. ნათლობის თამადა ვინ იყო, არ ვიცით. მასპინძელი, ბუნებრივია, თვითონ ლაითაძე იქნებოდა, რომლის სახელსაც ამჯერად არ გვიმხელს მიხეილ ჯავახიშვილი.

ნათლობა ამით არ დასრულებულა: ლაითაძის დუქანში კვაჭიმ და თავადიშვილებმა „ჩვენებური ქართული ქეიფით“ დილამდე იქეიფეს – ხუთი ჩაფი ღვინო დაილია, უთვალავი სანოვაგე შეიჭამა, თუმცა ღვინო დალეულზე მეტი დაიღვარა, სანოვაგე მირთმეულზე მეტი გაფუჭდა, ჭურჭელი დაიმსხვრა, ზეცა ტყვიებით დაიცხრილა და ღამით ნაქეიფარი შვიდი გალეშილი ახალგაზრდა დილით თხუთმეტი ეტლით (ნაკლებში ვერ ჩაეტეოდნენ) დაბრუნდა ქალაქში. რასაკვირველია, აქაც გააგრძელეს ქეიფი, მაგრამ ეს ამბები ჩვენთვის აღარაა საინტერესო.

შვიდს ორ-ორი ეტლი რომ დაექირავებინა, თოთხმეტი დაჭირდებოდათ, თხუთმეტი, ალბათ, იმის გამო დაიქირავეს, რომ კენტად დარჩენილ მეთხუთმეტეში მუსიკოსები მოკალათდნენ. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, კვაჭისა და მისი ძმაკაცების შემოეტლება ქუთაისში ასე უნდა წარმოვიდგინოთ – პირველ ეტლში პირველი გამობრუჟული იყო წამოჭიმული, მეორე ეტლში მისი ქუდი გახლდათ საპატიო ადგილას დასვენებული, მესამეში – მეორე ღვინით დამხრჩვალი, რომლის ქუდიც მეოთხეში იდო და ასე, თოთხმეტი ეტლის ჩათვლით, მეთხუთმეტეში დოლ-გარმონს აჭყივლებდნენ, – დოლს უბაგუნებდა, გარმონს სანახევროდ ჭიმავდა უძილობისგან თვალებდასიებული ორი მემუსიკე.

ეს ყველაფერი კვაჭის ყმაწვილკაცობაში მოხდა, თუმცა მერეც არ დავიწყებია ლაითაძის დუქანი. რუსეთიდან დაბრუნებულმა მატარებლით ჩაუარა ქუთაისს და ბესო შიქიას უთხრა – სულ დაცარიელებულა ეს ქალაქი, თბილისში გადასულან, აქ ერემო ლაითაძე და დანიელა ურია დარჩენილა მარტოო. გამოდის, ლაითაძეს ერემო რქმევია, რაც არაა სწორი. მართალია, ერემოს დუქანიც იყო ქუთაისში, მაგრამ ლაითაძის დუქანთან არაფერი ჰქონდა საერთო. სახელს კი გვეუბნება მიხეილ ჯავახიშვილი ლაითაძისას, მაგრამ ტყუილს. უბრალოდ, „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ავტორი ერემოსა და ლაითაძის დუქანს აიგივებს. ერთის სახელს მეორეს არქმევს, ორს ერთად მიიჩნევს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე „კოლხეთის ცისკარში“, ერემო პირტახიას გვარის კაცი იყოო, გვეუბნება: არადა, 1910 წლის მონაცემებით, გადასახადის გადამხდელებში ამ გვარის კაცი, დუქანი რომ ჰქონდეს, თან ერემო ერქვას, არსად ჩანს. ერემო გვარად შავგულიძე უნდა ყოფილიყო, რომელსაც იმავე, 1910 წლის, მონაცემებით ხონის გზაზე, ძველი ლაგირის ქუჩაზე (დღევანდელი ფარნავაზ მეფის ქუჩა) ჰქონდა დუქანი.

შავგულიძეებში მარტო ერემო არ მედუქნეობდა (იგივე მიკიტნობდა). მოგვარე ონისიმეს (რა ნათესავები იყვნენ ერთმანეთისა, არ ვიცით) სტეფანე ელიაძესთან ერთად კისლოვოდსკში ისე კარგად მოუწყვია რესტორანი, რომ 1903 წელს კარაბერი

— ლუარსაბ ბოცვაძე — „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში აღტაცებას ვერ მალავდა.

ონისიმე შავგულიძეს, სამასი ლაქია, უმეტესად ქართველები, რომ ემსახურებოდა მის დუქანს, კისლოვოდსკში გავარდნია სახელი, ერემოს — ქუთაისში.

აქ ორი დუქნიდან პირველს მეპატრონის გვარი, მეორეს მეპატრონის სახელი ერქვა. მიხეილ ჯავახიშვილს ორი ერთი, ერემოს გვარი — ლაითაძე და ლაითაძის სახელი — ერემო ეგონა.

არც სეით იაშვილი გვიმხელს ლაითაძის სახელს, მაგრამ პორტრეტს ისე სახიერად და დასანახად ხატავს ამ კაცისას, რომ მერე სულაც სხვები ასეთნაირად წარმოიდგენენ დახლში ჩამდგარ მედუქნეს (მიკიტანიც იგულისხმეთ, ამ ორი სიტყვის საერთო შინაარსს მეტჯერ აღარ შეგახსენებთ). ლაითაძე — ტიპი მედუქნეთა, ერთი, მაგრამ ათასების მსგავსი:

„ლაითაძე იყო ერთი ვეებერთელა, კოლოტივით გასივებული კაცი, თორმეტ ფუთზე ნაკლებს, ალბათ, არ იწონიდა და რაღაც შიშისმომგვრელი შეხედულებისა იყო თავის წინ გადმოგდებული ღიპით. ამ ლაითაძის დუქნიდან დღედაღამ ისმოდა სიმღერა, ჩხუბისა და ორომტრიალის ხმა. ხალხს ლექსიც გამოეთქვა ამ დუქნის შესახებ:

ლაითაძის დუქანი

უბედურად ვიცანი...

არ გვგონია, მარტო ორი სტრიქონი ყოფილიყო ეს ლექსი და იგი ემღერათ ან გაემეორებინათ ხშირ-ხშირად, უფრო ისაა საფიქრალი, ასე არ ბოლოვდებოდა, მთხზველი მარტო იმით არ დაკმაყოფილდებოდა, რომ ლაითაძის დუქანი უბედურად იცნო, სხვა რამეც უნდა ეთქვა, მაგრამ სეით იაშვილი ლექსის მეორე ტაეპს აღარ გვეუბნება. მის თანამედროვეებს ყველას ეცოდინებოდა და ზედმეტად ჩათვალა, ჩვენ არ ვიცით, როგორ გრძელდებოდა, როგორ იყო მომდევნო სტრიქონებში შემკობილი ლაითაძე და მისი დუქანი.

მედუქნის ტიპური სახეა მართლაც — ორას კილოზე ნაკლებს არ იწონიდაო, შიშისმომგვრელი შეხედულება ჰქონდა წინ გადმოგდებული ვეებერთელა ღიპითო. დევივით ყოფილა ლაითაძე, დიდი, ზონზროხა, ხარისხელა თვალებით, უზომოდ მჭამელი, უზომოდ დამლევი, დაიწყებდა, ვეღარ აბოლოვებდა ვერც ჭამასა და ვერც სმას. სიმღერა ისმოდა დუქნიდან განუწყვეტლივო, — გვეუბნება სეით იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილიც იმავეს მოგვითხრობს. ჩხუბისა და ორომტრიალის გარეშე დუქანი ვის გაუგონია და ლაითაძის დუქანშიც ხშირზე ხშირი ყოფილა აყალმაყალი, გაწევ-გამოწევა, შარის მოდება უშაროთათვის, ყინყლის ატეხა, თავ-პირის დამტვრევა, თვალების ჩალურჯება, გვერდების ჩალეწვა და ამნაირები.

მოქეიფეები ერთმანეთს რომ ალამაზებდნენ, ჯამ-ჭურჭელიც იმსხვრეოდა, უსახელო ლაითაძეც გამოიღებდა ხელს, გასალახს გალახავდა, ფეხქვეშ ამოიდებდა და თავ-პირში ჩასცხებდა ვეებერთელა მუშტებს.

ილახებოდნენ მომლხენნი, ილეწებოდა დასალეწი, იფშვნებოდა დასაფშვნელი. მეორე დღეს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ბუზივით ესია დუქანს მუშტარი. შეთვრებოდნენ და იგივე გამეორდებოდა. ხშირად სიმღერითაც უცდიათ ჩხუბისა და გინების კორიანტელი ჩაეხშოთ, მაგრამ უშედეგოდ, სიმღერის მაგიერ ბრაგაბრუგის, გინებისა და დაქადნების ხმები გამოდიოდა. ზოგჯერ მწყურვალებს უჩხუბიათ მთვრალებთან, ლამაზცოლიანებს — ისერალამაზცოლიანებთან, გაღმელებს — გამოღმელებთან, შფოთისთავებს — უშფოთველებთან... ასეც მომხდარა — წინა დღის აყალმაყალი გაურჩევიათ და უწინდელზე მეტად დაუსისხლიანებიათ ერთმანეთი.

ამიტომ ამბობდნენ, უბედურად ვიცანი ლაითაძის დუქანი, ნეკნები იქ ჩამიმტვრიეს, თავ-პირი იქ დამისისხლიანესო.

ფული და მუშტარი არ აკლდა ლაითაძის დუქანს. მოდიოდნენ, ქეიფობდნენ, ფულს იხდიდნენ, ხშირად ისროდნენ, დაუთვლელად ყრიდნენ დახლზე ათჯერ მეტს, მაგრამ რად გინდა?! ყოველდღე (უფრო — ღამე) იმდენი რამ იმსხვრეოდა, ხშირად — ინგრეოდა, რომ იმათ ყიდვას ან გაკეთებას ცოტა ფული ხომ არ დაჭირდებოდა.

გემივით ტორტმანებდა ლაითაძის დუქანი. მიდიოდნენ, მოდიოდნენ, ლაღობდნენ, ენამზეობდნენ, ხშირად — ენამწარობდნენ, დაუთვლელად სვამდნენ თავადები, აზნაურები, უფრო ახალგაზრდები, ვიდრე ასაკოვანნი. ეძახდნენ მეპატრონესაც — დაგვილიე, ლაითაძე, ერთი ყანწიო, — უსახელოდ მიმართავდნენ, მიდიოდა დაძახილზე, ლოცავდა, სვამდა.

დაგვილიე, ლაითაძეო, — ვითომ სახელი არ რქმეოდა, უსახელო ყოფილიყო, ერემოსი სახელი, ამისი — გვარი გამოეტანათ, მართლა უსახელო ხომ არ იქნებოდა დევისხელა კაცი, რაღაც ხომ უნდა დაერქმიათ ან დაენათლათ?!

ლაითაძე ქუთაისში პირველად 1891 წელს, პეტრე-პავლეს ეკლესიის მრევლშია მოხსენიებული და ეს გახლავთ ორპირის ქუჩაზე მცხოვრები მარკოზა ლაითაძე. ასეა აღსარების წიგნშიო, — მეუბნება მერაბ კეზევაძე და იმასაც არ მიმალავს, იგივე მარკოზა უფრო ადრე რომ ცხოვრობდა ქუთაისში. ვენდობი, მაგრამ ნათქვამს დამტკიცება უნდა — როდის, რა დროიდან. მარკოზა ლაითაძის ანდერძს მაწვდის, რომლითაც ყველაფერი გასაგები ხდება.

1894 წლის 17 იანვარს მარკოზა ვასილის ძე ლაითაძეს საანდერძებლად მოუწვევია ნოტარიუსი დავით აბდუშელიშვილი, რომლის სანოტარო კანტორა ქუთაისში, ვორონცოვის ქუჩაზე, გრიგოლ გველესიანის სახლში ყოფილა, მოწმეებად, კოლეჟსკი რეგისტრატორი ტერენტი მაჩიტიძე, მოქალაქე ზაქარია გაბრიელის ძე შათიროვი და მემამულე ანტონ ქოიავა წარუდგენია.

საღ გონებასა და სრულ ჭკუაზე მყოფი მარკოზ

ვასილის ძე ლაითაძე ძმისშვილს – ნიკიფორე თევდორეს ძეს უანდერძებდა მიწის ორ ნაკვეთს, რომელთაგან ერთში ხის დუქანია და ეს მიწის ნაკვეთი 1889 წელს საჯარო ვაჭრობით შევიძინეო, საგანგებოდ აწერინებდა ანდერძში. აშკარაა, ესაა ლაითაძის დუქანი, მარკოზას აგებული საკუთარი მიწის პირველ ნაკვეთზე, 1889 წელს რომ უყიდია და ახლა მიწიან-დუქნიანა უტოვებდა ძმისშვილს. საფიქრებელია, მარკოზამ ნაკვეთის შეძენისთანავე დაიწყო მედუქნეობა, უცებ გავარდნია სახელი, მისტანებია მუშტარი, ერთი-ორი წლის მერე ლაითაძის დუქანს ეძახიან უკვე თანამედროვენი.

მარკოზს, ზემოთნახსენებს გარდა, კიდევ ჰქონდა მეორე, იოსებ შამირანოვისაგან ნაყიდი მიწის ნაკვეთი და მასაც ნიკიფორეს ჩუქნიდა. ერთი სიტყვით, მედუქნე, სავარაუდოდ უშვილძირო, ბიძა მომავალ მედუქნესა და ძმისშვილს სამკვიდროდ ორი მიწის ნაკვეთს უტოვებდა. მედუქნე და ძმისშვილი, ნიკიფორე მომდევნო წლებში, ბანკიდან სესხს რომ გამოიტანს, საბუთებში ორის მაგიერ ერთი მიწის ნაკვეთი აქვსო, დაწერენ და ეს იმიტომ კი არა, რომ ნიკიფორემ ნაანდერძევი მამულები გააერთიანა, ორს ორი მიუმატა, შუაში ჩაკვეხებული მამულები იყიდა და ა.შ. არა და არა, უჭირდა საწყალს და რა ექნა, ზოგს ელეოდა, ყიდდა...

ანდერძი, მარკოზას სურვილისამებრ, ძმისშვილს ანუ ნიკიფორეს, მაანდერძებლის ანუ იმავე მარკოზის სიკვდილიდან ერთი წლის მერე საოლქო სასამართლოში უნდა წარედგინა და ანდერძით მიღებული ქონება დაემტკიცებინა.

ასეც მოხდა. ნიკიფორე ქონების დამტკიცებას არ დალოდებია. მარკოზის აღსრულებისთანავე გააგრძელა საქმე მარკოზისა, როგორ, მალე დავინახავთ, მანამდე სეით იაშვილის მონათხრობს მივუბრუნდეთ:

„მეორე სასწავლო წელს „სლაბოდკაში", ცნობილ ლაითაძის დუქნის მახლობლად ვცხოვრობდი ვინმე მემმარიაშვილთანო" – გვეუბნება. სეითმა გიმნაზია 1897 წელს გაასრულა, მეორე სასწავლო წელი, დაახლოებით, 1890-91 წწ. უნდა ყოფილიყო, ბუნებრივია, ამ დროს მარკოზას უკვე ჰქონდა ხის დუქანი, სეითიც ამ კაცს უნდა აღწერდეს და არა ნიკიფორეს. რაც შეეხება კვაჭის ნათლობას, მართალია, რომანის მიხედვით რაიმეს ზუსტად დადგენა საძნელოა, მაგრამ ეს ამბავი უფრო ნიკიფორეს მედუქნეობის დროს უნდა მომხდარიყო. სეითი დიდებულად აღწერს მარკოზას, მიხეილ ჯავახიშვილი მხოლოდ იმას გვეუბნება: კვაჭის ნათლობაზე თამადა ლაითაძე იყოო.

სლაბოდკაში ძირითადად მახლობელი სოფლებიდან ჩამოსახლებულები, ნასალდათარი რუსები და სექტანტები, სკაპცები (საჭურისები) ცხოვრობდნენ (ილია ჩიქოვანი). ქუთაისის ყველა ქუჩა ტალახში ჩაფლულიყო, სლაბოდკა გამორჩეულად, ხანდახან ეტლიც ისე ჩაფლულა, ტალახიდან ძლივს ამოუტაცნიათ. ქალაქის ბევრი ქუჩა ჩაწკვარამებულიყო, ამ უბნისა არც არასდროს ნათდებოდა. პირველყოფილობა მეფობდა ირგვლივ, ამიტომ აქაურობას სხვა ხიბლი ჰქონდა, ქეიფს – სხვანაირი შნო და ლაზათი. შებინდდებოდა თუ არა, ლაითაძის დუქნისკენ ჯგუფ-ჯგუფად წავიდოდნენ ქალაქელები, ეტლი ეტლს მისდევდა. ისე აჩქარებით მიდიოდნენ, თითქოს რაღაც აუცილებელ საქმეზე აგვიანდებოდათ, მივიდოდნენ და წამოსვლა ავიწყდებოდათ.

მარკოზა ლაითაძის მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ხონის, სამხრეთიდან ორპირის გზა, აღმოსავლეთით – პეტრე ჩარექოვის, ხოლო დასავლეთით – თედორე ხურციძის მიწის ნაკვეთი ესაზღვრებოდა. ასე დეტალურად იმის გამო მიმოვიხილავთ აქაურობას, რომ მიახლოებით მაინც დავადგინოთ, სად უნდა ყოფილიყო ლაითაძის დუქანი.

ხონისა და ორპირის გზა კარგ ორიენტირად გამოგვადგება. არც სეითის ნახსენები მემმარიაშვილის სახლია ცუდი საგუმანო. ამ გვარის ხალხი ამ ადგილებში (კიკვიძის ძეგლიდან ფიზიკა-მათემატიკურ სკოლამდე) დღევანდელი „ზასტავის" გაფართოების (ტყის გაკაფვის) მერე დასახლდნენ და ისე მრავლადაც, რომ მათ სამყოფელს მემმარიაშვილების უბანი (აქ დაიბადა ყალბი ფულების მჭრელი იაგორა მემმარიაშვილი) დაერქვა (ზურაბ ჯავახაძე). ყველაზე კარგი იქნებოდა, ლაითაძის დუქნის რაიმე ნაშთი იყოს შემორჩენილი, მაგრამ, ბუნებრივია, ამ გაყოლებაზე დღეისათვის ამნაირი არაფერია. სავარაუდოა, დუქანი ლაითაძისა ახლანდელი გამარჯვების მოედანზე, ხონისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს ყოფილიყო, რადგან „სლაბოდკაც" აქაა და ანდერძში ნახსენები მოსაზღვრე მამულებიც ამ მიდამოებშია საგულვებელი.

მარკოზ ლაითაძე დაგროვილ ფულებს ნიკიფორეს ძმებს, ანუ ძმისშვილებს – არჩილს, ვასილს – და თავის ძმას მოსე ვასილის ძე ლაითაძეს უტოვებდა, ვიღაც იფიქრებს, შეძლებული კაცი იყო, ფულიც ბლომად ექნებოდა და დიდ თანხას უანდერძებდაო, არა, თითოეულისთვის 50-50 მანეთს იმეტებდა. ცოლს – მაგდანა გლახუას ასულს – ძმების, პეტრე და იოსებ ჩარექოვებისაგან, ქუთაისში, 1876 წელს ნაყიდ მამულს უანდერძებდა სამიდღემჩიოდ.

რა გამოდის? სავარაუდოდ, მარკოზა 1876 წელსაც ცხოვრობდა ქუთაისში, ან (ეს უფრო მართალი მგონია) ჩამოვიდა, იყიდა მიწის ნაკვეთი და უკან გაბრუნდა.

ნიკიფორესადმი გამორჩეული ნდობა იკითხება მარკოზას ანდერძში, იქამდე, რომ ძმას – მოსეს – არაფრად მიიჩნევს, მეორე ძმის – თევდორეს შვილებს კიდევ ნიკიფორეს ხათრით სცემს პატივს. ცოლისთვისაც გამოუცალკევებია მამულის ნაწილი, ნიკიფორესთან საპრეტენზიო რომ არაფერი გასჩენოდა მომავალში.

ნიკიფორეს ბავშვობიდან ზრდიდა, ალბათ, მედუქნედ, ამიტომ მსუქანი ლუკმა მას, ლიფსიტები – დანარჩენებს.

1896 წელს ნიკიფორე ლაითაძემ თხოვნით მიმართა ქალაქის „უპრავას“, ჩემი მიწის ნაკვეთზე ფურნისა და დუქნის სამი ოთახის აშენების პროექტი დამიმტკიცეთო.

დაუმტკიცეს. ხის დუქანი გათლილი ქვისა და აგურისაგან ნაგები დუქნით შეიცვალა, უკეთესი გახდა, თუმცა ძველს უფრო ეტანებოდა ხალხი, მარკოზას სხვა ხიბლი გააჩნდა, იღბლიანიც იყო, იმ დროში გლეხისაგან იმოდენა ქონების დაგროვება არ გახლდათ იოლი. ძველი ახლით და უკეთესით კი შეცვალა ნიკიფორემ, მაგრამ, როგორც ჩანს, ფული შემოაკლდა.

1898 წელს ბანკს სთხოვა, ფული მასესხეთო. ამ დროს სათავადაზნაურო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრს ალექსანდრე ნანეიშვილს აღუნუსხავს მარკოზასგან ნაანდერძევი ქონება ნიკიფორესი, რომელიც უკვე ერთი მიწის ნაკვეთი გამხდარა, რეალურად – 970, პროექტით – 1250 საჟენი. ზედ ქვისა და აგურისაგან ნაგები სამი შენობა იდგა, ჰქონდა ე.წ. „ნავესიც“ და ღირდა 4200 მანეთი.

რამდენი მისცეს სესხი ნიკიფორეს, არ ვიცით, მაგრამ აშკარაა, მომდევნო წლებშიც არ ულხინდა. მიწის ნაკვეთის ნაწილი – 46 კვ. საჟენი – 1905 წელს ალმასხან აფრიდონიძისთვის მიუყიდია. როგორც ჩანს, ყიდდა და ყიდდა ნაანდერძევს, ვის მიყიდა მამულის დანარჩენი ნაწილი, ალმასხანის გარდა, უცნობია. 1910 წელსაც გამოუტანია სესხი, ამ დროსაც აღუწერეს სარჩო-სამკვიდრებელი. მამული შაგრენის ტყავივით შემცირებულიყო – 970 საჟენიდან 380 საჟენი გამხდარიყო. მიწის ნაკვეთი – 3220, შენობა კიდევ – 2575 მანეთი ეღირებაო, – წერენ ბანკის თანამშრომლები.

სესხს გასტუმრება უნდოდა, ნიკიფორემ ვერ გაისტუმრა და მამული დუქნიან-ფურნიანყველაფრიანა 1912 წლის 23 დეკემბერს, საჯარო ვაჭრობით, ფირანა პავლეს ძე იმედაძემ და იოსებ მაქსიმეს ძე გიორგაძემ იყიდეს. განცხადებით მიმართავდნენ სათავადაზნაურო ბანკს – ჩვენ ვიყიდეთ და აცნობეთ ნოტარიუს კოკოჩევს, რომ ქონება გაგვიფორმოსო.

ასე დასრულდა ლაითაძის დუქნობია...

მარკოზმა დაიწყო, ნიკიფორემ ვეღარ გააგრძელა დუქნის პატრონობა. მარკოზის გამო დაარქვეს ქუთაისლებმა, ალბათ, ლაითაძის დუქანი.

არც ისე ყურით მოთრეული ვარაუდია, ყველა ლაითაძის დუქანს ეძახდა, სახელს არავინ ახსენებდა, გავარკვიეთ, მარკოზა რქმევია ცხონებულს, ღვთიური სახელია, დუქანთან ძნელად შესატოლებელი.

ისიც სიმართლეა, ვერ გაარკვევ, რას, რატომ, რისთვის არქმევს ხალხი. ერემოც ღვთიური სახელია, იერემიადან მოდის, მაგრამ იმდენად შემოკლებული და გათანადროულებული, რომ თქმაც ეადვილებოდათ, მარკოზას დუქნის წარმოთქმას კიდევ ლაითაძის დუქნის თქმა ერჩიათ.

ლაითაძის დუქანი – მორჩა...

პატარებისთვის

მზია მეჯუჩიშვილი

პანტის ჯემი

სისხამ დილით ღიღინ-ღიღინით კრიფეს შეგულებული დიდი პანტის ხე პაპა და ბებია დათვებმა – დათიკომ და კეკემ. სავსე კალათებით დაბრუნდნენ შინ.

მამა დათვი შეშას ჭრიდა, ანცი ბელები კი ეზოში კოტრიალობდნენ.

დედამ და ბებიამ პანტა იქვე, წყაროს წყალზე გარეცხეს, დაჭრეს და დიდი ქვაბით შემოდგეს ცეცხლზე.

– გემრიელია პანტის ჯემი? – ეკითხებოდნენ ბებიას პატარები.

– თათებს ჩაიკვნეტთ, ისეთი გემრიელია.

– მალე გაკეთდება?

– სამხარზე მოგართმევთ.

– ვაშაა! – სიხარულისგან ყირამალაზე გადავიდნენ ბელები.

სამხრის დროც მოვიდა. მუხის ძირში გაშალეს სუფრა: ცაცხვის ჩაი, თაფლაკვერები, ჟოლოს მურაბა, შვიდი თეფში, შვიდი კოვზი, შვიდი ჭიქა შემოდგეს და მაგიდას მიუსხდნენ. ბელებმა, ჯემის გარდა, არაფერს დააკარეს პირი. ძალიან, ძალიან მოეწონათ.

უცებ მათკენ მომავალი დათვი მართა დაინახეს, წამოხტნენ, გაცუხცუხდნენ და კალთაზე მიაფრინდნენ.

– ფრთხილად, ფრთხილად, დრუნჩიკოებო, ქილა არ ჩამომივარდეს! – ალერსიანად უთხრათ სტუმარმა.

– ქილაში რა არის? – ჰკითხეს ბელებმა.

– რა და, პანტის ჯემი.

– ჩვენც გვაქვს, დღეს მოამზადეს ბებიამ და დედამ.

მასპინძლებმა მართა სუფრასთან მიიპატიჟეს.

სტუმარმა ჯემი დააგემოვნა და შეაქო:

— ძალიან, ძალიან გემრიელია. აბა, ჩემიც გასინჯეთ, რამე მირჩიეთ, მე ვერაფერი გავუგე, შვილიშვილებმაც დამიწუნეს და ნაწყენები წავიდნენ.

კეკემ მართას ჯემი დააგემოვნა და თქვა:

— ძნელად, ძალიან ძნელად შესამჩნევი სიმწარე გაჰკრავს. ჩემი აზრით, მომზადების დროს რაღაცაზე გაბრაზდი.

— რა ვიცი, დაო, როგორც ბებიებმა გვასწავლეს, სულ ღიღინით ვაკეთე. თუმცა... არა! ქვადსაქცევმა მელაკუდა მანომ ჩაიარა, ჩაიქირქილა და მომაძახა, ჯემზე დაგიდგა საქმე ამხელა დათვსაო?! ყველაფერი დამავიწყდა, ისე გავმწარდი.

— ჰო და, სწორედ ეგ სიმწარე გაჰკრავს.

— ახლა რა ვქნა? ამდენი წვალება წყალში ჩამეყარა?

— მგონი რომ, არა. კიდევ ვადუღოთ.

წავიდნენ. მართას ცეცხლი წყლით ჩაექრო, ხანძარი არ გავაჩინოო. მაგრამ ხმელი ტოტებით მალევე დაანთეს, ზედ ჯემით სავსე ქვაბიც შემოდგეს და ღიღინ-ღიღინით მოურიეს ხის დიდი კოვზით:

— პანტის ჯემს რას დააკლებს
მელა ქათმიპარია,
ენა რომ არ უვარგა,
ნეტავ, რისი ბრალია?
დამშვიდდი, ჩემო თავო,
ბრაზისთვის არ გცალია!

დროდადრო აგემოვნებდნენ და, როგორც იქნა, დატკბა. დატკბა და რა დატკბა!

მალე ქათმის მოსაპარად წასულმა ხელმოცარულმა, მშიერმა მელაკუდა მანომ ლასლასით ჩაიარა და ჩაილაპარაკა:

— რა სურნელი ტრიალებს! სიამოვნებით მივირთმევდი მე საცოდავი.

დათვებმა ყურადღება არ მიაქციეს. მელიამ კი ფეხი არ მოიცვალა, იქნებ დამინახონ და შემიპატიჟონო. იმედი რომ გადაიწურა და წაჩანჩალდა, მართამ გასძახა:

— მეზობელო, დამაფასე, მესტუმრე. პირი ჩაიკოკლოზინე პანტის ჯემით!

გახარებული მელაკუდა ეზოში შეცუნცულდა. ერთი ფიალა ჯემი რომ შესვლიპა, თქვენ გახარებას, თუ შეიძლება, მადლიერ მელიას ცოტა კიდევ მომართვითო. მეორე ფიალაც შესვლიპა და მესამეც. კარგ ხასიათზე რომ დადგა, თავისი ოინები გაიხსენა. თავადაც იხითხითა და მართა და კეკეც ახითხითა.

მეოთხე და მეხუთე ფიალაც რომ შესვლიპა, მადლობა გადაიხადა და დიდად ნასიამოვნები წავიდა.

ბინდდებოდა. ძლივს მიათრევდა გატიკნილ მუცელს. მსუნაგი, საკუთარ სოროში რომ ვერ შეეტია, ბალახებზე მიწვა. მალევე ტკბილად დაეძინა. სიზმარში სულ პანტის ჯემს მიირთმევდა. სიამოვნებისაგან იღიმოდა და კრუტუნებდა. ბუები და ჭოტები გაკვირვებულები დასცქეროდნენ.

— ალბათ, ჩასუქებული ქათმის ბარკალს „მიირთმევს“, — თქვა ერთმა.

— სწორედ ასე იქნება, — კვერი დაუკრეს დანარჩენებმა...

რიჟრაჟზე გაეღვიძა მანოს.

— გემრიელი იყო ქათმის ბარკალი? — ჩამოსძახეს ბუებმა და ჭოტებმა.

— რომელ ბარკალზე მეკითხებით? — ვერ მიხვდა მელია.

— რომელზე და, წუხელ რომ გესიზმრებოდა.

მანომ თვალები მოწკურა და მელაკუდურად ჩაიცინა:

— გემრიელი კი არა, უუუგემრიელესი იყო. თქვენ არ იცით, პანტის ჯემი რა საწაული რამ არის!

— პან...ტის ჯე...მი...ო?! — ამოხდათ ძილ-ბურნში წასულ გაოცებულ ბუებსა და ჭოტებს.

მანომ იმ დღესვე მიაკითხა მართასა და კეკეს, კალათები მათხოვეთ, პანტა უნდა დავკრიფო და ჯემი გავაკეთო. არ დამზარდეთ, თქვენც მომეხმარეთ, უთქვენოდ ვერაფერს გავხდებიო.

ისინიც არ დაზარდნენ. სულ სიცილ-ხარხარში მოამზადეს უტკბილესი და უგემრიელესი პანტის ჯემი.

ქართველი მწერლების სოლიდარობა უკრაინას

„ჩემო უკრაინა“ – კრებულის წარდგენა თბილისსა და ბათუმში

უკრაინაში მებრძოლი ვანო ნადირაძის დედა – ანა მაღრაძე

უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღიდან გამოეხმაურა ქართველი მწერლობა უკრაინელ ხალხს, პოეზიით, პროზით, მხატვრობით, მუსიკით... ომით გამოწვეული ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ გულწრფელი ემოციების ნაკადი ყოველდღე იღვრებოდა სოციალურ ქსელში. წერდნენ ავტორები ყველას საწუხარს – ბევრი ცნობილი, ბევრიც უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ადამიანები. და, აი, გაჩნდა იდეა, ეს ყველაფერი ერთად შეგვეგროვებინა და კრებულის სახით გამოგვეცა, როგორც ქართველი ერის სოლიდარობის გამომხატველი აქტი „მონათესავე ბედის“ მქონე ხალხის მიმართ.

რამდენიმე თვე იმუშავა სამუშაო ჯგუფმა, გულიკო ზუმბაძის (იდეის ავტორი), თამარ შაიშმელაშვილის (კრებულის რედაქტორი), ჯუბა ღებელის (ჯუმბერ გოგრიჭიანი), ნინო არსენაშვილის, მზია ხეთაგურის და ნანა კვაშილავას შემადგენლობით.

კრებულის „ჩემო უკრაინა“ წარდგენა 12 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოების ინტერესი მაღალი აღმოჩნდა. წარდგენას ესწრებოდნენ: ავტორები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, სხვა დაინტერესებული პირები.

ცალკე გვინდა გამოვყოთ უკრანის გმირის – ვანო ნადირაძის დედის, ქალბატონ ანა მაღრაძის მონაწილეობა კრებულის წარდგენაში (ქალბატონი ანა არის ასევე კრებულში შემავალი ერთ-ერთი ლექსის ავტორი), აგრეთვე, ის ადამიანები, რომლებიც მიმდინარე ომის დროს უკრაინაში ჩავიდნენ სხვადასხვა მისიით და საკუთარი თვალით ნახეს ომის უმძიმესი შედეგები, მათ შორის, თბილისის საკრებულოს წევრი ვლადიმერ სურგულაძე – ექიმი, ნუგზარ ჩხიკვაძე – ექიმი, მიხეილ ჭიაურელი – რეჟისორი, მიხეილ მორჩილაძე – მწერალი.

წარდგენას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა, საქართველოში, უკრაინის საელჩოს კულტურისა და ჰუმანიტარული მიმართულების ატაშე, ქალბატონი ტატიანა კოლოტილოვა, რომელმაც მადლობა გადაუხადა იდეისა და კრებულის ავტორებს, რედაქტორს, სამუშაო ჯგუფის წევრებს, დამფინანსებელს, გაწეული შრომისათვის – ეს არის ნამდვილი გულშემატკივარი მეგობრის დამოკიდებულება, ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ, აღნიშნა მან. ქალბატონმა ტატიანამ იმედი გამოთქვა, რომ ამ ომში უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს, იზეიმებს სიმართლე და თავისუფლება!

ღონისძიებას დაესწრო და დარბაზს სიტყვით მიმართა, ასევე, ქართულ-უკრაინული წიგნისა და პრესის სახლის წარმომადგენელმა, უკრაინელმა ქალბატონმა ვალენტინა მარჯანიშვილმა.

საღამოზე ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა, ავტორებმა, შესრულდა რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები. კომპოზიტორმა მაყვალა ხორბალაძემ

როიალზე შეასრულა უკრაინისადმი მიძღვნილი ნაწარმოები „ნოქტურნი“, რომლის ფონზე დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინასა და საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მებრძოლებს, სამოქალაქო პირებს...

კრებულს, რომელსაც 131 ავტორი ჰყავს, მალე ქართველი და უკრაინელი საზოგადოება უკრაინულ ენაზე გაეცნობა.

მადლობა ამ ისტორიული გამოცემის თითოეულ ავტორს,მათ შორის მხატვრებს, ერთ-ერთი მათგანის – შოთა არაბულის ნახატით გაფორმებულმა კრებულის გარეკანმა საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა. მადლობა თანადგომისთვის საქართველოს ქალთა საბჭოს.

თბილისის შემდეგ ლიტერატურული კრებულის „ჩემო უკრაინა“ წარდგენას აჭარის მწერალთა სახლმა უმასპინძლა.

კრებულის სარედაქციო ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ლალი კონცელიძეს, დავით თედორაძეს, გენო თებიძეს და ეკა დავითაძეს. ასევე კრებულის ავტორებს აჭარიდან – ვახტანგ ღლონტს, გენრი დოლიძეს, როინ აბუსელიძეს,სოფიო ღლონტს,პაატა აბაშიძეს. მუსიკალური ნაწარმოების შემსრულებლებს; „აჭარის რადიოს“, აჭარის ტელევიზიას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ხაჯიშვილი, რომელმაც უკრაინულად მიმართა უკრაინელი თემის წარმომადგენლებს; აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე; ბათუმის ვიცე-მერი ლელა სურმანიძე; ბელორუსიის დიასპორის წარმომადგენელი აჭარაში – ალექსეი ბასლიაჩივი; უკრაინის დიასპორის ხელმძღვანელი ნატალია მირაშნიჩენკო, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

მადლობა ბატონ მამუკა ხაზარაძეს, გამოცემის ფინანსურ მხარდამჭერს. ბატონი მამუკა ცნობილია, როგორც ლიტერატურული ფესტივალების, კულტურის დიდი მხარდამჭერი. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი საქართველოში ათასობით უკრაინელი ოჯახების თანადგომაში,ბავშვების,უკრაინაში მებრძოლი და დაზარალებული ადამიანების დახმარებაში, რომელიც დღემდე გრძელდება.

წინ მეორე ეტაპია – კრებულის თარგმნა უკრაინულ ენაზე და მისი პოპულარიზაცია საქართველოსა და უკრაინაში,რამაც ხელი უნდა შეუწყოს ორ ხალხს შორის ურთიერთობის განმტკიცებას, კულტურული და მეგობრული კავშირების გაფართოებას.

გულიკო ზუმბაძე,
კრებულის გამოცემის
იდეის ავტორი

ანა სისვაძე

ზღვისფერთავთავა ამბავი

ხშირად ვბრუნდები ჩემს ოცნებაში,
სადაც ცრემლებით მონამულ თვალებს
წამობს ბერანჟე, ორმტვრიან კვალით
რომ შეგიდარა ზღვისფერ თავთავებს.
შენ იხსენებდი იმ ამბებს, როცა
მკვდარი ფიქრები ვერ გავიაზრე
და შემოდგომის მიწურულ დილას
მშვიდად ვუცქერდი ზღვას აივანზე.
დიდი ჭადრის ქვეშ გატაცებული
ვუყურებ ტლანქ და უხეშ იალქანს,
თითქოს უხილავ ძალას მახვედრებს,
რაც არ მიცვნია და დამინახავს.
მზე ზემოთ იწევს, ალბათ იმისთვის,
რაც შეიძლება დამწვას მაღლიდან
და გაწამებულ ამ უსიცოცხლო
სხივს ჩავეძირო, ვფიქრობ, არ მინდა
მიმქრალი სულით დაგვმსგავსებია
ორი ბებერი ტოტი გამხმარი,
მაგრამ მათ შორის მაინც გამოკრთის
სინათლე უხმო, მშვიდი, ჩამქრალი
ჩვენ შორის ისევ სახლობს საზრისი,
მაგრამ სიცოცხლეს თუკი ეცლება,
იქნებ მთლად დავგმოთ დარდით შექმნილი
ამ დროის ტანჯვა და უმეცრება.
დაგელოდები დიდი ჭადრის ქვეშ.
ნეტავ ეს სხივიც მალე დალევდეს
სულს, რომელსაც შენ გადმოგიბერავ.
გთხოვ, არ დანებდე!..
გთხოვ, არ დანებდე!..

ხმაური

გარეთ ქარია,
სახლში ნოტები კედლებს უთხრობენ,
რაც დამმართნია.
მე თვალებს ვხუჭავ
და ვიძირები
შენს მკაცრ მზერაში
დაშლილ ოცნებად.
როგორც ყოველთვის,
ალბათ დღესაც კი დაიღალე და
გძინავს – ცხადია,
ცოტაც ითმინე
და თავად ნახავ,
რომ ყველაფერი გამოცოცხლდება.
ახლა ახლოს ხარ, როგორც არასდროს,
მაგრამ მანძილი
იტანს თავისას,
– ოჰ, ეს კედლებიც არ ჩუმდებიან,
რომ წმინდა ფიქრით ვიფიქრო შენზე!
და აი ისევ მივხუჭავ თვალებს,
თითქოს მოვიდა უკვე „გაისად“,
მაშ, რა გეგონა,
ჩემი სამყარო
გრძნობებით ასე რომ გააქეზე.
ხორცში მიძვრება ღამის ნიავი
და ჩემი სისხლი
ფიქრით ხურდება,
დღეს ვერ მერევა მე ეს სიცივე,
მაგრამ ვფიქრობ, რომ
შენ ხარ საფრთხილო,
მწვერვალზე ავალთ
– ვფიქრობ ამაზე, როცა სრულიად გაზაფხულდება,
რომ სამუდამო შენი ალერსი
ქალაქს ისევე გადააჩრდილო.
მე ჯერ არა გთმობ,
თუნდაც ამისთვის
მთელი სამყარო შემომებრძოლოს.
ქარია გარეთ,
ალბათ ხვალ დილით
(როგორც გუშინ და მის წინ)
იწვიმებს.
მე – თეთრ სამოსში დავხუჭავ თვალებს,
ისევ მოვძებნი შენს ძვირფას მზერას,
შენ – დაუთმობო ჩემი ხელიდან –
მშვიდად იძინე...
მშვიდად იძინე...

კლივინდიელი ინდიელები

კოკისპირული წვიმა მონელდა...
შენი ნიკაპის სამ რბილ ნაკეცზე
არშიასავით შემოვლებოდა
ცვარი, სიმღერით რომ წააქეზე.
ნეტავ ოდესმე ისევ მაჩვენა
ზღვას მიდრეკილი მზერა მდუმარე.
მახსოვს, მოხვედი, ვით გობელენი
შეშინებული, მახსოვს მწუხარედ...
კლივინდიელი ინდიელები
ყაყაჩოებით მოოქრულ ბაღში
ისე ცეკვავდნენ, როგორც მე და შენ
გვინდოდა ცეკვა ვნებებით აშლილს.
ჩემამდე მოდის, ისე ლოცულობ,
თითქოს რა ხმითაც ლოცულობს ქარი
და ამ ხმის სუნთქვა, ბოლომდე წმინდა,
ჩამესმის, როგორც სიმღერა წყნარი.
ნუ დაივიწყებ, რომ მე ვარ შენთან
უმცირეს, თუნდაც საწყის იმედად,
არ დაგთმობ შავი ბუნების მგოსნად,
არც სამუდამო ყინვის დილეგად.
მწარეა, ვიცი, უიმედობით
და დარდით სავსე თეთრი ოთახი.
მოდი, ნუ წახვალ და თუკი წახვალ,
მეც გამოვყვები შენს გამოძახილს.

ხანმოკლე დაისი (ბარათას ნაბიჯით)

მღელვარე ქარმა საბოლოოდ ამოისუნთქა,
ზღვა მონარნარე დაღლილობით ისევ მიჩუმდა,
აქაურ ყოფას ზოლად გასდევს შენი წამება,
როგორც ბუნდოვან მთაწმინდაზედ შემოღამება...
მეტად ხანმოკლე დაისია, ნეტარ კმაყოფით
ბედი უიღბლო ორბებს ისევ ყელში ამოსდით,
წყლის ზედაპირი ვერ ელევა, კვლავ მზის სხივს
ნატრობს
და ელოდება მის ამოსვლას, როგორც მე –
სატრფოს.
ისევე ხვდება მზე, რომ ყოფა არის სასტიკი,
როგორც სიცოცხლეს შემნატვრელი ძია ლასტიკი,
უსვამდა ნიჩბებს ვარსკვლავებით მოოქრულ ღამეს
ჩემი ფიქრები, შენი თავი რომ შემაყვარეს.
შენში ჩასახლდა ურწმუნობით სავსე ვექილი,
რომლის თვალებშიც გაჩნდა დარდი ამოზნექილი,
ხმამაღლა ჰყვირის, თითქოს ზეცას ამით შეჰხარის:
„ყოფნა – არ ყოფნა, საკითხავიც აი ეს არის!“
მეტად ხანმოკლე დაისია, როგორ ხარ ნეტავ...
აქ მთვარემ ზღვების ანარეკლი მთლად გააღმერთა,
ზღვების, რომლებიც ვერ ელევა მზეს, სხივებს
ნატრობს
და ელოდება მის ამოსვლას, როგორც მე –
სატრფოს.

„შენთან ვარ უკვე! ნაზია ღამე“...

დამჭკნარ ყვავილებს ჩამოუყრიათ ცოცხალი სული,
უკიდეგანო სიმრუმეში შთაინთქა თითქოს,
შემომპარვია ჩუმად სევდა მარადიული...
შენამდე გზები დახშულია, მტვრით დაფარული,
იქ გელოდები, სადაც ხავსიან ბილიკს ვუსაყდრე
მოგონებებით დახლართული ღრმა სინანული...
ხაკისფერ ზეცას ჩაუარა უღრუბლო ქარმა
და მომიტანეს გახსენება, როცა წვეთებმა
მაისის წვიმის წამწამები მთლად მოგინამა...
ვკემსავ წამწამებს – უკვე კოშმარს აღარ
ვნახულობ,
დამითბო სული ატმის რტოის ვარდისფერებამ,
რომელიც ერთ დროს დამიკრიფე საგაზაფხულოდ...
„შენთან ვარ უკვე! ნაზია ღამე“... და ვახელ
თვალებს,
ვგრძნობ, რომ შორიდან შემომძახი და ეძიები
თმაში გსარჭობ იასამნის ზღვისფერ თავთავებს...

ფრთაშემოსილი

დღეს არაფერი არ შეიცვალა,
ვარ მიჩქმალული მზე და არავინ...
სრულად ვეკემსე ყავისფერ ფოთლებს,
გავხდი ცისფერი იასამანი.
რა ძვირფასია მომენტი, როცა
შენმა გრძნობებმა ჩემსას უწიფლა,
როცა ორივეს სამყარო ერთად
ერთ
დაზამთრებას
გადაუმწიფდა.
რაც მსურდა, მოკვდა ან გაისამნა,
მაგრამ სიცოცხლე ისევ აქ არის,
ან რა სიცოცხლის ვარ მე პატრონი,
ათჯერ მკვდარის და ასჯერ ჩამქრალის?!
გაჩანაგებულ სამლოცველოში
ჯვარს ვემთხვიე და ლოცვა მწყურია...
ამ სამყაროში ვარ მარტო ფრთები
ან არაფერი არ ვარ სრულიად.

დარდი

ახლა ისეთი ღამე დადგა, შენ რომ ნატრობდი,
ჩემს მკლავებზე კი მგლოვიარობს თეთრი კიფარა,
ო, რომ იცოდე ისე მტკივა ახლა სიცოცხლე,
რომ ყველა დარდი ამ ტკივილით გადაიფარა.

ლაშა ბახსრია



პოეტი

ხან მარტვილია,
ხანაც – მესია;
თან წერტილია,
თანაც – ანთარი!

პოეტი მაინც...
ერთი ლექსია –
ობლის ცრემლივით
ცამდე მართალი.

ვისთვის ღვინო და
ვისთვის – წყალია;
ქარია მისი
ქორონიკონი.

პოეტი ზოგჯერ...
ერთი პწკარია –
ყაყაჩოსავით
ცხელი სტრიქონი.

ნიკალ

ნიკალ!.. ჰა, ნიკალ!.. – შემოგძახეს აქეთ-იქედან:
მარტო რად სვამო?..
და ცა-თვალებს ვერ ახამხამებ;
ტიკჭორის ჭინკა ძეწკვს გახარბებს –
ბოლო ჭიქიდან
და ჭიქიანად ტყდება ეს ღამე!
ღიპღიპელები შუბლში ჯამებს იჯახუნებენ!..
შავ მუშამბიდან მეეზოვე შემოგბღცერს ცოცხით;
ცა შეგიწამლავს შაბიამნით და...
ღმერთიმც გიცოცხლოს!
მაინც... რა ბადით იჭერ ამდენ
ცოცხალს და ფერებს...
არ სჯობდა: ბედი დაგეჭირა –
თუნდაც ლიფსიტა?!
რა მუზის ჩაი აიჩემე, ვინ დაიჯერებს,
რომ გულს იჯერებ ცივი ჩაის სმითა.
იმ სამოვარის ამ
თვალებმშრალებს რა გაეგებათ,
– ჩაილულიო...
და დუქნისკენ გაჩქარდებიან!

სოფი მაჭავარიანი

* * *

არ მითხრა, რომ სუფრას დაკლებია ღვინო,
რომ არაგვი დაშრა, ვერ გადალახავ რიონს,
რომ ფიტავში სიმინდს ტარო დავამტვრიო,
მოვქსოვე და რაღაც უნდა დავარღვიო.
არ მითხრა, რომ სოფელს დაშრობია წყალი,
მარხავს მამა შვილს და სტირის სხვა – საწყალი!
არ მითხრა, რომ გშია, ვიღაც გაცლის ლუკმას,
არ დანებდე ამ დროს შენ დაიღალე თუნდაც...
მითხარი, რომ ტრფობის მოგდებია ალი,
რომ არ ნანობ, არა, რომ ამაყობ ამით!
მოიხიბლო მინდა ჩემი ჩუმი შარმით...
გამაკვირვო მინდა, გამაკვირვო რამით...

მივდივარ

მივდივარ და გული მრჩება შენს ხელებში,
მკერდამდე ჩაგორდნენ ივლისის ცრემლები...
მივდივარ, ეს სუნთქვა ორმაგად ხშირდება,
ვიცოცხლებ! სიკვდილი მე აღარ მჭირდება!
ვიცოცხლებ, ვიქცევი წვიმად – გაწვიმდება...
იფიქრე ეს მე ვარ, მზე რომ გაწითლდება,
მიგრძენი სიჩუმე ვიქნები ოთახში
მიხვდები, რომ მე ვარ ეს ზამთრის თოვაში.
მივდივარ... მივდივარ... მაგრამ დავბრუნდები.
მიწიდან ავალ და ცაში გავლურჯდები,
მოვიხვევ თეთრ ღრუბელს, ღამე გაშიშვლდება
მიყურე ეს მე ვარ, მთავრე რომ გაყვითლდება.
მოწყვიტე, წყლიანი მტევანი ვიქნები...
უშენოდ ვიმღვრევი, უშენოდ ვიღლები...
უბრალოდ წერია საათზე ციფრები
მე ამ დროს გავუსწრებ, გავუსწრებ გპირდები!

მივდივარ და გული მრჩება შენს ხელებში...
მკერდამდე ჩაგორდნენ ივლისის ცრემლები.

* * *

მუზების სამყაროს ასე რომ ანათებს,
ღიმილით სახეზე თითებს რომ მომისვავს!
სიცოცხლეს რომ ასე ღირებულს მიტოვებს,
და აღარ მომიკლავს!...
ვინ არიის?!
ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი „აგალია“...
ამქვეყნად ყველაზე მთავარი სიწმინდე!
უფალო მადლობა! უფალო მადლობა!
უფალო მადლობა! კიდევ რომ მიგვიღე!
ერთად რომ ვიცინით, ერთად რომ ვტირივართ,
ერთად რომ დავდივართ და სადღაც გავრბივართ!
ვინ არის?!
რამდენი რაღაცის შესწავლა დავიწყეთ...
ქართული გენი გვაქვს, ქართული სახელი!
ყველგან რომ თან დამყავს და ყველგან დამყვება...
ვინ არის?!
არც არსებულა მასზე მთავარი!
ბედნიერებაც სწორედ ის არის!
ჩემთვის ის ყველა ფერთა-ფერია!
ვინ არის?!
სულ ერთად ვღერივართ,
სულ ერთად ვბაასობთ,
ბგერების ტალღებშიც სულ ერთად დავცურავთ,
სულ ყველა ნახატი ისედაც მისია!
ვისია?!
მისი გულისთვის ყველაფერს ვიტვირთებ!
სადამდეც ის ჩემთან – მე მასთან ვიქნები!
უფალო, მისმინე! უფალო, მისმინე!
უფალო, მისმინე! ძალიან მჭირდები!
ჩემი ლამაზი! ჩემი ნანატრი!
თეთრი და მზიანი პატარა ფერია!
იცოდე! იცოდე! იცნობდე! იცნობდე!
ეს ჩემი გოგო – ემილიაააა!!!

* * *

იქნებ მგონია დიდი საწუთრო
პატარა, ვფრთხილობ და ვიკარგები...
როცა შენ მტოვებ, ისევ მიდიხარ,
არხოტს მთებსავით დაგიღამდები.
ხე ვარ – ტოტები მტეხა გრიგალმა...
შენმა თვალებმაც ჩამომიარა...
ცეცხლად ამანთო, ამაბრიალა
და მოლოდინმა დამაგვიანა...
მოდი, არაგვო! ხელი მომკიდე!
ჩემი თენების მთვარე გათეთრდა...
მე ვერ დაგტოვებ! ჩემი ფესვები
ამ შენს მიწაში ისე გაბევრდა...

* * *

ჩამოქსოვილი ეს მზის სხივები
მომიწვავს ტკივილს და მიჩენს ლაქას,
აბა, რად მინდა მე ეგ სიტყვები,
როცა მჭირდები, თუ შენ აქ არ ხარ?!
ჩამოქსოვილი ღამის სხივები,
აყრილ-დაყრილი გალაქტიდები...
აბა, რად მინდა ეს სილამაზე?!
თუკი შენ მაინც დაგავიწყდები.
აბა, რად მინდა ეს მოლოდინი,
თუ დაბრუნებას არდამპირდები...
რაღა აზრი აქვს თავშეკავებას,
თუ აყვავილდნენ თეთრი ტიტები...
ჩამოქსოვილი ჩემი ნისლები
მიწა მოიხვევს, როცა შესცივა,
აბა, რად მინდა ეს გაზაფხული,
როცა ზამთართან არ მაქვს შეკითხვა.
ჩამოქსოვილან ჩემი ფიქრებიც,
ჭრელი ოცნება ხვალ რას მომიტანს?!
აბა, რად მინდა ეს სიძულვილი,
მე სიყვარული შენი მომინდა!

მე ისევ ის ვარ

როგორც კლარჯეთში მზე ჩადიოდა,
ისე წვიმდა და ისე ჰყვაოდა
ჩემი ნატვრის ხე, ხელით დარგული
იზრდებოდა და დრო გადიოდა...
მე ისევ ის ვარ, შენ კი შეცვლილი
ჰგავხარ მარტის თოვლს, მიწას ადნები,
შენში სიყალბე მე წამაქცია...
წამაქციე და ისევ ავდგები!
შენ კი შეცვლილი ისევ ამყვები,
ისე გაქრები, როგორც სიზმარი...
მე შენნაირი „ბოღმა“ არა ვარ
და არც სახეზე მადევს ნიღაბი.
გვირგვინი გადგას თავზე – ამაყობ,
რომ თვითონ არ ხარ მეფის შეგირდი...
თუ ხარ ძლიერი, კიდევ შემპირდი!
ვერ შემისრულე?! ვეღარ შემრიგდი?!
მაშინ ხარ მეფე: სუსტი, უძლური,
შენ დასაცინი ხდები ქარების,
ლურჯი ცა ისევ გაგეხიზნება,
მეც მომბეზრდები, დაგეკარგები...
წრეგადასული ვეღარ ინატრებ...
წარსულის უკვე აღარ დგას სუნი,
არც მომავალი აღარ იდარდებს
შენში სიცრუის თუ ფეთქავ გული.
ძალდაშრეტილი ალბათ იქნები,
არყოფნის კიდეს დაშორებული
ალმინავლული ქრები ნელ-ნელა
შენ, ჩემს თვალებში გაორებული!

ღვაწლი

ივანე ჯაფარიძე



სასცენო მოძრაობის დამფუძნებელი



120 წელი შესრულდა დიდი ქართველი მამულიშვილის, შესანიშნავი ხელოვანის, პედაგოგისა და სპორტსმენის, მსახიობთა არაერთი თაობის აღმზრდელის, სიკეთით, სიყვარულთა და უანგარობით გამორჩეული პიროვნების, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის – კონსტანტინე (კოწო) ბადრიძის დაბადებიდან.

სამწუხაროდ, თეატრალების ახალი თაობა ნაკლებად,ან შეიძლება ითქვას,სულაც არ იცნობს კოწო ბადრიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

კოწო ბადრიძე საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) ერთ-ერთი დამფუძნებელია. 1939 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1980 წ.) ხელმძღვანელობდა თავის დაარსებულ სასცენო მოძრაობის კათედრას, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მსახიობები იწვრთნებოდნენ.

იგი უანგარო თანადგომას უწევდა უდიდეს რეჟისორებს კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახმეტელს, ვასო ყუშიტაშვილს,დიმიტრი ალექსიძეს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ დრამის სტუდიაში ხელმძღვანელობდა აკრობატიკის სექციას,მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა სცენები თეატრალურ დადგმებში: „მეფე ერეკლე“, „ბორის გოდუნოვი“, „ესკადრის დაღუპვა“, „ოპტიმისტური ტრაგედია“, „ცირკის პრინცესა“, „მინდია“, კინოფილმებში „წითელი ეშმაკუნები“, „გიორგი საკაძე“, „ბაში-აჩუკი“, „ჯადოსნური ლამპარი“, „მამლუქი“, „მაია წყნეთელი“, „ცისკარა“, „ფატიმა“, „მსჯავრი“, „მხიარული რომანი“ და სხვ.

1936 - 47 წლებში იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი, მაგრამ მისი პედაგოგიური მოღვაწეობა განსაკუთრებით მრავალმხრივ და ნაყოფიერად გაიშალა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტის დაარსების შემდეგ. მან პირველმა ევროპაში, სწავლებაში დაამკვიდრა განსხვავებული, ორიგინალური სტილი, რაც მკაფიოდ შეესაბამებოდა სცენურ მოძრაობაში ქართული ეროვნული ხასიათის გამოვლენას. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე ამ დარგში პირველი სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე.

კოწო ბადრიძე ცნობილი ექიმის, საქართველოში პედიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებლის გიორგი ბადრიძის შვილი, შესანიშნავი ქართველი საოპერო მომღერლის, დიდი თეატრის ყოფილი სოლისტის, საქართველოს სახალხო არტისტის დავით ბადრიძისა და კონსერვატორიის პროფესორის, პიანისტ ანა ბადრიძის ძმა გახლდათ.

საინტერესოა, რომ პატარა კოწო ძალიან სუსტი, ავადმყოფი ბავშვი ყოფილა და მამამ,ცნობილმა ექიმმა, თავისი უმცროსი ვაჟის გამოჯანმრთელებისა და ფიზიკური გაჯანსაღება-გაწვრთნისათვის ცირკის მსახიობები დაიქირავა, რომელთაც ბავშვს ფიზკულტურისა და წრთობისადმი სიყვარული ჩაუნერგეს, გააღვიძეს მასში ფიზიკურად ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და საკუთარი სხეულის თავისუფლად ფლობის სურვილი.

რამდენიმე წლის შემდეგ,კოწო ბადრიძე,თანატოლებში საოცარი ძალის მქონე,ვაჟკაცობის,სიმარდისა და მოხერხებულობის სიმბოლო გახდა. ამ დროს მისი სახელი უკვე ქუხდა ქალაქში,იგი ქუთაისელთა უსაყვარლესი ჭაბუკი იყო. ამ ამბით დაინტერესდა სენსაციების მაძიებელი ცირკის აგენტი სტეფანე გელაძე, რომელიც სკოლასთან დაუდარაჯდა კოწო ბადრიძეს, გამოესაუბრა და ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე,ცირკში გამოსვლაზე,ბეჭდაუდებელ ფალავან იაკობ კოზირკინთან შერკინებაზე დაითანხმა, მხოლოდ ამის შესახებ მშობლებს არ უნდა გაეგოთ. შეხვედრა დიდ არენაზე გაიმართა. მეორე დილით, ქუთაისის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოკრული აფიშები აუწყებდა საზოგადოებას, რომ „ამიერიდან ცირკში გამოვა ქუთაისელთა უსაყვარლესი და ულამაზესი კოწო ბადრიძე, ცნობილი ექიმის ვაჟი“.

ამ ინფორმაციამ დიდი აჟიოტაჟი და უსიამოვნო შედეგები გამოიწვია. გიმნაზიის დირექციამ გამოუს-



წორებელ მე-8 კლასელს გიმნაზიიდან საბუთების გატანა შესთავაზა, რადგან მათ, კეთილშობილი ოჯახისა და გიმნაზიის შემარცხვენელი ცირკის მსახიობი არ სჭირდებოდათ. იგი სახელს უტეხდა ოჯახსაც და კეთილშობილ სასწავლებელსაც. ოჯახშიც უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა – მამა გულის მძიმე შეტევით ორი კვირა ლოგინად ჩავარდა. ამის შემდეგ იგი ცირკში აღარ გამოსულა,მაგრამ მოძრაობისა და ფიზკულტურის სიყვარულმა ყველაფერს სძლია და იგი გახდა უნივერსალური სპორტსმენი, სისწრაფის, ძლიერების, ვაჟკაცობისა და ოსტატობის სიმბოლო, საოცარი ძალის მქონე უშიშარი ტანმოვარჯიშე, აკრობატი, ფანტასტიკური ტრიუკების გამომგონებელი და შემსრულებელი, რასაც შემდგომ თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა თავის შეგირდებს.

აღსანიშნავია, რომ კოწო ბადრიძე, პირველი ქართველი აკრობატი იყო, რომელმაც შემდგომში წყვილთა და ჯგუფური ვარჯიშები შეიმუშავა და დანერგა.

20-იან წლებში არ იყო ფილმი ეფექტური ტრიუკებით, რომელშიც მას მსახიობი არ შეეცვალა. მისთვის არაფერს წარმოადგენდა აკრობატული ნომრებისა თუ სხვადასხვა ილეთების შესრულება.

ისიც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1921 წელს, 19 წლის ახალგაზრდა, მონაწილეობდა საქართველოში შემოჭრილი ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის წინააღმდეგ გამართულ კოჯრის ბრძოლებში, სადაც მკლავში დაიჭრა.

კოწო ბადრიძისათვის სცენა და სასცენო ხელოვნება ყოველთვის ახლო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მის ოჯახში თეატრს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. უფროსი ძმა – დავით ბადრიძე – საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ოპერის ცნობილი მომღერალი, დიდხანს მღეროდა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა თეატრების სცენებზე, ასწავლიდა კორეაში, ვიეტნამში, ეგვიპტეში. და – ანა, მუსიკოსი, დიდხანს ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, თვით კოწო ბადრიძეს ძალზე სასიამოვნო ლირიკულ-დრამატული ტენორი ჰქონდა, დაამთავრა ოპერის თეატრთან არსებული სტუდია, შესანიშნავადაც მღეროდა, რადიოშიც არაერთხელ ჩაწერეს, მაგრამ რაც ძმამ თავისი ცხოვრება საოპერო ხელოვნებას დაუკავშირა, მას აღარასოდეს უმღერია.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი, როგორც ტანმოვარჯიშის დამსახურება. პირველად მსოფლიოში, 1924 წელს, სატანვარჯიშო რგოლებზე მან შეასრულა ცნობილი ილეთი ე.წ. „ჯვარი“ (крест), რომელიც 32 წლის შემდეგ, 1956 წელს, ოლიმპიურ თამაშებზე სომეხმა ტანმოვარჯიშე ალბერტ აზარიანმა გაიმეორა და მისი სახელით შევიდა იგი ტანვარჯიშის ისტორიაში (გთავაზობთ 1924 წლის ისტორიულ ფოტოს, რომელზეც კოწო ბადრიძის „ჯვარია“ აღბეჭდილი).

კოწო ბადრიძეს მიაჩნდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში მისი საგანი დამხმარე იყო და სამსახიობო ოსტატობის პირველ საფეხურს წარმოადგენდა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ხელოვნებაში არა თუ დიდი, უმნიშვნელო სიმაღლის დაძლევაც კი.

კოწო ბადრიძის უახლოესი მეგობარი,ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი **აკაკი გაწერელია** იხსენებდა, რომ იგი კოწოსთან და მის შვილთან (ამჟამად ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იასონ ბადრიძე) ერთად, ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შვილის ბუნებისადმი, კერძოდ, ცხოველებისადმი ფანატიკური სიყვარული ამ გარემოებამაც განაპირობა.

კოწო ბადრიძის 70 წლის საიუბილეო საღამოზე ბატონმა აკაკიმ ბრძანა: „პირველი გაცნობისთანავე ვიგრძენი კონსტანტინეს, ანუ კოწოს,როგორც უძახდნენ მას ნაცნობ-მეგობრები, ადამიანური უშუალობა, პირდაპირობა, ყველა ღირსეულისა თუ უღირსისადმი სიმპათია-ანტიპათიის დაუფარავად გამჟღავნების უნარი, და რადგან ამ სტრიქონების ავტორს მუდამ ასეთი ადამიანები უყვარდა და უყვარს,ჩვენს უანგარო ძმობას თავიდანვე ურყევი საფუძველი ჩაეყარა.

კოწო ბადრიძესთან ერთად გატარებულ წლებს, ჩემი ცხოვრების ერთ უბედნიერეს პერიოდად ვთვლი. იგი არ ყოფილა მეცნიერი ან მწერალი, არც საკუთარი პროფესიით თავმომწონე, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო. იგი უწინარესად ქართველი რაინდი იყო.

არტისტებს შორის იგი ყველაზე ანტიარტისტული ფიგურაა. მისი მთავარი და ღირსშესანიშნავი თვისებაა – მეგობრისადმი დაუეჭვებელი ერთგულების გრძნობა. გულწრფელობის მხრივ, მე არ შემხვედრია მასავით სხვა პიროვნება, რომელსაც გულღიად შეეძლო ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა.

ვინმე თუ ეჯავრება კოწოს, მსუბუქი ირონიით შესცქერის და მის დასახასიათებლად არცთუ მაინცდამაინც დამამცირებელი სიტყვა აქვს: „ქარაქუცა“. ქარაქუცები – წყალწაღებული ხალხია და კოწო ბადრიძე გულგრილად ჩაუვლის ხოლმე მათ.

ეს მოუსვენარი კაცი უაღრესი ჯენტლმენია იქ, სადაც თავშეკავება უღალატებდა რაფინირებულ

და თავაზიან მარკიზსაც კი. ამიტომ ყველა მშობელს შეუძლია გულდამშვიდებით ჩააბაროს თავისი ქალიშვილების ბედ-იღბალი ოდესღაც ამურული თავგადასავლის მქონე, მაგრამ ჩინებულად ზრდილ კოწო ბადრიძეს. ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის მანძილზე ერთხელაც კი (ვიმეორებ – ერთხელაც კი!) არ დასცდენია მას სკაბრეზული გამოთქმა რომელიმე თავისი სტუდენტი ქალიშვილისადმი.

ჭეშმარიტი პედაგოგი, ფიზიკური აღზრდის სფეროში მაინც, ასე უნდა ექცეოდეს ახალგაზრდობას. იგი სანიმუშო მაგალითია ასეთი აღმზრდელისა, რის გამოც მსახიობთა მთელი თაობები ღრმად მადლიერია მისი. მოგეხსენებათ, ახალგაზრდობა უცდომელი გუმანითაა აღჭურვილი მასწავლებლისადმი. თუ მას არა სჯერა თავისი პედაგოგისა, ამ უკანასკნელის საქმე წასულია.

კონსტანტინე ბადრიძეს არასოდეს უფიქრია რაიმე კარიერაზე, არც ოფიციალურ დაფასებაზე. მის პიროვნებაში მე უმთავრეს ღირსებებს ვხედავ ხელოვნებაში (თეატრში თუ კინოში) მის თვალსაჩინო ღვაწლთან ერთად. იგი სადა, პირუთვნელი კაცია, ჭეშმარიტად ღვაწლმოსილი, წესიერად იცხოვრა და სინდისის ულმობელი მსაჯულის წინაშე არაფერი აქვს დასამალი. არავისი და არაფრის ეშინია, რადგან ფსიქოლოგიური პარიკი არ უტარებია. არაფერი წინასწარ არ ჰქონია საგანგებოდ მოფიქრებული. აკი ირემი იმიტომ დადის კოხტად ტყეში, რომ არ იცის – კოხტად რომ დადის!

კოწო დაუფასებელი ეროვნული გმირი იყო. ცხოვრობდა თავისთვის ეს შესანიშნავი კაცი, თხემით ტერფამდე ვაჟკაცი, მშვენიერი შუბლით, მთლიანად კუნთებისგან შემდგარი სპორტსმენის სხეულით და მაღალი ეთიკური კულტურით აღჭურვილი, ჩინებული ოჯახიშვილი...

კონსტანტინე ბადრიძე ჩემი უახლოესი მეგობრების იმ ძალიან მცირე, სულ მცირე ჯგუფს ეკუთვნის, რომლისადმი ძმური სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ვარ გამსჭვალული. ამგვარი

მეგობრობის საფუძველი, მისი შესაშური ადამიანური თვისებებია.

დიდხანს ვაკვირდებოდი კონსტანტინე ბადრიძეს, როგორც პედაგოგსა და კოლეგას და ყველთვის თვალში გეცემოდა იშვიათი ტაქტი და ჩინებული ოჯახური აღზრდა, რაც ასე კარგად ჰქონდა შეხამებული ადამიანებთან ჰუმანურ დამოკიდებულებასთან. თანაც ბადრიძე შემთხვევით როდი ითვლება ჩვენი ახალგაზრდა მსახიობების ფიზიკური აღზრდისა და მათი სცენური მოძრაობის რიტმის დახვეწის ოსტატად, იგი თვითონაა მაგალითი ძველი სპარტელების იდეალისა, რომლის მიხედვით ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას. იგი ასეთ სულს ნერგავს თავის შეგირდებში"...

წლების განმავლობაში, სასცენო მოძრაობის კათედრაზე, კოწო ბადრიძის ასისტენტებად მუშაობდნენ: საქართველოს დამსახურებული არტისტი შოთა სხირტლაძე და შოთა გიგიაძე, რომელთაც კოწო ბადრიძის გარდაცვალების შემდეგ მოუწიათ მისი საქმის გაგრძელება. **შოთა სხირტლაძემ** კი აქ დაგროვებული ცოდნა, შემდეგ უცხოეთშიც გამოიყენა, სადაც 14 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

იგი იგონებდა თავის მასწავლებელსა და უფროს მეგობარს: „კოწო ბადრიძეს ხშირად იწვევდნენ თეატრებში, ოპერასა და კინოში სპექტაკლების ბატალური სცენების დადგმის დროს. მას ხშირად ვეხმარებოდი. „ხევისბერ გოჩაში" ეპიზოდურ როლს ვასრულებდი, ფარიკაობის სცენა მქონდა, ფარიკაობითვე კოშკზე ავდიოდი და იქ მკლავდნენ. ამას „ხევსურული ბალადა" მოჰყვა, სადაც კეჭნაობის სცენები იყო გასაკეთებელი. მე მომმართეს და ასე ვიმუშავე შოთა მანაგაძის „ხევსურულ ბალადაზე". იმავე პერიოდში კოწო ბადრიძე „მაცი ხვიტიას" აკეთებდა, ფინალური სცენის დროს ავად გახდა და დასახმარებლად მე მიხმო. გიორგი შენგელაიას უთხრა, რომ მის სამუშაოს მე შევასრულებდი. შემდეგ მიჰყვა და მიჰყვა, ფილმი არ იყო, რომ მასზე არ მემუშავა"...

ბედნიერი ვარ, რომ ამ საოცარი იუმორის მქონე ჭეშმარიტ ქართველ რაინდთან და უბრწყინვალეს პიროვნებასთან, ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა. შემდეგ დავნათესავდით კიდეც. ხშირად ვიყავით ერთად და მასთან ყოველი შეხვედრა სიცოცხლის ხალისს მმატებდა, ცხოვრებას მილაღებდა, მიიოლებდა. მისდამი დიდი სიყვარული დღემდე არ გამნელებია და მიხაროდა, რომ მისგანაც ასეთივე სიყვარულს ვიღებდი. კოწო ბადრიძის მსგავსი ადამიანები დიდ კვალს ტოვებენ ჩვენ ცხოვრებაში და ამიტომაცაა, რომ ისინი არასოდეს გვავიწყდებიან, მუდამ ჩვენ გვერდით არიან.

42 წელი გავიდა კოწო ბადრიძის გარდაცვალებიდან, მაგრამ დღე ისე არ გავა, არ გავიხსენთ მისი ადამიანური თვისებები თუ სხარტი იუმორისტული გამონათქვამები. აღზრდილები, ნაცნობები და ახლობლები მუხლს ვიყრით მისი ხსოვნის წინაშე და ვნატრობთ, ასეთი ღირსეული მამულიშვილები არ მოჰკლებოდეს ჩვენს სამშობლოს!



„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“!

ღვაწლმოსილი ქართველი ფსიქოლოგი

პროფ. თამაზ გოგიჩაიშვილი ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი გახლდათ. მისი 20 წიგნი ფსიქოლოგიასა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. გავა წლები და მისი მაღალი მეცნიერული ღირებულებების მქონე სახელმძღვანელოები: „ზოგადი ფსიქოლოგია“, „ასაკობრივი ფსიქოლოგია“, „იურიდიული ფსიქოლოგია“ და ა.შ. კვლავ დიდ სამსახურს გაუწევს მომავალი ფსიქოლოგების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მისი მშობლიური კუთხე გურია იყო. მე იშვიათად შემხვედრია მეცნიერი, რომელსაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქში (თბილისში) გაეტარებინოს და მაინც ისე სისხლხორცეულად ყოფილიყოს დაკავშირებული მის მშობელ კუთხესთან, როგორც ბატონი თამაზი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მისი გურია, კერძოდ, ლესა-ჭინათი მისი მაცოცხლებელი, უზარმაზარი ენერგიის მიმცემი ძალა იყო, რომლის გარეშე რამდენიმე დღეც კი არ შეეძლო გაძლება. „მე ლესელი ვარ“, – ამაყად აცხადებდა იგი და ამით დიდ მადლიერებას გამოხატავდა მისი თანასოფლელების მიმართ, რომელთაგანაც შეითვისა საუკეთესო ადამიანური თვისებები და მაღალი ზნეობრივი იდეალები.

ბავშვობა მძიმე ჰქონდა ბატონ თამაზს, ობლობაში, სიდუხჭირესა და გაჭირვებაში გაიზარდა. სამაგიეროდ, თავისი თანასოფლელებისაგან ისეთი სულიერი საზრდო მიიღო, რომელიც მთელი ცხოვრება წინ წაიმძღვარა და მართალი, პატიოსანი, პრინციპული, კაცური კაცის სახელით გავიდა ამ წუთისოფლიდან. სწორედ ამ მაღალი ადამიანური თვისებების გამო უყვარდა იგი სოფელს, მის საამაყო შვილად მიაჩნდა. ბატონ თამაზს სიკვდილის წინ ისევე შეიძლებოდა ეთქვა, როგორც მისმა საუკეთესო მეგობარმა, ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ თქვა: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“ (ასე ჰქვია ბატონი ვახტანგის ერთ-ერთ წიგნს).

როცა ბატონი თამაზი 75 წლისა გახდა, მისი დიდი დამსახურების გამო მშობლიური უნივერსიტეტის წინაშე მისი იუბილეს აღნიშვნას ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპირებდნენ, მაგრამ ბატონმა თამაზმა არჩია, იუბილე საკუთარ რაიონში გადაეხადა და მშობლიური კუთხისადმი მისი დიდი სიყვარული და მადლიერება ამით გამოეხატა.

საშუალო სკოლა ბატონმა თამაზმა ვერცხლის მედლით დაამთავრა (ოქროს მედალი მისმა თანაკლასელმა ვახტაგ გოგუაძემ აიღო) და გამოცდები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა.

პირველი კურსიდან გამორჩეული იყო, აბა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტისათვის იმაზე საამაყო რა უნდა ყოფილიყო, რაც ის, რომ მსოფლიოში ცნობილი ფსიქოლოგის, განწყობის თეორიის შემქმნელის დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდიის მფლობელი გამხდარიყო.

მეგობრებიც გამორჩეული ჰყავდა, მათ შორის უპირველესი, ცხადია, ვახტანგ გოგუაძე იყო, რომელიც იმავე წელს ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ორივენი გამორჩეული სტუდენტები იყვნენ. ორთავემ მაშინვე მიიპყრეს უნივერსიტეტის რექტორატის ყურადღება. ერთხანს ორივენი უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ (ორივეს მაღალი თანამდებობები ეკავათ). შემდეგ კი ბატონი ვახტანგი ჯერ პარლამენტარი გახდა, შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარის, სპიკერის მაღალი თანამდებობა დაიკავა.

რაკი ორი მეგობრის ყოველდღიური შეხვედრა ვერ ხერხდებოდა, საურთიერთოდ ეპისტოლარულ ჟანრს მიმართავდნენ. ასე შეიქმნა ერთმანეთისადმი მიწერილი მათი უაღრესად საინტერესო წერილები. მაგრამ ეს არ იყო მარტო ურთიერთმონატრების წერილები. ეს იყო ორი ინტელექტუალის უაღრესად ღრმა და საინტერესო ნააზრევი მთელ რიგ უაღრესად საინტერესო და აქტუალურ საკითხზე. ეს წერილები, უპირველესად, იმით იპყრობს ყურადღებას, რომ იგი არ არის ორი მეგობრის ურთიერთისადმი მიძღვნილი კომპლიმენტები. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მეგობრები ხშირად არ ეთანხმებიან ერთმანეთს. ზოგჯერ მწარედაც კამათობენ, როცა საქმე, ვთქვათ, რუსეთთან დამოკიდებულებას ეხებოდა. ბატონი თამაზისათვის რუსეთი ერთმნიშვნელოვნად ოკუ-

პანტი იყო, სხვისი ტერიტორიების მიმთვისებელი და დამპყრობელი. ამიტომ შეუძლებლად მიაჩნდა მასთან რაიმენაირი გაერთიანება. ბატონი თამაზი კატეგორიული წინააღდეგი იყო ე.წ. „ესენგესი“. გაითვალისწინეთ, რომ ამას ეუბნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქვეყნის მეორე პირს. ეს ფაქტი ორივე მეგობარს საუკეთესოდ ახასიათებს. ბატონი თამაზი თავის პოზიციას ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამოხატავს ქვეყნის მეორე პირთან, ხოლო ქვეყნის მეორე პირი ყოველგვარი ნაწყენობის გარეშე ღებულობს მეგობრის ამ განსხვავებულ პოზიციას, რადგან იცის, რომ მისი მეგობარი მართალი კაცია და უყოყმანოდ ამბობს იმას, რაც სჯერა. ამიტომ იყო, რომ კამათი არასოდეს გადადიოდა მეგობრული ურთიერთობის საზღვრებს. დარწმუნებული ვარ, ამ წერილების წაკითხვით ყველა ინტელექტუალს უდიდეს სიამოვნებას მიიღებს.

როცა ბატონ თამაზის შესახებ ლაპარაკობ, არ შეიძლება განსაკუთრებული ხაზგასმით არ აღნიშნო, რომ იგი გამორჩეული ოჯახის თავკაცი იყო, ოჯახისა, რომლის მსგავსი თითებზე ჩამოსათვლელი თუ არსებობდა მთელ მაშინდელ თბილისში, თუნდაც მთელ საქართველოში. ეს არაა გადაჭარბება. ეს რეალობაა, სასიამოვნო, საამაყო რეალობა.

ახლა, როცა, სამწუხაროდ, ბატონი თამაზი ცოცხალი აღარ არის, მინდა დაგვიანებული მადლობა ვუთხრა მას ასეთი ოჯახის თავკაცობისათვის. მადლობა შენ, ჩემო თამაზ, რომ იმ არეულ თბილისში, როცა ჭეშმარიტი ღირებულებები თავდაყირა იყო დაყენებული და, როგორც ამბობენ, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, შენ შეძელი ასეთი ტრადიციული ქართული ოჯახის შენარჩუნება, მადლობა შენს ფსიქოლოგობას, მადლობა შენს სათნო მეუღლეს, ქალბატონ ლალის!

მოკლედ ბატონ თამაზ გოგიჩაიშვილის ოჯახის საამაყო ისტორია ასეთია: ორ ვაჟკაცს ზრდიდნენ ქალბატონი ლალი, ცნობილი ექიმი, და ასევე ცნობილი ფსიქოლოგი, პროფესორი თამაზ გოგიჩაიშვილი. ოჯახში სწავლა-განათლებისა და წიგნის კულტი იყო გამეფებული. ამიტომაც ორივე ვაჟი გამორჩეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

უაღესად განათლებული, მრავალი ენის მცოდნე ავთანდილი, ოჯახის უფროსი შვილი, პირველი „გაიჭრა“ უცხოეთში. 28 წლისა უკვე მეცნიერების დოქტორი გახდა. დიდი და სახელოვანი გზა განვლო მანამ, სანამ გახდებოდა ის, რაც ახლა არის. ახლა კი გახლავთ: მექსიკის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (სამი აკადემიის აკადემიკოსი).

დავითმაც „ამერიკული სკოლა“ გაიარა. მანაც მალევე მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება და სათანადო ავტორიტეტიც მოიპოვა. ამჟამად იგი საქართველოს ტელევიზიის შოუს ფუძემდებელი და ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელია.

ყველაფერი ეს ხომ ძალზე საამაყო და სასიქადულოა, მაგრამ ყველაზე საოცარი ის ურთიერთდამოკიდებულებაა, რაც ოჯახის წევრთა შორის არსებობდა აქ. მშობლებთან მიმართვის ორი ფორმა არსებობდა მხოლოდ: „დედიკო“ და „მამიკო“. საოცარია ის სითბო და სიყვარული, რაც ამ ოჯახის წევრთა შორის არსებობდა. ნახეთ, რა მზრუნველი დამოკიდებულება არსებობდა მშობლებისა შვილებისადმი, ან როგორი იყო ძმების დამოკიდებულება მშობლებისა და ერთმანეთისადმი. ამ მხრივ საუკეთესო ნიმუშს მაინც ავთანდილი იძლეოდა. მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც იგი უცხოეთში ცხოვრობს, არა მარტო სისტემატურად ეკონტაქტებოდა მშობლებს, სისტემატურად გებულობდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ ეკონომიურადაც ეხმარებოდა მათ.

მადლიერმა შვილმა, ავთანდილმა, რამდენიმე მოზაურობაც კი მოუწყო მშობლებს ჯერ ესპანეთში, მერე – საფრანგეთში. ცდილობდა, რომ ორივე ქვეყნის ყველა ღირსშესანიშნაობა ეჩვენებინა მათთვის, ყურადღება არ მოეკლო, საუკეთესო სასტუმროებში განეთავსებინა, სიურპრიზებითა და საჩუქრებით გაეხარებინა ისინი.

ბატონი თამაზის დამოკიდებულება შვილებისადმი კარგად იკითხება იმ წერილებიდან, რომლებსაც ის წერს შვილებს. სამწუხაროდ, წერილების ერთი ნაწილი, კერძოდ, ავთანდილისადმი მიწერილი წერილები, დაკარგულია (მაგრამ დავითისადმი მიწერილი წერილები მაინც ქმნის საერთო შთაბეჭდილებას დაკარგულ წერილებზეც).

ერილებში მამა არა მარტო ზოგად დარიგებას აძლევს დავითს, არამედ უაღესად საინტერესო აზრებს გადმოსცემს აღზრდისა და განათლების აქტუალურ საკითხებზე.

უკვე ითქვა, რომ ბატონი თამაზ გოგიჩაიშვილი თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი იყო, მაღალი დონის პროფესიონალი. ამაში მას, გარდა საკუთარი ნიჭიერებისა, იმანაც შეუწყო ხელი ხელი, რომ იგი ფსიქოლოგიის ერთ-ერთიი საუკეთესო მცოდნისა და უკეთილშობილესი ადამიანის პროფ. შალვა ჩხარტიშვილის ასპირანტი იყო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ შალვა ჩხარტიშვილის ფენომენმა შექმნა ბატონი თამაზი, როგორც ფსიქოლოგი და როგორც ადამიანი. ეს ბედის გამართლება იყო. თვითონ ბატონი შალვა უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება იყო. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი შალვა შვილებივით ზრდიდა თავის ასპირანტებს. სახლში იმიტომ კი არ იბარებდა მათ, რომ თვითონ სახლიდან გასვლა უჭირდა, არამედ იმიტომ, რომ თავისი ოჯახის წევრად ექცია ისინი, თავისი უსათნოესი მეუღლისათვის, ქალბატონ ნადიასათვის, გაეცნო. ქალბატონი ნადია კი მათ შვილებივით უვლიდა: ასმევდა, აჭმევდა, საჩუქრებს ყიდულობდა მათთვის,

ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ, თავს ევლებოდა.

ასეთი სიყვარულით ბატონ შალვაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ იგი (აკად. ანგია ბოჭორიშვილთან ერთად) ჩემი მასწავლებელიც იყო და კარგად ვიცი მისი ფასი, მისი უნიკალური თვისებები. ბატონმა შალვამ თითოეული მისი ასპირანტის შეყვარება და თანგადაყოლა იცოდა. და მაინც, ბატონ თამაზთან გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა. დასასვენებლად რომ მიდიოდა, იქაც კი არ წყვეტდა ასპირანტებთან ურთიერთობას. ბატონი თამაზის შემთხვევაში კი უკვე ჩაწოლილს, მუხლებზე ედო მისი დისერტაცია და ისე კითხულობდა. დროს ეშურებოდა. როგორც ჩანს, მის შემცვლელად მოიაზრებდა.

ბატონი თამაზი ფართო ერუდიციის ადამიანი იყო. იგი საოცრად ნაკითხი იყო და, შესაბამისად, კარგი მოსაუბრეც, საუცხოო ლექტორი. განსაკუთრებით უყვარდა მხატვრული ლიტერატურა, კარგად იცოდა როგორც უცხოური, ისე ქართული პოეზია.

გარდა მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომებისა, ბატონ თამაზს აქვს ბევრი საინტერესო პუბლიცისტური წერილი ფსიქოლოგიის საკითხებზე, რომლებშიც ის პოპულარულად გადმოსცემს თავის შეხედულებებს განწყობის თეორიაზე. ფროიდიზმზე, მეხსიერების დისპოზიციებსა და არაცნობიერი ფსიქიკურის რაობაზე და ა. შ, რომლებშიც ის კიდევ ერთ ნიჭს – პუბლიცისტის ნიჭს ამჟღავნებს, თანაც საუკეთესო ნიჭს. პუბლიცისტურად უაღესად მიმზიდველად იკითხება მისი მეოცე წიგნი – „ამა სოფლისა ბოლოსა“.

როცა იგი ამ წიგნს წერდა, 75 წლისა იყო. წიგნის სათაურს რომ დავხედე, არ მესიამოვნა, გულმა რეჩხი მიყო, თითქოს ამ წუთისოფელთან გამოთხოვებას ჰგავდა, რაც მისთვის, მისი გონებრივი პოტენციის გათვალისწინებით, ნაადრევი იყო. მართალია, იგი ამ წიგნში 21-ე წიგნი დაწერის სურვილზეც ლაპარაკობს, მაგრამ აღესრულა ისე, როგორც ნიჭიერმა ფსიქოლოგმა თავის თავს უწინასწარმეტყველა. სამწუხაროდ, 21-ე წიგნი ვეღარ შეიქმნა.

ბატონი თამაზის პუბლიცისტური ნიჭი კარგად გამჟღავნდა მის მოგონებებში: ლევან სანიკიძეზე, მერაბ კოსტავაზე, აბონ ციციაშვილზე, ჟიული შარტავაზე, რევაზ ინანიშვილზე და სხვებზე.

ბატონი თამაზ გოგიჩაიშვილის მთელი ცხოვრება თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო მართლად, პატიოსნად, უკომპრომისოდ. იყო ობიექტური და პრინციპული. ამასთან, იგი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უანგაროდ უნდა ემსახურო შენს სამშობლოსა და ხალხს!

პროფ. რევაზ ბალანჩივაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

თარგმანი

მარინა სვეტაევა

თარგმნა მარინა გოგოლაშვილმა

* * *

ჩემს ლექსებს, მაშინ დაწერილ ლექსებს,
– როს არც ვიცოდი, – ვიყავ მგოსანი,
– თან ახლავს, როგორც შადრევნის შხეფებს,
ნათება – ფრთასხივოსანი.
ვით ტაძრის ნაზი ხაზების ბრწყინვა
გუნდრუკის ნისლში დაილექება,
სიკვდილ-სიყრმეზე ნაფიქრი, ყინვად
დატოვეს ჩემმა ლექსებმა.
ჯერ ვერვინ ამჩნევს წიგნის თაროზე,
ზემოდან ფარავს მტვრის სქელი გროვა.
კარგ ღვინოსავით დაძველდება და
მათი დროც მოვა.

ფსიქეა

ნუ გეგონები შენ თვითმარქვია,
არც მოახლე ვარ – არ ვითხოვ ლუკმას.
აღდგომის ვნება და შვება მქვია,
შენი მეშვიდე დღე და ზეცა
დავბრუნდი უკან.
გროშს მამადლიდნენ დედამიწაზე,
მზარავდა ყელზე დოლაბის სისქე,
ნუთუ ვეღარ მცნობ? – სატრფოვ, მიწამე
მერცხალი შენი, შენი ფსიქეა!

* * *

ცირცელი წითლად
აფეთქდა ცაზე.
ცა ფოთლად იქცა,
მე – დავიბადე.
ჰქონდათ კამათი
ზარებს ძელისას.
იდგა შაბათი
ღვთისმეტყველისა.
გაჩენის დღემდეც –
სურვილი უნჯი –
მეღრღნა ჭნავისგან
დამწვარი ფუნჯი.

* * *

ვიღაც ქვისგან, ვიღაც თიხით შექმნილია,
მე წინ ვერცხლის ელვარება მიძღვის –
ფერმონაცვლე, და სახელად ვარ მარინა,
წარმავალი მე ვარ ქაფი ზღვის.

ვინაც თიხამ შექმნა ხორცად, მას ეკუთვნის
ხის სასახლეც და საფლავის ფილაც.
ზღვის ემბაზში თავაწყვეტილ ქროლვის გამო,
ლეწვა-მტვრევა მერგო წილად.

გავარღვიე ყველა გული, ყველა მახე,
ასე მოხდა – ჩემდა უნებლიეთ.
თავქარიან, ურჩ კულულებს ჩემსას ხედავ?
ქვიშით შექმნი? – გსურდეს თუნდაც ძლიერ?!..

ყოველ ზვირთში მე ხელახლა ვიბადები,
არ ვიკარებ მუხლზე ძოწის ლაფს.
გაუმარჯოს! მხიარულ ქაფს გაუმარჯოს,
ზღვის დიად და ამაღლებულ ქაფს!

დედას

(მარია მეინს)

შტრაუსის ვალსში შენი ხმაც თოვდა,
გვესმოდა შენი ძახილი წყნარი.
შემდეგ სიცოცხლე გაგვიუცხოვდა,
გვახარებს მხოლოდ ჟამთა სვლა ჩქარი.

დაისს შენსავით ჩვენც ვეგებებით,
ვტკბებით, რომ ახლოს დასასრულია,
ჩვენ მდიდრები ვართ საღამოებით,
რითიც შეგვივსე გული სრულიად.

უშენოს, მთვარე თუ ჩამომხედავს
სიზმრად, ჩემთან ხარ ბავშვურ ხილვებში.
გსურდა, ჩვილები დაგეცვა თავად,
მწარე ყოფიგან მოგვრილ ყინვებში.

გვიყვარს, ვინც კია მწუხარე, უნდო –
დარდობს სიცილშიც, უცხოობს ემბაზს.
ჩვენი ხომალდიც მომართეს ცუდ დროს –
ემორჩილება ქარების ნებას.

ლურჯ კუნძულს – ყრმობას გამოვეთხოვეთ,
ვდგავართ გემბანზე და გვრჩება სევდა,
მემკვიდრეობად რომ დაგვიტოვე
ანდერძით, შენს კარგ გოგონებს, დედა!

* * *

თქვენ, ვინც შემთხვევით გვერდით ჩაუვლით
ამ ჩემს საეჭვო მომხიბვლელობას,
ვერ წარმოიდგენთ, სიცოცხლის ცეცხლი
რა ფუჭად ვჩუქნე დღეთა მსვლელობას.
ჩრდილსა და ჩქამზე როგორ ფითრდება
ჩემი გმირული გზნება – ქებული,
გული კი დამაქვს მთლად ჩაფერფლილი,
როგორაც დენთი აფეთქებული.
სიზმარს სადგურზე დაატარებენ,
მატარებლები – ღამის ფრთოსნები.
რომც გცნობებოდით, მაინც ვერ მცნობდით,
კვალავ დავრჩებოდი ქალად ოცნების.
ვერ მიხვდებოდით, სიტყვებს რად ვხვევდი
პაპიროსების კვამლში,
რა სასტიკი და ბნელია სევდა
ჩემს ნათელთმიან თავში.

და „ლიხტენშტეინს“ კთხულობს დედა...

მდუმარე ხვატი, ყველგან ქლიავი,
მხოლოდ ბუზები ბზუიან მხნედა.
ვსხედვართ ბალახზე, ყუჩობს ნიავი,
და „lichtenstein“-ს კითხულობს დედა.
ბაგე და კაბა – ლურჯად მოთხვრილი,
ხილს კვლავ რაღად ვჭამთ? არ იცის კაცმა!
სადაც გზა უხვევს, ქვემოთ დახრილი,
იქვე ოქროსფრად კაშკაშებს ჯვარცმა.
მე ვეტრფი ულრიხს, გეორგს – ჩემი და,
მათი ეშხით ვართ დატყვევებული:
ჰერცოგი – სავსე დარდით ჩუმითა;
რაინდი – გმირი შეყვარებული!
დედის ნაზი ხმა – თითქოს სიმღერა,
სასწაულების არის მთოვარი.
და ნაძვმაც თავი ზე აიღერა,
იქ, სადაც მზესთან ჩანს მაცხოვარი.
ვწევარ ბალახზე, ყუჩობს ნიავი,
ბედნიერება რამ დაგვებედა.
ირგვლივ ლივლივებს ლურჯად ქლიავი
და „lichtenstein“-ს კთხულობს დედა.

* * *

აგვისტო – ვარსკვლავა.
აგვისტო – ვარსკვლავი.
აგვისტო – ზვრების და
აგვისტო – ჭნავის.
სპილენძისფერი აგვისტო ყვავის.
ბარაქიანი, დალოცვილი, –
თვით ავგუსტუსის საკადრისი, –
დაცვარული ვაშლებით სავსე,
ბავშვურად ლაღობ, ერთობი და
შენს რომაულ გულს, იმპერიულს,
ხალისით ავსებ.
ნაგვიანევი ვარდები ხელში
და ვარსკვლავთცვენის მერეხი, თქეში.
გვიანი კოცნა ვისაც ეღირსა,
ეს საჩუქარი იყო ელვისა.
აგვისტო – ჟამი
ვარსკვლავთცვენისა!

რომანი ორ ლექსად

მცირე აუცილებელი განმარტება: სრულიად აუხსნელი ბედის ახირებით, მოულოდნელად ერთ წერტილში გადაიკვეთა 32 წლის არსენის ტარკოვსკის (გენიალური რეჟისორის, ანდრეი ტარკოვსკის მამა) და 47 წლის მარინას ცხოვრება და შემოქმედება. ამ ორ პოეტს თავად არ აურჩევია მე-20 საუკუნის ყველაზე ტრაგიკული 30-იანი და საბედისწერო 40-იანი წლების ეპოქა. ნამდვილი ლექსების დაბეჭდვა მაშინ შეუძლებელი იყო და შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, გენიალური პოეტები მთარგმნელთა სახლში ცნობილი პროლეტარების პწკარედებს აგვირისტებდნენ. აქ გაიცნეს ერთმანეთი მარინამ და არსენმა. არავინ იცის, იყო თუ არა მათ შორის რომანი, თუმცა თავად არსენი ყოველთვის უარყოფდა ახლო ურთიერთობას. ტრაგიზმით სავსე, ამ განუმეორებელი გენიოსისადმი მიძღვნილი, მისი ლექსები კი ჯიუტად მოწმობენ სრულიად საპირისპიროს.

ყველაზე განსაცვიფრებელი კი ამ ორი პოეტის ლექსთა დიალოგია: თავის ერთ-ერთ სულშიჩამწვდომ ლექსში, 1941 წლის დასაწყისში, არსენიმ გააცოცხლა უდროოდ წასული მშობლები და ახლობლები. მალე ის ომში გაიწვიეს და მარინა ცვეტავა აღარც უნახავს. გაურკვეველია, რა გზით, რა გარემოებაში წაიკითხა ან მოისმინა მარინამ არსენის ეს ლექსი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ თავისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში, ამავე 41 წლის 6 მარტს, საკუთარ თავში მოიძია ძალა, რათა არსენისთვის ეპასუხა გულში ჩამწვდომი, სრულიად გენიალური სულის გადაძახილით. ეს იყო მარინას ბედის ერთგვარი წინასწარმეტყველებაც (საგულისხმოა, რომ მან 6 მიცვალებულს საკუთარი ცოცხალი თავი მე-7-ედ მიათვალა) და უკანასკნელი ლექსიც. სამუშაოს თხოვნის შესახებ განცხადებებისა და გამოსათხოვარი წერილების მეტი მას აღარაფერი დაუწერია. ნახევარი წლის შემდეგ კი, 1941 წლის 31 აგვისტოს, მიყრუებულ ელაბუგაში, ერთ ქოხში სამადლოდ შეფარებულმა, თავი ჩამოიხრჩო.

თავად არსენიმ მარინას ეს უკანასკნელი ლექსი მხოლოდ 1982 წელს, ჟურნალ „ოგონიოკში“ გამოქვეყნების შემდეგ. წაიკითხა. მაშინ არსენი 75 წლის იყო. თვითმხილველნი ერთსულოვნად აფასებენ მის მაშინდელ მდგომარეობას ერთი სიტყვით – „კათარზისი!!!“

ᲐᲘᲡᲔᲜᲘ ᲢᲐᲘᲪᲝᲕᲡᲙᲘ

ექვსზე გაშლილი სუფრა,
ბროლი და ვარდი.
სტუმრებს შორის კი სუფევს
სევდა და დარდი.
ჩემთან მოვიდა მამა,
აქ არის ჩემი ძმაც.
საათს დრო მიაქვს წამად,
კარზე – კაკუნის ხმა.
და თორმეტი წლის მერეც
ცივია ხელი.
შრაშუნობს ხატაური –
ლურჯი და ძველი.
წყვდიადში ღვინო ელავს,
წკრიალებს მინა:
„ – როგორ გვიყვარდი ყველას,
დღეს გსტუმრობთ შინა.“
მამა კვლავ გამიღიმებს,
ღვინოს დამისხამს ძმა;
უბეჭდო ხელს შემახებს-
დედას სურს სიტყვის თქმა:
„– ფეხსაცმელს ადევს მტვერი,
გადაგიხუნდა თმაც,
მიწისქვეშიდან ვმღერით,
გესმის კი ჩვენი ხმა“?!

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲪᲕᲔᲢᲐᲔᲕᲐ

ვიხსენებ ლექსის დასაწყისს,
სიტყვებში ვერ ვპოვე სიმშვიდე:
„სუფრა გავშალე ექვსისთვის“, –
რატომ დაგავიწყდი მეშვიდე?
და ვერ მოილხენთ თქვენ – ექვსნი,
ცრემლები სიმებად წვიმს ვიდრე.
როგორ შეგეძლო, ასეთ დროს
არ გაგხსენებოდა მეშვიდე?
შენს სტუმრებს არ უხარიათ,
ბროლის გრაფინიც უქმად მდუმარებს.
თქვენი ნაღველი მწარეა,
არმოწვეული მეტად მწუხარებს.
მოწყენა, სიბნელე ურცხვი,
ჭამა-სმაც არ მოგდით თვალში.
როგორ დაგავიწყდა რიცხვი?
როგორ შეგეშალა თვლაში?
თანაც ვერ მიხვდი ამასთან,
რომ ექვსი (ორი ძმა, თვითონ შენ,
ცოლთან, დედასთან, მამასთან)
შვიდია, ვარსებობ რადგან მე.
ექვსს სუფრა ვით შეიფერებს?
სამყაროს ვინ ზომავს ექვსით?
რად შევაშინებდი შენებს,
ლანდად რომ გწვეოდით ლექსით?
(ჩვენებთან) ქურდივით ფრთხილი
არც ვის დავურღვევდი სიმშვიდეს.
ჭურჭელ გაუწყობელ კიდესთან
ჩემთვის მივჯდებოდი მეშვიდე.
ჭახ! – ჭიქა დაემხო პირქვე.
ცრემლი და სისხლი – გავრისკე –
ჭრილობად ჩამოვღვარე იქვე,
გზა მივეც – ფიცარნაგისკენ!
და ჯადომოხსნილ ვახშამზე
აღმოვჩნდი, როგორც ცხოვრება,
როგორც სიკვდილი ქორწილში.
რა დიდხანს გემახსოვრება
არ ხარ ძმა, ქმარი, არც შვილი
მაინც დაგირღვიე სიმშვიდე:
– შენ სუფრა ექვსისთვის გაშალე,
კუთხეშიც არ დამსვი მეშვიდე...

ლეილა ჟიტოშვილი - სახლთხუსიშვილისა

„ვივლით ჟამიდან ჟამთა ქროლაში, გაზაფხულების ჩამოთოვაში“...

თამარ შაიშმელაშვილის ლექსების კრებული – „სულალუბლები“

„წიფლის ჩიტივით დარჩები, ცრემლო,
წყვდიადში ლექსის გადამრჩენელი“...

„სულს ღაფავს რწმენის ნაფლეთზე
მარტოკაცების სამშობლო“...
თამარ შაიშმელაშვილი

2013 წლის სექტემბერში თამარის ნაჩუქარ საინტერესო ლექსების კრებულს სულ გარე-გარე ვუვლიდი, მასზე წერა თითქოს მარტივიც იყო და რთულიც... შეიძლება მოვლენებს რაღაცნაირად ვამუქებ კიდეც,რადგან რთულში იმ კომპეტენტური ადამიანის გამოთქმულ მოსაზრებებს ვგულისხმობ, რომლებიც კრებულს „სულალუბლები“ – წინასიტყვაობის მაგიერ აქვს წამძღვარებული... იმაზე ფიქრი მაკავებდა,უფრო უკეთ მე რაღა უნდა მეთქვა და ა.შ. მაგრამ ახლა, წლების შემდეგ, მივხვდი, რომ ჩემი, ერთი ჩვეულებრივი მკითხველის მიერ გააზრებულ-გაგებული შთაბეჭდილებების გაზიარება სულაც არ არის ზედმეტი, განსაკუთრებით – ავტორისთვის. ამით შეთამამებულმა შევეცადე, ხელახლა წამეკითხა, ხელახლა მეგრძნო და განმეცადა ის მშვენიერება,ფილოსოფიური სიღრმეები და წიაღსვლები, რასაც თამარ შაიშმელაშვილის პოეზია ჰქვია...

და მაინც, მომიწევს ზემოთ ხსენებული ადამიანების გამონათქვამების ფრაგმენტული შეხსენება თუნდაც იმისთვის, რომ ჩემ მიერ მოხმობილი ციტატების სიუხვის საჭიროებას მეტი სიმყარე შევძინო.

„თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაში სათქმელი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ქართული სულიერებით გამსჭვალული, მაგრამ არა – პათეტიკური და იოგებდაჭიმული. მის ლექსებს თითქოს შემოდგომის მზის მჭვირვალი სევდა ახლავს. მათში საყდრის სურნელი და სასიამოვნო სითბო ტრიალებს... ამ ლექსებიდან ის ემოციურობა და გულწრფელობა იღვრება, რაც პოეტის სულის ანარეკლია... მისი, როგორც შემოქმედის, უდავო ღირსებად მიმაჩნია სათქმელთან მშვენივრად მორგებული ორიგინალური მხატვრული სახეების შექმნა,რომლებიც ლექსებს განსხვავებული ზემოქმედების ძალას მატებენ და უფრო დასამახსოვრებელს ხდიან“... – **მანანა ჩიტიშვილი.**

„...გავიხსენოთ დიდი გალაკტიონის სიტყვები: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ თამარ შაიშმელაშვილის ლექსები სწორედ ამ თანდაყოლილი „ნიჭის“ გამოვლინებაა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის ნერვებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს, მუსიკალური საკრავის თვისებაც მიანიჭა მამაზეციერმა“... – **მიხეილ ქვლივიძე**.

„...მის სულში მზის ნათელია, სიყვარული და სევდაა, რადგან მას აქვს ძალა, დიახ, დიდი ძალა. ძალა ჩანს ამ სათუთ, ნაზ, იასავით წიგნში, ძალა, რომელიც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს, ძალა, რომელიც სჭირდება პოეტს“... – **ინგა მილორავა.**

„როგორც ცხოვრებაში,პოეზიის უღელშიც თეთრი და შავი ხარივით წყვილად არის შებმული სევდა და სიხარული. თამარ შაიშმელაშვილის წიგნში სიხარულს სევდა სჭარბობს და ეს ბუნებრივია იმ თაობისათვის,რომელსაც ის ეკუთვნის“... – **აკაკი გეწაძე**.

„მიხარია, რომ ჩვენ – ყველას, ვინც აქ შევიკრიბეთ, გვიყვარს ამ ლექსების ავტორი. უფრო მეტად კი ის მიხარია,რომ მას ვუყვარვათ ყველანი

— ჩვენ და ეს სამყაროც“... — **გოდერძი ჩოხელი.**

„...ალავერდზე ხომ ბევრი წაგვიკითხავს, ხსოვნაში ჩაგვრჩენია, აღვფრთოვანებულვართ კიდეც, თამარ შაიშმელაშვილის პოეტური ხატ-სურათი კი საუკუნეთა წიაღიდან მოღაღადე ხმას ითავსებს, თითქოს ფუნჯის ერთი მოსმით ქმნის მოლაპარაკე ქვის ჰარმონიას:

„შენ მოგაბარე ჩემი წარსული...
სისხლით მომკილი ხირსის ქედები...
ბოდბის მირონი, სევდანაჟური,
კახეთს ცრემლივით ვერ შეველევი.
დაეთრიმლება მთებს ნავალები,
გასხივოსნდება ქარსატევარი...
და ცისკარივით დგას ალავერდი —
მზედაწურული ქრისტეს მტევანი“ — ხომ იშვიათია ასეთ უთბილესი განცდით გამჟღავნებული მამულის სიყვარული“... — **ელგუჯა თავბერიძე.**

„...ვაჟა-ფშაველა ბრძანებს: ნისლი ფიქრია მთებისაო, ახალგაზრდა თამარი ამბობს — ნისლია წუთისოფელიო, და თუ მართლა გინდა ვარსკვლავებს უმღერო, შენ შენი „დარდიანი სამშობლო“ უნდა გიყვარდეს და შენ იცოდე, რომ პოეტი მარად მსაჯულთა ტახტზე ზის, უნდა გჯეროდეს, რომ მარად ღვთის მადლით ხარ წუთისოფელშიც და მარადიულშიც. მკითხველნო, წაიკითხეთ თამარ-ქალის ლექსები და იზეიმეთ, გულით მართალნო... დიდი სურვილი მაქვს, დავიჯერო თამარ შაიშმელაშვილის ოთხი სტრიქონი იმ ბევრთან ერთად —

„მაყვლის რტოსავით მეზრდება სულში
შენზე ფიქრი — ეკლიანი სამოთხე“.

თამარ ქალო! შენი სიტყვა მადლიანია, სავსეა რწმენითა და სიყვარულით. ღმერთმა დაგიფინოს უფლის მოწყალება“. — **ჯანსულ ჩარკვიანი**.

ვკითხულობ პოეტის ლექსებს და ყოველი წაკითხვისას მართალი გულით ვზეიმობ... ყოველი გამოთქმული ჭეშმარიტი, სიმართლით თქმული აზრის თანაზიარი და დასტურის მიმცემი ვარ....

და მაინც, რა დამრჩა მე, როგორც მკითხველს, სათქმელ-საწერად, რით მოვიხიბლე?! უპირველესად, გულწრფელობით, პოეტური სულის გასხივოსნებით, მამულის, მშობლიური ენის, ტრადიციების, პოეზიის... მეციხოვნეობით; საკუთარი ხალხის, წინაპრების, მშობლიური კუთხის, გმირების, შინაურებისა თუ „გარეულების“ არდავიწყებით... გუმანით, უფლის ნაჩუქარ ბუნების ხატებასთან უსათუოესი მიახლებით, ხატოვან-შედარებების კორიანტელით. მაგალითები? — რამდენიც გნებავთ:

„უთქმელად კვდება ყაყაჩო —
სამშობლოს სისხლის ნაწილი...
ცა მოჩანს ღამენათევი,
ღრუბლის ფიქრივით ნართლი,
სული შატბერდის მთვარეა —
ვაზის ცრემლივით ქართული“!
„დუმან ნისლები ბედაურები,
ცივია ცრემლი გულმოცახცახე,
მზე ვკარგავ ბინდში
და დიდ სევდაში
ჩასძინებიათ სამშობლოს ქარებს“...

სამშობლოზე, მის წარსულზე და მომავალზე ფიქრი იმდენად ძლიერია, რომ თითქმის ყოველი მეორე, მესამე ლექსი ამ განწყობითა და შეგრძნებებითაა დაწერილი.

„ჩემო სამშობლოვ,
უსამართლობის ზარ-ზეიმში
შენ ისეთი ნათელი ხარ,
როგორც ტაძრის ეზოში
ბროწეულის წითელი ყვავილი,
თავისით ჩუმად რომ ამოსულა და
შენდობის ზარებს რომ რეკავს“...
„ფიქრი გამითბა,
მზის ნათლობა ვნახე სიზმარში,
ჩემი სამშობლო
აყვავებულ ნატვრის ხეს ჰგავდა,
ეკლესიები ულურჯესი შუქით მიმზერდნენ
და ბეღურები ლოცულობდნენ
სილურჯის დარად“...

„ვინ დაუბედა ღვთისმშობლის სევდა სამაჩაბლოში ალუბლის ყვავილს“?

„ქართლის მინდვრებში შემოთენება ქრისტიან მეფის ვარსკვლავად მიკრთის....

ამისრულდება ოცნება ჯვართან და დიდი მცხეთის სიცხადე-სიზმრის... თოვლივით სულში ლოცვად გინახავ მარადიულად სამთავრის მზის სხივს“...

„დუმს ქაშუეთი — თეთრი ზამბახი, უხმოა ზარი მღაღადებელი, ღამდება სული და ლურჯ მთვარეში აცვიათ მტრედებს ცა და სიობლე...

დრო დოლაბივით მკიდია გულზე, სიკვდილმა ცრემლებს ისევ აჯობა, და ღვთისმშობელმა პირიმზე კალთა უმანკო მტრედებს გადააფარა“...

„მცხეთს რიჟრაჟში მოჩანს ბედია, იდუმალებით გარემოცული...

სვეტიცხოველი ნისლში გედია, დროჟამეული სუსხით ნაზამთრი...

აფხაზეთიდან მოდის ღრუბელი, მზედაკარგული შვილების სევდა, ჯვარო, აქ შემწედ შენ მეგულები, ქათიბი ცრემლით ჩამომისველდა“...

„თვალდაშრეტილი დავდივარ, ჩაობლებული დღემიღმით, ქურმუხთან ჩიტი-ბეღურა შემომღუღუნებს შენი ხმით... ნატვრა კვლავ საგზლად მიმყვება, რვალისფერია გედიქი... გზასავალს ამომინათებს ლოცვა და ცრემლი ქედს იქით“...

„ქარნი ხეობებს ისევ ქორავენ, ძველ ბაირაღებს ნისლი მაგონებს, ჩამოვიწოდე ციდან მთოვარე — არაგველების ნათელს ვაგროვებ...

მოვდივარ, მომაქვს სამასი ფიცი, სული ნალაღი ყაჯართ არ მონებს, ვიდრე მწუხრამდე კრწანისზე ვიცდი, არაგველების ცრემლებს ვაგროვებ!

გამოწვდილია ირაკლის ხმალი, სვე გულმოკლული დღემდე არ მტოვებს... ქედს მომიდრეკავს უნდობი ხანი — არაგველების ძახილს ვაგროვებ“!...

„...მენატრები, ვაზმტევანო, ფარნავაზის ნატერფალო...

საღვთისმშობლო შროშანივით, მოციაგე შორს

ნამივით... იბერია, იბერია, ჩაუმქრალი ხილვებია“!

„არ დაკრიფოთ ყაყაჩოები აფხაზეთში – არ გაუხსნათ გული ჭრილობას... ისედაც სისხლისგან ვიცლებით... ისედაც ავდარია უ(სულ)დარო...

ჩამოხსნილია ყველა ზარი და თოკები მარყუჟების ნაგლეჯებია!..

ჩემი ძვლები ჩემი ბედია! დაბადებიდან სისხლის სევდა-ავგაროზებით მომღერალი ზანზალაკებად... ზარზმის ზარებად ზეაზიდულნი“!...

„გულმა ნისლი ჩაიხვია და მიმინოს გაჰყვა კვნესით, ბედი ჩემი კრწანისია, ცრემლი მეფე ერეკლესი... სულში ისევ დაისია და გოდება დემეტრესი, სუნთქვა სისხლით დაისერა, როგორც დროშა კოჯრის მზეში... ქართლში ისევ დაისია, გულს მისერავს მწუხრის კვესი, ბედი ჩემი კრწანისია, ცრემლი – მეფე ერეკლესი“!..

პოეტი ლექსებს უძღვნის: წმინდა ნინოს, სტეფანე ხირსელს, ასურელ მამას, ხირსის მონასტრის აღმშენებელს, შოთა რუსთველს, ერეკლე მეფეს, არაგველებს, ილია ჭავჭავაძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, პეტრე ხვედელიძეს, კოტე ხიმშიაშვილს, ოლია ოკუჯავას, გოდერძი ჩოხელს, ერეკლე ყულოშვილს და შინდისთან საქართველოსთვის დაღუპულ ჯარისკაცებს, რეზო ადამიას, ჯანსუღ ჩარკვიანს, მშობლებს, დეიდას, დისშვილებს, ემილი დიკინსონს...

რუსთაველს:

„გარღვეულიყო ზეცა, როგორც მესხის ჯავშანი, თრობის გვირილებს გიგროვებდი – დედოფლის ფარჩას... უცხო მხარეში დაგეძებდი ქარი აშარი... საქართველოში გაბრუნებდი მლოცველს და მაშვრალს... სიტყვებს საკმევლის სურნელებით ვეძებ მოთოვლილს, სანთლის სხივი ვარ ვარძიაში ახდენილ სიზმრის... ხვალ მესხეთიდან აფრინდება თეთრი ფოთოლი და ლექსში სისხლის დაძახილზე მზენესტანს იხსნის“!...

ილია ჭავჭავაძეს: – „...წიწამურისთვის ნასროლი ისევ ცხელია ტყვია და ამ სევდიან განდობას სისხლმდინარე დრო ჰქვია... ცანატირალი კოშკები მზერავედრებით დგანან“...

გოდერძი ჩოხელს: –„ეს გათენება ჩოხში ჩემს საქართველოს იხსნის... ვით ანგელოზის კვალი, იშვა ცრემლიდან სხივი... ...მაშინ ამაღლდა ზეცად თეთრი ღრუბლების მირქმით, დედამ გაუთბო შუბლი, ჩუმმეამბორე ნისლით... სევდად უნთია სული ჟამგადამფრენი მერცხლის... ჰა, დედამიწავ, შვილი – გულს დაცემული ცრემლი“!

კრებულში ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული ტოპონიმები, რომელთა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია; ისინი გარკვეულ შტრიხს მატებენ არა მარტო ლექსებს, არამედ უპირველესად ავტორს, რომელსაც ეფიქრება ისინი, რომელთა დიდ ნაწილთანაც გარკვეული გენეტიკური მიჯაჭვულობა, განცდა და სიყვარული აკავშირებს...

აი, ისინიც: არდოტი, არმათიონი, ალაზნის ველი, ანანური, ამაღლების ტაძარი, აფხაზეთი, არაგვი, ბანა, ბაგრატი, ბედია, თელ-ავივი, თეთნულდი, თხოთის მთა, იბერია, ივერია, იორი, კაწარეთი, კახეთი, კლარჯეთი, კოლხეთი, კოჯორი, კრწანისი, მესხეთი, მეტეხი, მტკვარი, მცხეთა, ოზაანი, ოშკი, რომი, საგურამო, სამთავრო, სამაჩაბლო, უფლისციხე, საქართველო, სვანეთ, სვეტიცხოველი, სიღნაღი, ტიბაანი, ქართლი, ქაშუეთი, ქიზიყი, ქურმუხი, შატბერდი, შატილი, შირაზი, ცივგომბორი, წიწამური, ყინწვისი, ხანძთა, ხევსურეთი, ხერთვისი, ხირსის მონასტერი, ხირსის ქედები, ჰერეთი...

თამარ შაიშმელაშვილის სულიერი განწყობილების ერთ-ერთი გამოხატულება ბედსა და ბედისწერაზე ყურადღების გამახვილებაა, რომელთაც სიყვარულით და ლექსით თვალს თამამად უსწორებს, მათთან კამათს არ აპირებს და „დილადუმილში ბედმშვენიერი“ საკუთარ გულსაც კი სთავაზობს... რაც შეეხება სევდას და ავგაროზებს, უმათოდ მისი ლექსები უთუოდ დაკარგავდა ყოფითობის ნაცად სახეს...

„გავდივარ შენი სულიდან, მზეო, გავდივარ შენი მწუხრიდან, დღეო, გავდივარ ჩემი სისხლიდან... ბედო“!...

„საბედისწერო სასროლეთი სულს კვლავ ახრჩობდა“...

„აქ ბედისწერა დამხვდა თვალღია, სიყვარულმა და ლექსმა ამრია“...

„ვინ დამიბედა მზე სევდაში – ღვთისმოსალოცი“?

„ვარ მზემქროლავი ქარმაისობა, ჩემს ბედისწერას თვალებში ვუმზერ“...

„ჩემი ძვლები ჩემი ბედია! დაბადებიდან სისხლის სევდა-ავგაროზებით მომღერალი ზანზალაკებად“...

„ბედის სიზმარი ამიფრინდა მზეშლილ ვარდებად“...

„გზად ბედისწერის მომხვდა ისარი, ვარ დასეტყვილი სიჩუმე ვაზის“...

„ვინ მომიობლა ეს სიჩუმე ბინდის სამოსით? მზე სევდაში – ღვთისმოსალოცი? მიდის ცხოვრება ქარს მიჰყვება, ვით მაყრიონი, ეს ფოთოლცვენა ბედს და წერას ბრმად აყოლილი“...

„თოვლში ია ამოსულა, შენ გეძებდი, ბედო“...

„დრომ – ავბედითმა ვერ გამისხვისა უჟამო სევდა – მხოლოდშობილი“..

„ჩვენს ბედისწერას რიჟრაჟზე ვიხსნი, ოღონდ ცრემლები შეუშრე ორ ცას“...

„თეთრ ღამეებში ჩუმად ვტირივარ, ვით დაბინდული სევდის სოსანი“...

„და ქარის სუნთქვა ისმის, ბედის სიმღერას ჰგავს“...

„საით მიდიან ამ დილით ბედაურები ბედის“?

„ვით გაზაფხულის სიზმარი, ჩემს ბედისწერად გიცანი“...

გრიგოლ რობაქიძე ასეთ აზრს ავითარებს: „ბოლოსდაბოლოს ყველაფერს წყვეტს ადამიანის პირადი მე, რომელიც ბედის სასწორზეა შემოგდებული“... – ეს აზრი საყურადღებოა, ყველასთვის მისაღები შეიძლება არ იყოს...

როდესაც პოეტი გულწრფელად გაგვენდობა: „მიყვარხარ... ბაგეზე ცრემლივით გეზრდები, თუ

ვაზის მტირალობას ვიწყებ“!.. ეს სიტყვები იმის მიმანიშნებელია, რომ მისთვის „სიყვარული“, მისეული „სიყვარულის“ ცნების გაგება საოცრად კოსმიური და, იმავდროულად, „უსაზღვროდ მიწიერი, ადამიანური გრძნობაა, რომლის წინაპირობაც, ხშირ შემთხვევაში, „მონატრების“ დაფიქსირებაა; ასე რომ, მის პოეზიაში „მონატრება“ – „სიყვარულის“ თანამდევი ფენომენია და ერთ მთლიან მოცემულობას წარმოადგენს... ესაა რომანტიკა ლირიზმის ნაზი, ქალური ელემენტებით გაჯერებული...

„უშენოდ ვეღარ ვიარე, გული ტკივილმა დაფლითა... გამიუცხოვდნენ ნაძვები, შემოჯარულნი ნაღვლითა... შენს მონატრებას ვაცოცხლებ და წამს, დარდებს რომ მიქარვებს... ვარ სიყვარულის ცაკლდეზე ცრემლივით ჩამომდინარე“...

„მოდის გაზაფხული ფრენა-ფრენით... სულის დალევამდე მენატრები“!..

„მთელი ცხოვრება ასე მეგონა, სულს ვარსკვლავებად ვანაწილებდი... და, სიყვარულო, ლამაზ შენდობად მე მზევცრემლობდი, განა წვიმები“?

„უსახელო მინდვრის ყვავილს – მონატრებას ვეძებ“!

„ნუ გეშინია, ამ სიყვარულს იის ძალა აქვს“...

„ჩამომეშალა შენი სიყვარული – სიჩუმის პირამიდა, ხელისგულისოდენა ცრემლი“...

„გადაგიფიქრებ, ვით წვიმას ღრუბელი და ცის სილურჯეს დავუმუნჯდები სევდის მეჯვარედ“...

„მონატრება მომცელავს უსახელო მინდვრის ყვავილივით“...

„მარტოობს ჩემი სული – დაკეცილი მარაო“...

„ჩამოიფოთლა სიზმარივით ეს დღეც ნოემბრის – ნუშისთვალება სიყვარული მოდილიანის“...

„წაიღო ქარმა სიყვარულის შესანდობარი – ჩამოვარდნილი ჩემი გული, ხმელი ფოთოლი“...

„სიყვარულის მაყვლოვანში წავიქეცი“...

ბუნების მოვლენებიდან მის ლექსებში მეტწილად „ქარის სუნთქვა ისმის“:

„მზე დაესწრება ქარების ქორწილს“... „მჩუმარებს ქარი“;

„სიყვარულო, თუნდაც გვიან, ქარის სული მაპოვნინე“...

„მიტირებს ქარი ეული – შენს ცრემლად ვინათლები“!

„ქარი ქრის, ღრუბლის ნაფლეთებს აუფრიალებს შაჰ-აბასს“...

„სული დავკარგე ირმისა, ქარი მიხოკავს არეს“...

„ქარის სულივით ეული ენთო სამყარო მზისხელა“...

„ახლა ლურჯთვალა გვირილებთან ვთვრები სხვა ქარით“...

„ქარმა აქ ჩვენთვის გაიქორბუდა“...

„ვარ მომლოცველი ქარივით მშვიდი“...

„დეკემბრის ქარები საქარავნო გზაა – ზამთრის სულში სახეტიალოდ“...

„ფრთამოტეხილი მოლაღურივით ჩარდახში ქარი მიმჯდარა ობლად!“

„გასხივოსნდება ქარსატევარი“...

„მე შენ მეგონე, ქარმა ოცნებას ჩამოუქროლა ცეცხლოვან ქროლვით“...

„თეთრ ხელთათმანებს თავნებით ქარმოგუნდავე არ თმობს“...

„ვარ მზემქროლავი ქარმაისობა“...

„ფიქრი დაიმშვიდე, ჩემო ქარშორეთო“...

„ქარნი ხეობებს ისევ ქორავენ“...

„...იფიროსმანებს ამაღამ ქარი, არმათიონის შემწე“...

„ვინ უდეკემბრა მზეობოლ ჩემს ხეს, თვალისმომჭრელმა და ქარნამქერმა“...

კრებულში უხვადაა წარმოდგენილი მცენარეთა პალიტრა, რომლებიც სიცოცხლითა და სინამდვილით იმდენად ალამაზებენ პოეტურ გარემოს, რომ ხანდახან მათ სურნელი ცხვირის ნესტოებს სასიამოვნოდ უღიტინებს. და კიდევ, ისინი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების თანამონაწილენი არიან.

„ჩათლემილია მთის სიო ყაყაჩოების ველზე“.

„ასკილის ცრემლის ფერია გული, თითები, სანთელი“...

„მომეწყინა... შენ – ყვავილო მაყვლის“?

„ვაზის ლერწივით სხივმოშრიალე“...

„შრიალებს ცაცხვი, კვლავ გვეგებება საგურამოში ილიას სახლი“...

„გაუსაძლისმა აგვისტოს სიცხემ სული დალია ბიბლიურ ვაზთან“!

„ნასათუთარი თრიმლის თითები ფრეკას ყაყაჩოდ შერჩნენ“...

„სევდის ნათელს ტოვებდნენ... კაქტუს-ყვავილებზე“...

„სცივა კაქტუსის სევდის სამეფოს“...

„უფლის შეწევნით თვლემდა წიფელი“...

„...ვაიდუმალებ თვალებში ალუბლის ყვავილს – ჩემს დას“...

„ჩამოტეხილი ნაძვის რტო ვარ – ქარსიმარტოვე“...

გაუშლელი ვარდი ღამის გულაგებშიც მღერის“...

„მაგნოლიების ჩურჩულში მზე შენს თვალებში ცხონდა“...

„თამარიხესთან დედოფლობს ია, იდუმალ სევდის ათინათებით“...

„ჩამოვურიგებ ურვებს, თბილ ევკალიპტებს გზად“...

„დუმს ქაშუეთი – თეთრი ზამბახი“...

„ნაზად მომხვლე ხელები – თეთრი ზამბახები“...

„...და ცრემლმდინარე ჩემი სისხლიდან გულს აყვავებულ ლილიად გავშლი“...

სული ლილია, შუქი ლილია – ეს სასწაული სივრცეებს ერთვის“...

„ტირის თოვლი, ვით შროშანი მარიამის“...

„და ზეთისხილის რტოსავით მოაქვთ შენთვის მარტოობა – სამყაროს ელვა“...

„ლოცავში მშვიდი ხარ ყვავილი... მზე, წმინდა ნინო... მაყვლოვანი“...

„...თრიმლო სიცოცხლის, შენ მაინც მითხარ, რას მიქადის ეს სიყვარული“...

„...და ცახცახებენ ქარში ჭინჭრები, როგორც უდროოდ წასული ძმები“...

„შემოგეცლები, სიყვარულო, მუხის ქერქივით“...

„მზის თვალი გდია შარაზე – გულნასუსხარი ნუში“...

„მოდი, ავფრინდეთ ამ ბილიკიდან და აკაციის ყვავილებს გავყვეთ“...

„...და მოგვყვებოდნენ ზეცისოდენა – მზეანგელოზი აკაციები“...

„პალმის რტოებად გაშლილა სული“...

„გულის ჯიბეში, როგორც ენძელას, დაატარებდი სპეტაკ ენძელას“...

„თუთის ფოთოლზე მზე ცრემლივით მიცურავს ცისკენ“...

„თვალებში თბილისური მზე, სევდა მუშმალი-ისფერი“...

„ათოვს კაკლის ხე – დაღვრემილ პაპას“...

„... და ღრუბლის კვირიონებით ვინ რთავს ჩემს იასამანს“?

„მეტყვი რაიმეს შენსას, ცრემლმოშრიალე ვერხვო“?

„არ ვწვავ, სულს ვუდგამ მონატრების ედელვაისებს“...

„და სიზმარივით გამიფრინდება ვაშლის ყვავილი – სუნთქვის მოწილე“!

„თეთრ ღამეებში ჩუმად ვტირივარ, ვით დაბინდული სევდის სოსანი“...

„ამიყვავდება კაბაზე შინდი – შვიდნათება და ფერმოშრიალე“...

„შორს, ალაზანზე, ცის მდუმარება დილის ხასხასა იებში თვლემდა“...

„აუმის ყვავილი როცა შეთვრება, მე თოვლისფერი ტირილით მოვალ“...

„ტკივილებს სხეპენ ფიჭვის ნამგლები“...

„ზარდამუნჯებით თოვდა კოჯორში, სევდა მოჰქონდა შინდისფერ თოვას“...

„შვიდმთვარიანი ვაზის ფოთლები“...

„...ჩამოფეთქილი იებით თეთრით წმინდა სამებით დაგვლოცავს ღმერთი“!..

„სული შატბერდის მთვარეა, ვაზის ცრემლივით ქართული“...

„ნუშებმა სუნთქვა გაშალეს, დილის სიმღერა მერგო“...

„ციხის ნაშალზე ინაღვლებს ია, გადარჩენილი დროჟამის ხავილს... ვინ დაუბედა ღვთისმშობლის სევდა სამაჩაბლოში ალუბლის ყვავილს“?

„და ჩემს თითებში მალულად კრთება ვარდკაჭაჭების ცრემლი“...

„სასაფლაოზე ყვავის კუნელი, საიქიოს მზე სევდაულევი“...

„თეთრი ფოთოლი ვეფხის ტყავის სიმღერას გალობს“...

„აყვავებულა ვენახში კომში – მიღმიეთიდან მოსული პაპა“..

„...ჩემს ხელისგულებს ეცვლებათ ფერი და ჩამოკრეფილ ჟოლოების სურნელი ასდით... ხელისგულები ტირიან მარტში... სიმარტოვეში ტრფიალების ალვარტოები“...

ამ ყვავილ-მცენარეებს ბუნებრივად შერწყმიან მერცხლები, ბეღურები, მტრედები, მოლაღურები, კვირიონები, წეროები, პეპლები და ციცინათელები..

თვალში მოსახვედრია ლექსიკა, რომელიც ორიგინალურად, მისეულად არის მოტანილი, რომელიც სიტყვათა ზუსტი შერწყმა-შეერთების მხატვრული ხერხის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს, ყურს არ სჭრის, პირიქით – ინტერესითა და გარკვეული აზარტითაც მიჰყვები პოეტის შემოთავაზებულ წერის მანერას... ბევრი ძიების შემდეგ, ვფიქრობ (თუმც დაბეჯითებით თქმა მიჭირს), „მივაგენი“ ამგვარი სიტყვათშენაერთების აღმნიშვნელ ტერმინს.

პროფესორ ანდრო ჭიალაიას განმარტებით, ესაა „კატაქრეზი“ (ბერძნ. სიტყვაა) – სიტყვათშეერთების დროს ისეთი სიტყვების შერწყმა, რომლებიც მნიშვნელობით ერთმანეთს ეწინააღმდეგება; სიტყვის ძირეული მნიშვნელობა გამოყენებულია სხვა, თვისებრივად მსგავსი საგნის ან მოვლენის გამოსახატავად. რატომ ვეძებდი? იმიტომ, რომ კრებულში ასეთ სიტყვების ცვენაა; პოეტის შემოქმედებისთვის და, ზოგადადაც, ესაა ენის ლექსიკის ფასდაუდებელი მარაგი!

აი ისინიც:

ავნაღრუბლევი, ალვარტოები, ბედავდრიანი, ბედიანავარა, ბედმორიალე, ბედმშვენიერი, გაიმარხილებს, გაიქორბუდა, გულმოფართხალე, გულმოცახცახე, დაძეძებით, დილადუმილი, დღემიღმით, ედემმაისებს, ესამრეკლოვნენ, ვაზმტევანი, ზარდამუნჯებით, ზესასიმღერო, თბილმზიანი, თბილნაწვიმარი, თბილსაჩონგურე, თბილშრიალა, თვალთუხილავი, თვალთშეუვლები, თრიმლებმზიანი, თრობამომყოლი, იძილისშორებს, ლერწებსიმშვიდით, ლურჯიდუმალი....

მეგულთმისნება, მზეალუბლები, მზეანგელოზი, მზეგამინდვრებით, მზედშობილი, მწედაწურული, მზედშობილი, მზევცრემლობდი, მზეობოლი, მზემალული, მზენაშვილები, მზენესტანი, მზემარტი, მზემქროლავი, მზემშობლიური, მზენაღვლიანი, მზენაპურები, მზესაფერავი, მზესახილველი, მზეშეუცნობი, მზესევდიანი, მზეწვიმები, მზემთვლემარე, მზელამარია, მზერანაწამები, მზერაუსაზღვრო, მზერაუძირო, მზენაშვილები, მიგფითრეს, მიგულმთვარებ, მიღმიეთი, მთავარანგელოზთავანს, მთვარისჩინივით, მესაყდრება, მოგიბინადრებ, მოგეცისმარე, მოგეღრუბლები, მოგიგულებ, მოგინამდვილებ, მოგიცისკრებ, მოგიღამდები, მოიოკეანებს, მოვიმარტოვე, მოვნაღვლიანობ, მოვიშროშანებ, მოიკანკალებს, მუდარამოსილი, მშვიდნათება, ნატყვიარებმწევლი, ნაღვლიანმცველი, ნისლებმთეველი, ობოლმდინარე, ჟამგადამფრენი, ჟამგამინდვრებით.

სევდამშვიდებით, სევდაუხილველი, სვემშვენიერი, სვენაობლარი, სვენაღმული, სვეხილვა, სიზმარშორიდან, სინათლედაულეველი, სისხლნატრულა, სულვედრება, სულთაშორისი, სულალუბლები, სულმოშრიალე, სულისურჩობით, სხივშეყინული, სხივწკრიალა, ტყემოშრიალე, უნდობელობა, უსხივდარო, ფოთლებმთრთოლავი, ფრენაგალობით, ქარობოლივით,

ქარდაზაფრული, ქარმდელო, ქარმოგუნდავე, ქარ-მალვით, ქარნამქერი, ქარსატევარი, ქარსიმარტოვე, ქარნათლია, ქნარდანაფერი, შავმოშრიალე, შავმშვე-ნიერი, შევესისხლები, შვიდმთვარიანი, შუქმთოველი, შემოგიობლებ, შუქნისლიანი, ჩამოინატრებს, ჩავიმშ-ვიდე, ჩამორინდდება, ჩუმმეამბორე, ჩუმმეწისქვილე, ჩუმმოჩურჩულე, ჩუმსასიმღერო, ცავარსკვლავმფერი, ცათევით, ცამდინარე, ცამკლავები, ცამშობიარე, ცამ-შობლობს, ცაკლდეზე, ცანატირალი, ცრემლდაბინ-დული, ცრემლდანამგზავრები, ცრემლმირონმდი-ნარი, ცრემლმოციაგე, ცრემლმოწკრიალე, ცრემლ-საბურველი, ცისკრისმეჭირისუფლე, ცაშრიალა, ცრემლმიმალული, ძილისშორისი, ხმლებჩამქრალი...

საოცრად შთამბეჭდავი, მრავლისმთქმელია ლექსი „სიზმარში დამიძახა სახლმა“, არა მარტო მშობლიურობის მონატრება-განცდით, არამედ, სწორედაც, „დედის ქარმიწიანი ხელების“... „ღია აივანზე ციკრის მეჭირისუფლის, ბებერი ვაზის ლერწებსიმშვიდით“ დაძინებული მამის – სახეე-ბით, „ღიღილოიანი ეკლესიის მარიამის ფრესკის ფერით“... მსუყე მხატვრული შედარებებით, გამორ-ჩეული ლექსიკით, მღელვარე გრძნობების ნაზავით...

ამავე განწყობას იწვევს ლექსთა უსასრულო ნაკადი: – „ასე ნატრობდნენ“, „შრიალებს თეთრი მდინარე“, „არაგველებს“, „ბედი ჩემი კრწანისია“!, „მოგინამდვილებ“, „მთვარე – უფლისციხელი“, „შიმელას მონატრება“, „ცრემლები ხელისგულზე“, „კაწარეთი“, „ელავს სამყარო“, „დამშვიდობება დედასთან“, „შენ მაინც მითხარ“, „ქაშუეთის სააპრილო“, „ორიოლი და კატინი“, „დედა“, „გრაა-ლის მცველი“, „შატბერდის მონატრება“, „ფიქრები თამარის ფრესკასთან“, „ვედრებით დაეძებდი“, „ნა-სახლარი“, „ტიბაანი“, „კვირაცხოველი“... და სხვა მრავალი. მუდმივად ჩამესმის დაუვიწყარი ფრაზა:

„ათოვს კაკლის ხეს – დაღვრემილ პაპას და გულთამხილავ ჟამთააღმწერელს“...

ჩემთვის ეს ბავშვობაში ნანახი ფესვმაგარი, გაბარჯღული კაკლის ხეა, უამრავი ნაყოფით, – ჩემი წინაპარი პაპების გამეტებული სიყვარუ-ლით შეზავებული... და ისევ თამარის სიტყვებით შეჯერებული – „აყვავებულა ვენახში კომში – მიღმიეთიდან მოსული პაპა“!

ჩემთვის შემაძრწუნებელი და მიუღებელია ახ-ალგაზრდა შემოქმედის მიერ სიკვდილის ნაადრევი მოკითხვა:

„გათენდა და ჩემი სიკვდილი მოვიკითხე – ალუბლის ყვავილებში მინისლულიყო“...

არც საყდრის ჩიტივით მოგალობე სიკვდილს, „ამღერებულ მეკვლეს“ – მივესალმები... მომდევნო წარმოსახვა კი იმდენად ძლიერია, რომ პირველად როცა წავიკითხე, ღამე არ დამეძინა: „ჩემი თვა-ლები ორი პატარა მკვდარი ჩიტია“... მგონია, რომ მისთვისაც რთული გადასატანია გონებაში იდუმ-ალი ძალებით მოსული სტროფების ფურცელზე გადატანა-გააზრება:

„ვფურცლავ საწუთროს – პირქუშს და ელამს, ტკივილებს სხეპენ ფიჭვის ნამგლები“...

გაიხსენეთ კარგად ალესილი ნამგლებით გასხ-ეპილ-მოთიბული ბალახი, თუნდაც ისინი ფიჭვისა იყოს...

ეს პაწკუა როგორ მოგწონთ: „თვალები დავხუჭე, სული გავახილე“ – მოკლე, ტევადი და ადვილი...

გულისამაჩუყებელია აგრეთვე თამარის ხმამა-ღალი, სევდიანი ვიში:

„ჩამიქრა ბედის ვარსკვლავი, ვედრებად შევრჩი ველებსა, მოვა სიკვდილი – მხატვარი, მიმათვლის თავის ფერებსა“. – ამის გაგონებაც კი არ მინდა! არ მინდა აპათია – პესიმიზმში გადავარდნა!.. არ მინდა მის სულიერ სიძლიერეში ვცდებოდე!..

პოეტის მისიაზე საკუთარ აზრს თამარ შაი-შმელაშვილი რამდენიმე ლექსში გამოთქვამს, თუმცა ლექსში „პოეტი“ ამ თემაზე მისი შეხედულება უფრო გამოკვეთილია; სხვაა, მის აზრს რამდენად ბოლომდე ვეთანხმები:

„მე ბორანი ვარ,
თეთრი ღამეების უტყვი მოდარაჯე
და აღელვებულ მდინარეზე
გადამყავს ახლა მარტოსულები“...

ყველამ ვუწყით, რომ ადამიანთა დიდი უმრავლე-სობა მარტოსულია; ზოგი ამას თავადაც გრძნობს და ყველანაირად ცდილობს მისგან გაქცევას, ზოგი შეგუებულია და ყურები აქვს ჩამოყრილი, ზოგნი (იმედია, დიდი ნაწილი) „მარტოობის გრძნეულ პეპლებს“ აყოლილები, თამარის შემოქმედების თვითმყოფად ბორანზე მოკალთებულნი, მისთ-ვის „ღმერთის გაფენილ წყალობას“, – მადლიან სიტყვას“ – დაუფიქრებლად მივყვებით პოეზიის უნაპირო ნაპირისკენ სულის მოსათქმელად, სამშობ-ლოს წარსულის, წინაპრებისა და დღევანდელობის ხელახლა შესაყვარებლად... მართალია, მდინარე აღელვებულია – დიდთვალება შიში დიდი ხანია უკან მოვიტოვეთ...

დიახ, ამ კრებულის გამოსვლიდან 9 წელი გავიდა... ამ დროში თამარმა ბევრი ახალი საინ-ტერესო ლირიკული ლექსი დაწერა, გამოაქვეყნა, დაამთავრა დოქტორანტურა და 2019 წელს დაიცვა კიდეც სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“, რომელმაც პროფესიონალებისგან მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პროფესორი **დალი ჩიკვილაძე** წერს: „თამრიკო იყო ჩემი სტუდენტი. ძალიან კარგი, დინჯი, არაჩვეულებრივი პასუხისმგებლობის მქონე. მან უნივერსიტეტში სწავლის დროს სადიპლომო თე-მად ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ საახალწ-ლო ნომრების მეთაური წერილების პრობლემატიკა აირჩია ეს იყო ძალიან კარგად შესრულებული ნამუშევარი. პოეტური განწყობა მას ყოველთ-ვის ჰქონდა, პოეტები, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, იბადებიან, მერე არ იქმნებიან, მაგრამ თამრიკო კვლევის უნარითაც იმთავითვე გამოირჩეოდა...

დისერტაციაში ლევან გოთუას ეპისტო-ლარული მემკვიდრეობა ისეა დანახული, რომ ეს სულისკვეთება დღეს ყველაზე მეტად საჭიროა,

– ნაჩევენებია, რას ფიქრობს მწერალი ციხეში, გადასახლებაში, – სამშობლოს იქით არაფერზე წარმოდგენა არც უნდა ჰქონდეს. ყველაფერია სამშობლო,– ეს აკლიათ დღევანდელ ახალგაზრდობას. დღევანდელ ახალგაზრდობას ამას არ ასწავლიან, არც სკოლაში, არც მერე.

ნაშრომის უმთავრეს ღირსებადაც ეს მიმაჩნია".

ივანე ამირხანაშვილი: „თამარ შაიშმელაშვილის სადისერტაციო შრომა გამორჩეულია იმ მხრივ, რომ მასში სამეცნიერო დისკურსი შერწყმულია პოეტურ შთაგონებასთან, ამ ორ საწყისს კი აერთიანებს სიყვარული,და სხვაგვარად არც შეიძლება, ვინაიდან მოცემული შრომა ამ გრნობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა"...

ივანე ჯაფარიძე: „მისასალმებელია, რომ ლევან გოთუას გარდაცვალებიდან 46 წლის შემდეგ, გამოჩნდა პიროვნება, ვინც გაბედა და ხელი მოჰკიდა ლევან გოთუას შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების – პუბლიცისტიკისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის მონოგრაფიულ შესწავლას, რომლის ანალიზის საფუძველზე მრავალსახოვნად და მასშტაბურად წარმოგვიდგინა დიდი მწერლისა და მამულიშვილის პიროვნული თუ შემოქმედებითი პორტრეტი...

ჩვენ თამარს ვიცნობდით, როგორც მშვენიერ პოეტსა და ჟურნალისტს, მრავალ კეთილ საქმეთა მოთავეს, ამ შრომით კი იგი წარმოგვიდგა, როგორც დაუღალავი მკვლევარი, ფილოსოფიურად მოაზროვნე მეცნიერი და პასუხისმგებლობით გამორჩეული პიროვნება,რომელმაც შეძლო,შეევსო ის ხარვეზი, რაც არსებობდა ლევან გოთუას მრავალფეროვან შემოქმედებაში".

2021 წელს თამარმა მოამზადა, ასე ვთქვათ, წიგნად გარდასახა სადისერტაციო ნაშრომი და გამოსცა არაჩვეულებრივი, მეტად საშური, საჭირო წიგნი „მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა", რომელიც დიდებული მწერლის პუბლიცისტიკის მონოგრაფიულად შესწავლისა და მეცნიერული კვლევის პირველი მცდელობაა... წიგნი იხსნება თამარის გამორჩეული ლექსით: „ტრფობის პატიმარი".

„დანისლული მზე რად არი,
სვე სად წყდება თმენის?
მე ვარ ტრფობის პატიმარი
საქართველოს ბედის...
ეს ვარამი ქედუხრელთა
ნატყვიარებმწველი,
მე ვარ სისხლი ბერმუხებთა
და ნაღვლიანმცველი...
სატევარო, სად ნავარდობ,
მიერთგულე ზენით...
მე ვარ ჟამი სამარადო
ხარირემის მზერით...
გაუშლელი ვარდი ღამის
გულაგებშიც მღერის...
მე ვარ ტრფობის პატიმარი
საქართველოს ბედის"...

ამ წიგნსაც და ლექსების კრებულსაც ყდებს ამშვენებს სრულიად ორიგინალური ხედვისა და შემოქმედის, ქალბატონ **ნათელა იანქოშვილის** ნახატები, მისთვის საყვარელი გამომსახველობითი ფერებითა და შესრულების მანერით.. პირადად, მე, პოეტისა და მხატვრის დიდ სულიერ მსგავსებას ვხედავ...

თამარ შაიშმელაშვილი ხუთი პოეტური კრებულის ავტორია, არის ლიტერატურულ ჟურნალ „ანსეულის" (ყოფილი „ხელეური") დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი.. მომავალი თაობის – სტუდენტების ლექტორი, უფროსი მეგობარი, პროფესიაში დამკვალიანებელი და მათი ჭირვარამის გამზიარებელი.

დაჯილდოებულია გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის, სერგეი მესხის პრემიებით; მფლობელია ლევან გოთუას სახელობის ღირსების სიგელის...

ბატონი შალვა მჭედლიშვილი წერდა: „ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მზის ამოსვლა ალაზნის ველზე, აღარ გაუკვირდება თამარის პოეტური სამყაროს სილამაზე".

სამწუხაროდ, მე არ მინახავს ეს საოცრება, თუმცა არ მიკვირს თამარის პოეტური სამყაროს სილამაზე., რადგან იგი ქიზიყიდანაა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზესი მხრიდან, სადაც უდრეკი, უშიშარი, ხვავ-ბარაქიანი, ტრადიციების მიმდევარი და დამცველი, სამშობლოსათვის მუდმივ აბჯარასხმული ადამიანები ცხოვრობენ, სადაც ბევრი ცნობილი მამულიშვილი აღიზარდა...

ამის დასტურია არა მარტო მისი შემოქმედება, ჟურნალისტური მოღვაწეობა, არამედ ჟურნალი „ანეული", რომელიც მე-10 წელია შეუჩერებლივ გამოდის, გადააფარა რა მას თავისი კალთა, მიუხედავად დაბრკოლებისა და შეჭირვებისა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზისა, კალთიდან არ გაუშვია, წლიდან წლამდე შეუჩერებლივ გამოდის... გარშემო „ძველგაზრდებთან" ერთად იკრებს ახალგაზრდა ლიტერატორებს, პოეტებს, მთარგმნელებს, მხატვრებს, ფოტოხელოვანებს... ასევეა „ერთი მოთხრობის" კონკურსი,რომელიც ყოველწლიურად იმართება იმ სიყვარულითა და შემართებით, რასაც ჩვენი დროის დიდი მწერლის რევაზ ინანიშვილის სახელი ჰქვია...

ერთგან თამარი წერს: „სულს სვეტიცხოვლად მოვიშროშანებ და მზით ჩამოვშლი ბედმშვენ სურვილებს"... სწორედ ბედმშვენი სურვილების ასრულებას ვუსურვებ როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.... მჯერა, მისი შემოქმედებით აღფრთოვანებული მადლიერი ადამიანები მუდამ იტრიალებენ მის გარშემო, მხარში ამოსადგომად და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების საკეთებლად!...

4 აგვისტო, 2022 წელი

ლიკა ჭელიძე

სიზმარს ადევნებული გოგო (ნეკერას)

ნაწყვეტი წიგნიდან: „სიმშვიდის იმიტაცია“

ერთ დღეს ჩემი მეგობარი მოკვდა... ასე, უბრალოდ, ადგა და აღარ გაიღვიძა. მე კი ეს ამბავი მხოლოდ ნაშუადღევს გავიგე. დილიდან შუადღემდე ხომ იმხელა დროა, ამ დროის განმავლობაში ალბათ კიდეც გავიცინე, იქნებ სევდაც მომერია. იქნებ გულიც მიგრძნობდა, რომ აქ აღარ იყო, მაგრამ მხოლოდ ნაშუადღევს გავიგე. შემთხვევით, ერთი უცნაური სატელეფონო ზარით, რომლის ავტორიც

მშვიდად თუ გამოგონილი სიმშვიდით მაუწყებდა, რომ ჩემი მეგობარი დილით მოკვდა. მე ამ დროს სულ სხვა ქალაქში ვიყავი და როგორც სხვა ქალაქში ყოფნის დროს გვჩვევია, ქუჩებს ვათვალიერებდი, სახლებს, ადამიანებს. ამ დროს ასეთი ზარები უადგილოა, უფრო საინფორმაციო ხასიათის ხდება, ვიდრე სინამდვილეშია. ის მახსოვს, რომ ეს ინფორმაცია მშრალად მივაწოდე დედაჩემს, ტელეფონიდან კი ატირებული დედაჩემის ხმა ყოვლად უადგილო მეჩვენა და კიდეც ვუსაყვედურე, რომ ადამიანი როცა სხვა ქალაქშია, უნდა აცადო, იყოს სხვაგან და მოწყვეტილი ყოფით ამბებს. დედაჩემი, ქალი, რომელიც ზუსტად მგრძნობს, იმწამსვე მიხვდა, რომ მე ვერაფერი გავიგე ამ ამბიდან და მხოლოდ საინფორმაციო ზარი იყო მასთან დარეკვა.

რადგან დედაჩემს უკვე ვუთხარი, მოვალეობამოხდილად მივიჩნიე თავი მეგობრის წინაშე, რომელიც დილით მოკვდა და საღამომდე დრო ჩვეულებრივ გავიყვანე. ვესაუბრე ყვავილების გამყიდველ ქალს, რომელიც თურმე რომელიღაც იქაური პოეტის მუზა იყო ახალგაზრდობაში; გავიცანი სხვა პოეტი, რომლის მუზაც ასევე სხვა ადამიანი იყო, რომელიც ალბათ უფრო მოგვიანებით გახდებოდა ყვავილებისგამყიდველი ან სხვა რამ პროფესიას მოირგებდა.

ქუჩაში შემთხვევით შევეჩეხე ჩემს ძველ ნაცნობს, რომელიც საერთოდ დავიწყებული მყავდა და გამახარა იმის აღმოჩენამ, რომ კიდევ არსებობენ ადამიანები, ვინც არ გვახსოვს და ასე შორიდან მათ ვახსოვართ, ჩვენ მაგივრადაც. მასთან ამინდზე და ამ მზიან ქალაქზე ცოტა ვისაუბრე და სასტუმროში დაბრუნებამდე თმის სამაგრის ყიდვაც მოვასწარი, რომელიც მზეზე ანათებდა. ამ ქალაქს სწორედ ასეთი თმის სამაგრი მიესადაგება.

სასტუმროს ფოიეში ტურისტები ისხდნენ და რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. რა გადამდებია ასეთი გულწრფელი სიცილი, სულ უმიზეზოდ შეიძლება გაგხადოს ბედნიერი და ნომრამდე ასასვლელი კიბე კისკისით აგარბენინოს.

ნომერში როცა აღმოვჩნდი და კარი მივხურე, ამ ხმამ უცებ გამომაფხიზლა. კისკისი შევწყვიტე და ხელჩანთა დაბლა დამივარდა, საიდანაც ხმაურით გადმოვარდა მზის სხივების გამო ნაყიდი თმის სამაგრი, ხალიჩაზე იბრუნა და გაჩერდა. უცებ მუხლებზე დავეშვი, უცებ ცხოვრებამ თითქოს აიღო ცელი და სარეველა ბალახივით მომცელა. ჩემი მეგობარი დილით მოკვდა... როგორ ცდებით, როგორი არასწორი ინტერპრეტაციით მომაწოდეთ ინფორმაცია. ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი მოკვდა დილით, ჩემი ერთადერთი სულით მონათესავე. ის დილით მოკვდა და კიბეები კისკისით ამოვირბინე, თმის სამაგრი ვიყიდე, ვესაუბრე ძველ ნაცნობს, რომელიც სულ არ მახსოვდა და უნებლიედ შემახსენა თავი, ვესაუბრე მეყვავილეს, ვათვალიერე ქუჩები, დედაჩემის ხმამაც კი გამაოგნა... ის კი ახლა მკვდარია.

აი, ასე, ადგა და აღარ გაიღვიძა.

მთელი ღამე საწოლზე ვიჯექი, თითქოს თავს ყოველდღიურობაში დაბრუნების უფლებას არ ვაძლევდი, რადგან ის მკვდარია და მე როგორ უნდა ვიწვე და ვიძინო მშვიდად შემიძლია ყველა ღამე დავივიწყო ჩემი ცხოვრების, გარდა ამ ღამისა. ღამე, როცა მე მართლა მარტო დავრჩი. ის იყო ჩემი ადამიანი, ჩემი სახლი, სადაც მუდამ შემეძლო დაბრუნება. რა დანაშაულიც უნდა ჩამედინა, მუდამ შემეძლო ამ სახლის იმედი მქონოდა, სახლის, რომელიც იქ, სადღაც, სულ იყო, არის და უნდა ყოფილიყო.

ერთხელ ჩემს ნაწერში უნებურად მისკენ ეს სიტყვები გამექცა: „და სიბერეში თბილ ბუხართან მოვწრუპავთ ღვინოს“. მაშინ ბევრი იცინა და გამახსენა, რომ მე არ ვსვამ, რომ ის მუდამ მარტო წრუპავს ღვინოს, როცა რომელიმე ძალიან მყუდრო კაფეში, ყველასგან მიტოვებულ მაგიდასთან ვემალებით სხვებს და მხოლოდ ვიცინით. მზის სხივები ეთამაშება წითლად შეღებილ თმაზე და ამ დროს მე ვფიქრობ, რომ ამ წითელი თმის და მისი ღიმილის ცქერა არასოდეს მომბეზრდება. ამიტომაც, სწორედ ასეთ დროს ვფიქრობდი, რომ სიბერემდე როგორმე შევეჩვეოდი ალკოჰოლს და მაშინ მაინც ავუბამდი მხარს ამ რიტუალში.

ახლა კი მხოლოდ ამ სასტუმროს ერთი პატარა ოთახია ჩემი ტკივილის გამზიარებელი. ვაწყდები კედლებს ჩემს გონებაში და ვეძებ გასასვლელს, გამოსავალს. ვცდილობ,არ დავუშვა რეალობა,ვცდილობ, როგორმე იმ სახლში დაბრუნდე, რომელსაც მისი სახელი ჰქვია, მაგრამ ამაოდ. ერთი წამით არ მომიხუჭავს თვალი, მზის სხივების გამოჩენისთანავე ავდექი ლოგინის კიდიდან და ნივთების მოგროვება დავიწყე. გამოსვლისას ფეხი თმის სამაგრს წამოვკარი. ავიღე და წამოვიღე. ყველაფერს ეგუება ადამიანი, ეს პატარა ნივთი ამის დასტურია, დამე-ნანა იქ დასატოვებლად,ანუ შემრჩა ამის უნარი, რომ თმის სამაგრზე მეფიქრა...

გარეთ საოცარი მზე იყო მზის ქალაქში და მე მზისთვის ნაყიდი სამშვენისი ჩანთაში ჩავაგდე, პირველივე ტაქსი გავაჩერე და წამოვედი. დავტოვე იმ ქალაქში მზე, იმ ქალაქს შერჩა ჩემი კისკისიც,

იმის შემდეგ აღარასოდეს მიცინია ისე...

გზა დიდი გვქონდა წინ. ტაქსის მძღოლი, ისევე როგორც სხვა მისი პროფესიის ადამიანი, ინტერესით მიყურებდა და ალბათ ძალიან აინტერესებდა, ასეთ ფერად ტანსაცმელში გამოწყობილ გოგოს რა მქონდა ამხელა სატკივარი, რომ ხმაც არ ამომიღია

დაახლოებით სამი საათი. მხოლოდ გზის მიწურულს გამიბედა ეკითხა. მე ვუთხარი,რომ ჩემი მთავარი ადამიანი მომიკვდა. უხმოდ მიმიყვანა სახლში, იმ სახლში, სადაც ვცხოვრობ და არა იქ, სადაც ასეთი დიდი ტკივილების დროს თავს ვაფარებ. ვთხოვე,დამლოდებოდა და რამდენიმე წუთში წლებით დაბერებული და შავებში ჩაცმული დავბრუნდი.

ბავშვობიდან შეგუებული ვარ იმ აზრს,რომ ადრე თუ გვიან, ადამიანი უნდა გარდაიცვალოს და,

სხვებისგან განსხვავებით, სამძიმარზე ან გასვენებაში მისვლა ჩემთვის არც საშიშია და არც იძულება,რადგან,ჩემი აზრით,როგორც სიცოცხლეში ვცემთ ერთმანეთს პატივს,ასევე უნდა გავაგრძელოთ ადამიანის აქედან წასვლის შემდეგაც, რადგან თუ გულით გვიყვარს,რაც უნდა შორს გვყავდეს ადამიანი,ხომ მაინც სულ გვენატრება და გვახსოვს,სადაც უნდა იყოს წასული... ჩემთვის სიკვდილი უცნობ სამყაროში შორეულ მოგზაურობასთან ასოცირდება...

გზად ის ამბავი გამახსენდა, როცა მე და წითელთმიანმა ძალიან ვაწყენინეთ ერთმანეთს. ასეც ხდება,უზომოდ გიყვარს ადამიანი და სწორედ მისგან გწყინს ყველაზე მეტად. შეიძლება უცებ იმდენად მცირედზე აუმხედრდე,მთელი ცხოვრება სანანებელი გაგიხდეს. ცუდი ხასიათი ჩვენ ორ შორის უფრო მე მაქვს და შესაბამისად, მე გავებუტე. ახლა

ისიც კი არ მახსოვს, რას მოჰყვა ურთიერთწყენა. რადგან არ მახსოვს, ესე იგი, უმნიშვნელო ამბავი იყო. ორი წელი არსად მინახავს და არც ხმა გამიცია,მხოლოდ მის დაბადების დღეს აღვნიშნავდი მარტო. მივდიოდი იმ პატარა კაფეში და ორივეს მაგივრად ჩვენს მაგიდასთან ვიჯექი, სადაც ერთად სიცილი გვიყვარდა. დავდებდი ამ მაგიდაზე პაწაწინა ტორტს და სანთელს მის მაგივრად ვაქრობდი. ახლა კი ვფიქრობ,წუთიც არ უნდა დაკარგო,თუ ადამიანი გიყვარს, არანაირ სხვა გრძნობას არ უნდა მისცე საშუალება, სიყვარულს მოერიოს.

კეთილის და ბოროტის ბრძოლას ჰგავს,კეთილი მუდამ სიყვარულია და ყველაფერზე გამარჯვებულიც ის უნდა იყოს.

მან კი ის მოახერხა, რაც მე ვერ. ერთ დღესაც, ჩემი მკითხველთან მორიგი შეხვედრის დროს, მოვიდა, გამოიარა მთელი დარბაზი, მომიახლოვდა,

საუბარი გამაწყვეტინა და ამდენი ხალხის წინაშე ჩამეხუტა. ამით დაამტკიცა, რომ მთავარი სიყვარულია, მეც დამიმტკიცა და ყველა იქ მყოფ ადამიანს.

ის ყოველთვის კეთილ მხარეს იყო, ყოველთვის სიყვარულის მხარეს.

ახლა კი ის უბრალოდ მოკვდა, თან დილით, თან უხმაუროდ, ასეთი სიცოცხლით სავსე გოგო.

გოგო,რომელსაც იმაზე ბევრად მეტი სამომავლო გეგმა ჰქონდა, ვიდრე დრო. ვინმეს გარდაცვალების შემდეგ რამდენჯერ მიფიქრია, რა ადრე იყო მისი წასვლა. თუმცა რამდენჯერ კი არა, სულ ამას ვფიქრობთ ადამიანები, რომ სიკვდილი უდროოა,

მაგრამ წითელთმიანის სიკვდილი ყველაზე უდროო სიკვდილია იმ ყველა სიკვდილს შორის, რასაც გადავეყარე ცხოვრებაში. ჩემი საკუთარი სიკვდილიც კი უფრო დროული შეიძლება მეგონოს, ვიდრე მისი.

ასეთი გოგონები ასე უეცრად არ უნდა კვდებოდნენ,დილით მაინც არ უნდა კვდებოდნენ, საღამომდე რომ არ აღმოჩნდეს ვინმე ისეთი,ვინც ვერ გაიაზრებს მის აღარყოფნას და შემთხვევით კისკისით კიბე არ აირბინოს, თმის სამაგრი არ აარჩიოს,

მზეზე მოკაშკაშე...

სამძიმარი ყველა ერთმანეთს ჰგავს, სულერთია დღის რა პერიოდში მოკვდება ადამიანი, სულერთია რა მიზეზით, ისიც კი სულერთია, თუ უმიზეზოდ, უბრალოდ არ გაიღვიძებს. თავად რიტუალია ერთნაირი, თორემ ტკივილი განსხვავებულია. მახსოვს, ბებია რომ მოკვდა, ძალიან ვბრაზობდი, რატომ არ ტიროდა სამძიმარზე მოსული ადამიანების უმეტესობა. ვერაფრით ვეგუებოდი, რომ ჩემსავით არ განიცდიდნენ ამ საოცარი ადამიანის სიკვდილს.

მაგრამ მერე,როცა ტკივილი ოდნავ გავიყუჩე და სულის კუნჭულებში შევინახე, მივხვდი, რომ ყველა ვერ გიდარდებს,ყველასთვის ვერ ხარ შეუცვლელი.

ეს კარგად მახსოვს ყოველთვის, ამიტომ ძალიან ვცდილობ, სიკეთით ვაკეთო ყველა საქმე, რომ, როცა თვალებს სამუდამოდ დავხუჭავ და სიზმარეთში გადავინაცვლებ, უკლებლივ ყველამ მიტიროს და

ამის გამო ჩემიანებს გული არ დაწყდეთ, ისე, როგორც მე მწყდებოდა გული შორეულ ნათესავებზე, როცა ყველაზე კარგი ბებიაჩემი მოკვდა.

ახლა, სამძიმარზე გზად მიმავალს, თავიდან მომაწვა ეს ფიქრები. ერთი ადამიანიც კი არ მინდა ვნახო, რომელიც განუწყვეტლივ არ იტირებს წითელთმიანს. ამ ფიქრებში წასულს მახსენდება ჩემი ერთი დღე მზიან ქალაქში და ვხვდები, რომ არ

შეიძლება ადამიანებზე ასე ხელაღებით გაბრაზება, მე ხომ საერთოდაც კისკისით ავირბინე სასტუმროს კიბე...

ეზოში ხალხი ჯგუფებად დგას. ყველას დახრილი აქვს თავი. მამაკაცები სიგარეტს ეწევიან. ეს ალბათ ყველაზე ჩვეულებრივი რიტუალია ასეთ დროს, მართლაც იმ დიდი რიტუალის აუცილებელი პირობა. ყველას შავები აცვია. მიუხედავად იმისა, რომ მე და წითელთმიანს ერთი სამეგობრო წრე გვაქვს, ვერავის ვცნობ და სადარბაზოში შევდივარ. მეოთხე სართული. წინ კიბე და აქ ისევ მახსენდება კიბეზე არბენა. მგონია, რომ ის კისკისი ისეთი შორეული წარსულია, ცოტაც და დამავიწყდება. აწმყოში კი ძალიან ნელა ვადგამ ფეხს თითოეულ საფეხურს, თითქოს სადღაც, გულის სიღრმეში ბჟუტავს იმედი, რომ ვინმე დამეწევა და მეტყვის, რომ ეს ამბავი ხუმრობაა. მე კი ვუპასუხებ, რომ ამაზე ბოროტი ხუმრობა ვერასოდეს იარსებებს. თუმცა, რომც გავბრაზდე, მაინც ვაპატიებ, რადგან ძალიან მინდა ეს ამბავი ხუმრობა იყოს.

ყველა საფეხური მთავრდება ბოლოს, უსასრულოდ არც ეს საფეხურები გაგრძელდა და მეოთხე სართულზე აღმოვჩნდი. ძალიან დიდხანს ვიდექი კარის ზღურბლთან, თითქოს ამ ზღურბლის იქით იყო რეალობა, რომლის არდანახვასაც ვცდილობდი ნაშუადღევს შემდეგ იქ, იმ მზის ქალაქში. ახლა უნდა გამეგო, იხუმრეს თუ არა, ბოლოს და ბოლოს... ზღურბლს იქითა რეალობიდან ყრუდ გავიგონე გმინვა, ძალიან მძიმედ ამოთქმული სიტყვა „შვილო“...

არ შეიძლება მშობელს ამხელა ჯვარი აჰკიდოს განგებამ – შვილის ტირილი. მით უმეტეს, გოგო შვილის და, მით უმეტეს, მამას. ყველაფერმა აზრი დაკარგა, ყველას ტირილმა. ამ დღის შემდეგ ჩემთვის ყველა სიკვდილი გაუბრალოვდა, მე აღარავინ მიტირია. ისე ვერავის იტირებენ, როგორც ჩემი წითელთმიანი იტირა მთასავით მამამისმა.

არ შეიძლება ადამიანი ასე უბრალოდ ადგეს და ერთ დილითაც მოკვდეს. ზუსტად ვიცი, არ აპირებდა. ის იყო გოგო, რომელსაც იმაზე მეტი ოცნება ჰქონდა, ვიდრე შეიძლება ჩვეულებრივ ადამიანს ჰქონდეს, რადგან ის სიკვდილს არ აპირებდა. თუმცა ჩვენ ხომ მაინც გვიყვარს ის ადამიანები, ვინც შორეულ მოგზაურობაში მიდის, თუნდაც ასე, გაუფრთხილებლად. ჩვენ ხომ შეხვედრის სიხარულით ვაგრძელებთ სიცოცხლეს. ამიტომაც, როცა გაყინულ სხეულთან გამოსამშვიდობებლად დავიხარე, მხოლოდ ერთი სიტყვა ვუთხარი:

– დროებით!

პოეზია

ნინო დოხტუხიშვილი

* * *

თუკი სარკმელთან ჭაღი ანათებს
და გადმოჰყურებს შენს გზებს, სევდიანს,
თუკი იმედებს შენით აღავსებს,
შენს იქით გზა-ხსნა არც დარჩენია...
თან გადაჰკვეთავს მკვირცხლად ჭაობებს.
ათას მტრის სუნთქვას დანით აოკებს.
მთებს და კლდის ფენას ხელით გადახსნის
და შენს საფრთხილო ბილიკს გადაშლის...
ეს ენერგია უწყვეტად მოაქვს
შვილის სუნთქვასთან მჭიდრო საწადელს...
არც რა ფიქრები არ შეუძლია,
თუკი ჩვილივით მის გულს ახარებ...
საკუთარ საზრდოს გულმოკლებული
ფესვებს იმაგრებს შენით ეული,
შენს სუნთქვას ფხიზლად ჩასაფრებული
წრფელი გრძნობებით გადარეული...
ვინ არის ასე ანგარებს მიღმა
დაბუდებული – გულუხვი, წმინდა?
ღვთით ბოძებული დიდი სიწმინდე.
ანგელოზებად მოვლენილ ციდან?!
დედის თვალებში სიყვარულს ვეძებთ,
„დედას სიცოცხლე“ სახელად გვქვია,
დედას რომ სტკივა, სევდას ვუოკებთ,
დედას მამაცი მებრძოლი ჰქვია...

* * *

ხშირად მახსენდება ბებო,
თბილად მომზირალი სახით,
თეთრად გადაპენტილ თმით და
სულით ჩაუმქრალი, ნაზი...
ბებო გენაცვალოს, არა!
მკაცრად მიყურებდა მზერით,
მაგრამ გულის მიღმა მარად
სევდა თან დაჰქონდა ხელით...
ბებო შემოგევლოს, არა!!
გულს არ გიმაგრებდა ლხენით,
თუმცა მომლოდინე მარად
გამწყრალი ჭიშკართან მელის...
მკაცრი, გულმართალი ბებო
ღამის ცისკროვნებას ჰშვენის,
პირჯვარს გადასახავს სახლ-კარს,
ღმერთს კი სამადლობელს ეტყვის...
სიჩუმეს სიბნელე ერწყმის,
მთვარის შუქს – ვარსკვლავთა დასი,
ნიავი დაჰბერავს დარად,
სიბერეს სილაღე ჰშვენის...
სიცხადე იმაზე მეტი,
რომელიც სიყვარულს ჰპოვებს...
მე თუ მახსენდება, მაშინ
სხვასაც ენატრება, ვგონებ!
ცის კიდეს ბინდბუნდად აწვიმს
ცხოვრების განვლილი წლები,
ახლად გადაკვართულ სადაფს
ბავშვობის სურნელი ასდის!

* * *

სულ მახსენდები, დაგეძებ დაღლილს...
ეს მონატრება ვერასგზით ვძლიე,
უსასრულობამ ტარივით გთალა,
მადლობის თქმაც კი ვერ დაგაწიე...
ბოლოს რომ გნახე შავ ჩრდილის ფარად,
მაინც ღიმილი გეფინა ცბიერ,
„მრავალჟამიერს“ იტყოდი სხარტად,
სიცოცხლე გსურდა, სიკვდილი – არა...
შენს სარეცელთან ვერ მოველ, მარა
შენი ღვთიური სახე მწადია...
შვიდი გზის ლოცვა დამყვება მარად,
შენ რაც მისურვე, გულში მარხია...
თეთრ ანაფორით გიხილე სიზმრად,
შენ წააგავდა იესოს ფრესკას,
ჯვარზე ამბორი მიბოძე ცხადად,
სულ რომ მიხმობს და სულ რომ მწადია...
ნეტავ, აქ იყო ჩემ გვერდით ახლა!
ალბათ მრევლისთვის სული ბრძენია,
შავ კელიაში დაიდებ ბანაკს,
სადაც სიჩუმე ბევრის მთქმელია!
ახლა მე ვნატრობ შენს გამოჩენას,
სამრეკლოს თვალწინ აზრებით გძლიე,
დაბლა ტირიფიც დაღვრემილია,
მის ჩრდილში ვხედავ სილუეტს ცისფერს...

ოლი პოეტ

ეკატერინე ბაზეხაშვილი

წითელი დედოფალი

გიორგი სამარღანიშვილს

„ქალი, რომელიც ღვინოდ იქცა სიყვარულისთვის“...
(გ. ზუხბაია, ჯგუფი „ზღვარი“)

I
ო, რა დიდია, ღმერთო ჩემო,
ჩემი სურვილი –
ვუყვარდე მასაც,
მოწყვეტილს ჰგავს ციდან ვარსკვლავებს,
ის კი ვერ მამჩნევს, დავსნეულდი,
ვკვდები წყურვილით,
სხვას ვერას ვხედავ –
თვალს მივუსევ ვაჟკაცურ მკლავებს;
მაგრამ რომ ვნებას
ძლიერ ზღუდავს ჩემი მანდილი,
სიზმარში ვნახე,
ლეჩაქიანს მესტუმრა ტაძრად,
ხელიდან ფრთხილად
გამომართვა ტკბილი ბარძიმი
და რომ დალია,
ისევ ისე, ზეცაში აძვრა...
როგორ ავუხსნა,
რომ ვუყურებ, მე მაშინ ვსუნთქავ,
ღაწვებზე მორცხვად მეფინება ხმა,
ვით ხავერდი,
თითებმა სივრცის კლავიშებზე
მოსინჯეს დაკვრა,
მერე სიმორცხვით უკაცრიელ ნაპირს გავედი...
ო, როგორ იხდენს სადღეგრძელოს
მხრებში გაშლილი,
სიტყვა – ქართული,
აღნაგობა – დიონისესი...
მხოლოდ ამ ნატვრას გავბედავდი
ფიქრებგამშრალი,
ქალი რომ ვიყო,

რაღად მინდა მეტი მიზეზი?!.
ბროლის კორომებს
ღონემქრალი რად ვეფარები,
მისივე ეშხი მაფერადებს,
ვცოცხლდები – ვხედავ...
ეს როგორ ფართოდ გამიღია
რწმენის კარები,
თანაც სიკვდილის
სურვილს მჩუქნის ის,
რომ ვერ ხვდება;
მხოლოდღა ღვინოს მოინდომებს,
ღვინოს „საფერავს“,
ახლადნაშენმა ვენახებმაც დაიწყეს მორთვა.
გაზაფხულია!
მათრობელა სიო დაჰბერავს,
მაგრამ ვიცი, რომ
ეს თამადა ჩემთან ვერ მოვა...
დარდისგან ღიმილს გავეყარე,
სასწაულს ველი,
გავავსე ცრემლით
მოთმინების სამყოფი თასი,
ქალი კი არა,
გეგონებით დამფრთხალი შველი,
დე, მშობოს ღმერთმა მხოლოდ იმად,
რაც უყვარს ასე!..

II

ვხედავ, რომ ნატვრა ამისრულდა,
სახლად მაქვს ქვევრი,
ტანზე ატლასის საღამური
მიელავს წითლად,
გაოცებისგან
და ბავშვივით ვიტირე ბევრი,
შავი წიპწების ქვიშა ვიგრძენ
ტერფთან თუ წვივთან...
დედოფალი ვარ! –
გადავძახე ქოცოებს გვერდით,
ვიცი, რომ სატრფო მელოდება,
არ ირჩევს სხვა ფერს,
აღარც არაფრის მერიდება –
ვიშიშვლე მკერდი,
მალე ლივლივით მოვემწყვდიე
ძველებურ ჩაფშიც.
სისხლი გამიშრა,
ძარღვთა ქსელში დაჰქრის მაჭარი,
რით ვერ დავღვინდი?! –
გავუბრაზდი თავს ვნებით სავსემ,
მასთან მივდივარ –
არ მოუშვა ვინაც ვაჭარი
და ასე მეტად ამიწია დედოფალს ფასი...
მალე შევხვდებით,
სასწაულიც მოხდება მალე,
მისი შეხება მაგრძნობინებს
თავს, ვით დედოფალს,
ისე ვეწვევი,
სათითაოდ დავუთვლი მალებს,
გამახსენდება,
გულის გულში მსურდა დედობაც...
ახლა კი ვიცი, ანთებულა,
მხოლოდ მე მელის,
გული ყელში აქვს მობჯენილი,
აქ მესმის ძგერა...
ტაძარშიც ჩემით ეზიარა
ერთგული მრევლი
და მგალობლებმაც
ამოხეთქეს ძლიერი ბგერა...
ასე ჩემსავით ვის ელიან,
მითხარით, აბა?
ჩემთვის ორშიმოც
საგანგებოდ ნაზარდი არის,
მომიხდებოდა,
რა ვიცოდი, წითელი კაბაც
და ჩემი ფერით იმზირება
თვით მეფის კარიც.

III

მზად არის სუფრა,
სივრცე იხდენს „დავლურის“ ჰანგებს,
ჩაფიდან დოქში გადავეშვი,
ავცეკვდი ლხენით,
ლამის ხელები გამოვშალე,
ვმოქმედებ განგებ,
მაგრამ მივხვდი, რომ
აღარ მქონდა არც ერთი ხელი.
მხოლოდ ოცნების ფრთები ვიგრძენ,
საატრფოა ახლოს!
ვგონებ, სხეულში ჩაველვრები
მარადი ვნებით,
წარსულში მუდამ მაქალწულა,
ხელი არ მახლო.
ახლა ყანწებს წმენდს –
დამტვერილან მარანში დებით.
დედოფალი ვარ!
დამაბრძანეს მოჭედილ ლანგარს.
ამ ვერცხლის სარკემ
მომაწონა მე უფრო თავი,
ერთადერთი ვარ უკვე მისთვის,
არავინ არ მგავს
და ახლა უკვე უმუსიკო სიჩუმეს რთავენ;
ქარებმაც ხმები ჩაიწყვიტეს,
გაყუჩდა ყველა.
ვუახლოვდები,
დამეწმინდა სახეზე ფერი.
ისე ამაყად მომეახლა –
არ ვითხოვ შველას...
აი, ბაგეზეც დავეწაფო,
დამიდგა ჯერი.
შევყოვნდი ყანწში,
დაილოცა,
ვიქეცი სმენად,
მერე უეცრად დამიკოცნა კალთები კაბის,
ვიწყე წამლობა,
გავიარე კბილები, ენა...
ასე ვერასდროს განკურნავდა ვერცერთი აბი...
დავეშვი ქვევით,
გავიარე ხავერდის ხორხი,
შევერგო მინდა,
სამუდამოდ შევერწყო სისხლში!

სულერთი გახდა
ჩვენს გარშემო სასახლეც, ქოხიც
და დოქი მარტომ გამოცალა,
არ ედგნენ წილში.
ვგრძნობ, როგორ ამდის ოხშივარი,
ისიც გრძნობს სითბოს.
მისი სხეული დავიპყარი,
ვუკოცნი გულ-მკერდს.
მე — დღეს წითელი დედოფალი,
თავად ვქმნი მითებს.
მასაც ვუყვარვარ!
საბოლოოდ მისი ვარ უკვე!..
და — ასე მტერი დაგეცალოთ! —
დაცალა ყანწი,
მერე ამაყად გადახედა კელაპტრის ნამწვავს,
ტკბილმა ზარხოშმა შეახსენა —
იმღეროს აწი,
ამგვარ განზრახვით
მის ბაგეზეც ღიმილი გაწვა.
ვიღიმით ორთავ.
ჰა, შეგვყარა იღბალმა ერთად,
შევესისხლხორცე,
ჟრუანტელი ორივეს გვივლის.
ვიცი, რომ მარად შემოვრჩებით
ამ ტანჯულ ერთან
და ასე ერთად მივუყვებით
ტაძრისკენ ბილიკს.
გზადაგზა ამბობს: „როგორ მიყვარს!“ —
ის მე მგულისხმობს.
მხოლოდ მისი ვარ,
ახდენილი ნატვრით ვერთობი.
ქალი, რომელიც ღვინოდ ვიქეც სიყვარულისთვის,
ვზეიმობ უკვე
სამუდამოდ მასთან ერთობას!

კაცი, რომელიც წიგნად იქცა სიყვარულისთვის

I

ო, რა დიდია ღმერთო ჩემო სურვილი ჩემი
ვუყვარდე მასაც, ვით მჭირდება ჰაერზე მეტად,
და რაც დრო გადის. სასიკვდილოდ ერთგული ვრჩები,
ის რომ გაივლის — მეც იმ გზებზე დავდივარ
კენტად.
ჩამოვდნი კაცი, დავემსგავსე გაკრეფილ ვენახს,
სულაც ვერ მამჩნევს, ამაოა მცდელობა ჩემი,
როგორ არ ვცადე მოვახედო, ვერ გავხდი ვერას,
უყვარს მას მხოლოდ წიგნები და ჩვენი გამჩენი...
ვერ გააფუჭებს ჩემს ხასიათს ვერა ამინდი!
მასზე ძლიერ ქარს ვერ იხილავთ, რაც მის თმებშია.
ის მზე თუ დამწვავს თვალებიდან რაც რომ
ამოჰყავს
და ყველა ხილის გემოვნება მის ბაგეშია
ვგონებ... თითები მსუბუქი აქვს, როგორც ნიბლია,
იქნებ მის მკერდზე სურნელია გაზაფხულისა,
დანახვისთანვე ვცდები მიწას, არ შემიძლია!..
მიყვარს მოსმენა ხმისა ტემბრის მხიარულისა.
და სიცილის ხმაც მივამსგავსე ანტიკურ საკრავს,
მაშინაც ღიმი დასთამაშებს კითხულობს როცა,
ო ეს წიგნები! ისე ტკბილად მოჰყვება რაკრაკს, —
ვჩუმდებით ყველა, იყინება სივრცე და დროცა.
დე, ვიქცე წიგნად! — ჩამეღვარა გონს ამბიცია,
ცოდნა ცოდნაა!.. მან კარები ამომილესა,
ალბათ ქალთათვის წერა-კითხვა რომ არ იციან —
ძვირფასი არის სიყვარული, უპირველესი...
ვთქვათ და, სურვილი ამიხდინა განგებამ უცებ,
წიგნიც წიგნია! (მთავარია, რაც იქ წერია),
რამდენს აქვს სახლში, ხელუხლებლად თაროში
უდევთ,
ანდა ზოგ ნაწერს მეგობრობაც გაუწევია.
ო, რა დიდია, ღმერთო ჩემო, ჩემი მუდარა,
გარდავიცვლები! უმისობით თუკი მოვკვდები —
ზედ მისი კაბა დამაფინეთ ნაცვლად სუდარის,
მწამს მაშინ მაინც დავდუმდები და დავოკდები;
მაგრამ სიკვდილსაც დაამარცხებს მისი შეხება,
ამ გულის პულსი მიაღწევდა მის მაჯებამდე,
წიგნი რომ ვიყო, დავემხობოდი შველის ფეხებთან...
ნეტავ ვიცოდე რა დრო დამრჩა გამარჯვებამდე.

II

ვახილე თვალი, მაგიდაა ჩემი საწოლი,
კარგად ვარ თითქოს, ესესაა ნაავადარი...
ვგრძნობ სიმსუბუქეს, მუყაოა ჩემი ღაწვები,
იმ სიზმარშიაც ჯერ არც ვიცი რა დრო ვატარე...
სქელტანიანი ახლა კი ვარ (ვიდრე მანამდე),
ორნამენტები ჩემი შუბლის ნაოჭებია,
დღეს ვყვები ამბავს, რომელიც რომ ვერვის გავანდე
მანამდე... თანაც ხელთ ჯერ არვის დავუჭერივარ.
ასობგერებით დაჭორფლილი მაქვს მთელი ტანი,
და ჩემი კანი მივამსგავსე ოქროსფერ მინდორს,
მაქვს ხასიათი, ემოცია, ვარ თან ამტანი,
მკითხულობს სწრაფად — წარმოვიდგენ როგორ
არ მინდობს.
ბნელი კედლიდან ხმა მომესმის დრიოს ჭენების,
ოთახის ზღურბლზე მისი ტანის ფარდა ირხევა,
მის სიახლოვეს ვგრძნობ, დამდიან ჭიანჭველები,
ჩერდება გული, როდის მოვა და მომეხვევა?!.
მის სავარძელთან ვწევარ თვალში იმედის
ცრემლით,
დღეს კარგად ვიცნობ საკუთარ თავს? შიგ რა
წერია?
მიყვარს, ჰო, მიყვარს — ეს სიტყვები კბილში გავცერი,
რომ მომისროლოს — ეს შიშებიც ზედ მაწერია...
ახლოში თაროს ჰო რამდენი წიგნი ამძიმებს,
მსურს ყველას ვჯობდე — ვიყო ბოლომდე
საინტერესო,
სადღაც შორიდან მეუბნება შუქი სამძიმარს,
რომ მოვკვდი კაცად, თუმც აწ წიგნებმა
გადგიმტერესო.
პირველი აზრი არ ამართლებს ალბათ ყოველთვის,
რას გაიფიქრებს იგი პირველ გვერდს რომ
გასცდება?
ნეტავი ოდეს დამიდგება ტკბილი მომენტი,

როდესაც ჩემზე მეგობრებთან კარგი დასცდება?
ველი!.. და თვალი გავუშტერე ჩამქრალ სანათებს,
ვინც არ კითხულობს, ჩამქრალი და უწიგნურია,
ესმოდეს უნდა მასავით სხვებს წიგნი ანათლებს,
რაც მეტს კითხულობ, მაშინ უფრო მეტი გწყურია.
ჰოდა ჩემი მზეც მოწყურებით მომეახლება,
დაჭორფლილ ბგერებს ბაგეებით ჩუმად ამაცლის,
ხელში მომიმწყვდევს, სამუდამოდ მისი გავხდები
და უსასრულოდ ვიოცნებო – აღარ დამაცდის.

III

ისმის ფეხის ხმა... კიბეების ღრჭიალი ისმის,
აღარ მაქვს თმენა, მელანივით მსურს დამაქციონ,
ნამდვილად მოდის, ხომ არ ვცდები, მგონია ის, ვინც
ჰაეროვანი აბრეშუმის კაბა აცვია;
იმ თმების ზღვაში ამოვარდა მსუბუქი ქარი,
იმაგრე გული! – მიჩურჩულეს კრთომით ვერხვებმა,
პირდაპირ ჩემსკენ მოდის დინჯად ოცნების ქალი,
რა გამაბრუა, რა ნაზია მისი შეხება.
ჯერ მკერდში მაგრად ჩამიხუტა, და მერე რა ქნა? –
ახალი წიგნის სურნელებით თრობა დაიწყო,
სულში იმ წამსვე სუფთა ფიჭის სანთელი დაქნა,
თან ჩემი პულსის ჩქარ ნაბიჯზე ფეხი ამიწყო.
რაიმეს ხვდება, რაც აქამდე მზერით თუ მითქვამს?
თითებს ჩემს ტანზე ასრიალებს, მეწევა სიცხე,
მტევნების თრთოლვით გადაშალა, დაიწყო კითხვა,
გამიშრა პირი, და უდაბნოს ქვიშაში მითრევს,
ჯერ ერთი თავი გადმიკითხა მუხლის კანკალით,
საკინძის ნაცვლად, დალოცვილმა, შეიკრა სუნთქვა,
ჩემი თავი კი ნამინდვრალი, უკვე ნამკალიც,
ნატრობს ხმა გამცეს, მაგრამ ჯერაც სიტყვა არ უთქვამს.
უმალ თვალებში შეაკავა მომდგარი ცრემლი,
ფრთხილად მიმაგდო სავარძელში, ფეხზე წამოხტა,
ჯერ სარკმელს ეცა, ფარდა დახვდა, როგორც საცერი,
და მხოლოდ ოხვრა, სიტყვის ნაცვლად ოხვრა აღმოხდა.
მეც ავტირდიო, ცრემლი მთხლიშა ქოთნის ყვავილმა,
მე კი თვალმშრალმა მოვიგლოვე მისი ქმედება,
რაღაცის ძებნა გააჩაღა გულის არილმა,
ვიწვი და მაინც სანუკვარი ცეცხლი მედება.
იპოვა! მორჩა! დაასრულა ჩემი წამება,
თერმომეტრივით ჩამიყუდა ტანში სანიშნე,
რაც ჩემზე ფიქრში გაატარა მერე წამები,
მკლავს სინანული – რატომ მაშინ დრო არ დავნიშნე?..
ვიცი, მოვწონვარ! – სადაც წავა ყველგან მივყავარ,
მიზოგავს კითხვით, ვით საჭირო სულიერ საზრდოს,
ერთხელაც გვერდით ჩათვლემილმა მითხრა – მიყვარხარ!
ჰოდა ოცნების ასრულებაც დამიდგა ამ დროს.
მიხუტებს მკერდში, გაზაფხულის სურნელი მატკბობს,
პატიმარი ვარ იმ თითების, უკვე მისი ვარ,
ახლა გავცოცხლდი, რომ მკითხულობს აღარც ვარ მარტო,
მინდოდა მისი მეგზურობა, მაქვს ეს მისიაც.
ხანდახან ტანით მიმიზიდავს იმ ცხელ ტუჩებთან,
ფიქრნარევ მზერას გადაისვრის ნათელ შორეთში,
წარსულის ტკენა სადაცაა ჩამიყუჩდება,
და არასოდეს, არასოდეს განვეშორებით.
ბედნიერი ვარ, წამიკითხა როგორიც ვიყავ,
კაცი, რომელიც წიგნად ვიქეც სიყვარულისთვის,
გირჩევთ, რაც სურდეს იმ თქვენს რჩეულს, მხოლოდ ის იყოთ,
და ყველაფერი გააკეთოთ მისი გულისთვის!..

ჰევაზ ინანიშვილის სახელობის „ეროვნული მოთხრობის“ ფონდი:
2022 წლის 1 სექტემბერი – 20 დეკემბერი

მხატვარი - სოფი მაჭავარიანი

ახალი წიგნები



მხატვარი - მარიკა ოჩიჯონიკიძე





ანბანი — ვახაჟველის ხმული